www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 16 ივნისი, 2003 წელი. №163 (375)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ღარიბი მთავრობა ღარიბ პენსიონერებზე ზრუნავს

ბოლო დროს ოპოზიციის რიგებიდან წამოსული ბრალდებების ფონზე (სახელმწიფო ფინანსების საკუთარ პარტიულ ინტერესებში გამოყენების შესახებ), სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ფინანსურ გაჭირვებაზე სულ უფრო ხშირად წუწუნებენ.

A2

## სამართალი

### დრანდის ციხიდან გაქცეული ორი მსჯავრდებული დააკავეს

სამი თვის წინ დრანდის ციხიდან გაქცეული ცხრა პატიმრიდან ორი სიკვდილმისჯილი გუშინ აფხაზეთში დააკავეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლეონიდ გაბლიას თქმით, ძებნილ მსჯავრდებულებს - ალბერტ ტარბასა და ენვერ ტანიას, ოჩამჩირეში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ერთ-ერთ მრავალსართულიან კორპუსში მიაგნეს.

A3

## ეკონომიკა

### სახარჯო პოლიტიკაში შეინიშნება პანიკის ნიშნები

მთავრობის სახარჯო პოლიტიკის პრიორიტეტია – ქაღალდზე ბიუჯეტის შესრულების დაფიქსირება. მაგრამ, მთავრობა ველარც ამ ამოცანას ასრულებს და სახარჯო პოლიტიკაში შეინიშნება პანიკისა და ქაოსის ნიშნები.

A4

## უცხოეთი

### ირანის ხელისუფლება ამერიკას ერთხმად ადანაშაულებს

კვირას ირანელმა მაღალჩინოსნებმა შეერთებული შტატები, თეირანში მიმდინარე საპროტესტო აქციების მხარდაჭერისათვის, რომელიც უკვე მეხუთე ღამეა იმართება, ერთხმად გააკრიტიკეს.

A5

## წერილები მთავრობას

ტყუილი და განუკითხაობა

ქვეყანა ვერ აყვავდება

სიმშვიდემდე ბევრი გვაკლია

უსამართლობა

მკვლელობას კორუფცია იწვევს

A5

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | |
| ქუთაისი | 27 | |
| ბათუმი | 28 | |
| სოხუმი | 28 | |
| ფოთი | 25 | |
| თელავი | 30 | |
| ზუგდიდი | 27 | |
| გორი | 28 | |
| სამტრედია | 31 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5399 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6105 |
| რუბლი | 0.0706 |

# ნინო ბურჯანაძე: ამერიკაში ვიზიტი კონკრეტული შედეგებით დასრულდა

თამარ მჭედლიშვილი

*"ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. ვფიქრობ, ძალზე მაღალი დონის შეხვედრები გაიმართა, რომელიც საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას ხელს შეუწყობს. მართლაც, ძალიან სერიოზულად ვისაუბრეთ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, ამერიკისა და საქართველოს პარტნიორობის შემდგომი განვითარებისათვის. ძალიან კონკრეტული საუბრები შედგა აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებასა და ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით", - ასე აფასებს სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთდღიანი ვიზიტის შედეგებს.*

ოფიციალური საუბრები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესსა და თეთრ სახლში, თავდაცვისა და სახელმწიფო დეპარტამენტებში, მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდში, გაერო-ს ცენტრალურ ოფისში, დახურულ კარს მიღმა გამართული დიალოგი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან... ყველა ამ შეხვედრას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე "ძალზე აქტუალურს და მნიშვნელოვანს" უწოდებს.

გაგრძელება A2 გვერდზე



ნინო ბურჯანაძე აშშ-დან კმაყოფილი დაბრუნდა.

## თამაში კონსტიტუციის ყანაში

ვასილ მაღლაფერიძე
საქართველოს პარლამენტის წევრი

*ჯერომ სელინჯერის გმირი ერთგან ამბობს, მინდა, ვიცავდე ჭვავის ყანაში მოთამაშე ბავშვების უსაფრთხოებას, რათა ხრამში არ გადაიჩეხონო. ჭვავის ყანაშიც კი სახიფათო ყოფილა თამაში, არამცთუ საკონსტიტუციოში, თუ არავინ არის დამჭერი.*

ბოლო პერიოდში პარლამენტში განსაკუთრებულ ვნებათაღელვას იწვევს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ", რაც, ფაქტობრივად, კონსტიტუციის ახალი პროექტია. განმარტებითი ბარათის მიხედვით ეს არის ლეიბორისტული პარტიისა და პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის შეთანხმებული ვარიანტი.

კონსტიტუციის პროექტს სამი ძირითადი გულშემატკივარი ჰყავს - "ლეიბორისტები", "ტრადიციონალისტები" და მაჟორიტარ დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

კონსტიტუციის პროექტში ფორმალურად სამი საკვანძო საკითხია - მინისტრთა კაბინეტი, ე.წ. რეგიონალიზმი და სენატი. თუმცა, არის მეოთხეც, უმთავრესი და ძირითადი მიზეზი საკონსტიტუციო აჟიოტაჟისა.

სინამდვილეში კონსტიტუციის პროექტის მიხედვით შეუძლებელია მინისტრთა კაბინეტის შექმნა, ქვეყნის რეგიონული მოწყობა და სენატის ჩამოყალიბება. ამის დამადასტურებელი არგუმენტები თვით პროექტშივე თვალშისაცემია, მაგრამ სანამ მათ წარმოვადგენთ, ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა, რასაც საკმაოდ პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## რეალური და ვირტუალური საფრთხე

ბადრი კოპლატაძე

გასული კვირა სახელისუფლებო კლანის უპრეცედენტო აქტივობით გამოირჩეოდა: სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ საზოგადოებას დეფოლტის საშიშროება აუწყა; "ახალი საქართველოსათვის" სპიკერმა ირინა სარიშვილმა ჩეჩნების მორიგ შემოტევაზე გაავრცელა ინფორმაცია, რასაც მისივე თქმით, შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება მოჰყვება; შინაგან საქმეთა მინისტრი კი დედაქალაქში წესრიგის და სისუფთავის უზრუნველყოფას პირადად ჩაუდგა სათავეში. ხელისუფლება მოსახლეობას ქვეყანაში სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესების საშიშროებაზე მიუთითებს.

ჩეჩნებთან დაკავშირებული მწარე გამოცდილების გამო, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული რეზონანსი ირინა სარიშვილის გამოსვლას მოჰყვა. მედიაში ისიც აღინიშნა, რომ ეს განცხადება შეიძლება შიდა სამთავრობო გადაადგილებებსაც უკავშირდებოდეს. ამ მოსაზრებას,

გაგრძელება A3 გვერდზე

## თბილისში ჩამოსვლის წინ ყოველთვის ვღელავ B3



პაატა ბურჭულაძე დედასთან ერთად.

## დადექით პოლიტიკაზე მაღლა

### უნარშეზღუდული ბავშვები სახელმწიფო ყურადღების მიღმა რჩებიან

მაკა ჯაიანი

*ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 8000 უნარშეზღუდული ბავშვი ჰყავს. ინვალიდთა ასოციაციის შეფასებით, მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, 25000-ს აღწევს. ზუსტად რამდენნი არიან ისინი ჩვენთან ვერ დაგისახელებენ, თუმცა, აქაც ისევე, როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, დღესაც მოქმედებს საბჭოეთის დროს შემუშავებული სპეციფიკური პედაგოგიური კონცეფცია - "დეფექტოლოგია", რომლის შესაბამისადაც, უმნიშვნელო გონებრივი სისუსტის მქონე ბავშვებსაც კი სპეციალიზებულ სკოლებში ათავსებენ. მსოფლიო კარგა ხანია შეთანხმდა, რომ საუკეთესო გარემო ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის ოჯახია, პატარებს კი, რომელთა არსებობაზე საზოგადოებაში ჯერ ისევ ხუჭავენ თვალებს, საკუთარ ოჯახებს, გარესამყაროს წყვეტენ და ფაქტობრივ იზოლაციაში ზრდიან.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთი და ირანი ბაქო-ერზრუმის წინააღმდეგ

ნურლანა გულიევი
რუფატ აბასოვი,
ბაქო IWPR

აზერბაიჯანიდან თურქეთში გაზსადენის მშენებლობის მოწინააღმდეგეები გააქტიურდნენ. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ ანკარა ვერ შეძლებს აზერბაიჯანული გაზის შესყიდვას, ირანი და რუსეთი კი საჯაროდ აცხადებენ, რომ უმჯობესი იქნება, აზერბაიჯანული გაზის მათი ქვეყნების ტერიტორიის გავლით ტრანზიტი.

აღნიშნული საკითხი ბაქოში ახლახან ჩატარებულ ნავთობისა და გაზის კონფერენციაზე განიხილებოდა. რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა კასპიის ზღვის საკითხებში ვიქტორ კალიუჟნიმ სამხრეთკავკასიური გაზსადენის მშენებლობის აუცილებლობა ეჭვქვეშ დააყენა. მისი თქმით, თურქეთი ვერ შეძლებს იმ ოდენობის გაზის მოხმარებას, რომელიც შაჰ-დენიზის მილსადენით გადაიქაჩება. თურქეთის შიდა მოხმარება ასე სწრაფად ვერ გაიზრდება.

კალიუჟნიმ წინადადება წამოაყენა, რომ აზერბაიჯანმა საკუთარი გაზი თურქეთში შავი ზღვის ფსკერზე გამავალი "ცისფერი ნაკადის" მილსადენის მეშვეობით გადაქაჩოს, რომელიც გასულ წელს ამუშავდა. ექსპერტთა შეფასებით, შაჰ-დენიზის საბადო 625 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს შეიცავს.

"ცისფერი ნაკადი" გეგმა კი არა, რეალობაა, - განაცხადა რუსმა ემისარმა ბაქოში, - აზერბაიჯანს ამ გაზსადენთან დასაკავშირებელი ხაზი გააჩნია. ამ გზით აზერბაიჯანს თურქეთთანაც და ევროპასთანაც შეუძლია დაკავშირება. ამას გარდა, აზერბაიჯანს 300 მილიონი ამერიკული დოლარი დაეზოგება".

ამ განცხადებებს აზერბაიჯანის ნავთობკომპანიის ხელმძღვანელის ნატიკ ალიევის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. მისი თქმით, "აზერბაიჯანისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი გაზის სატრანსპორტო სისტემა შექმნას". ალიევმა "ცისფერ ნაკადს" ძალზე ძვირადღირებული" უწოდა, ხოლო რუსების წინადადებას - "არარეალური".

გაგრძელება A5 გვერდზე

# პრივატიზება იმერეთში

### ვინ გადაურბენს ბიძინა ივანიშვილს?

ბექა სისაური
გიორგი გახელაძე

საქართველოში ჰიდროელექტრო სადგურების პრივატიზების პროცესი გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტებს განეკუთვნება და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონით, პრივატიზებას პრაქტიკულად აღარ ექვემდებარებიან. ამის ნათელ დადასტურებად თერჯოლის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე "ძევრულჰესიც" გამოდგება.

ამა წლის აპრილში პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის მხარეში თეიმურაზ შაშიაშვილმა განგაში ატეხა, ქონების მართვის სამინისტრო "ძევრულჰესის" პრივატიზებას აპირებსო. მან ჰესის პრივატიზების სურვილში ბორჯომელი დეპუტატი თამაზ გელაშვილი ამხილა. 2003 წლის 7 მარტის გაზეთ "მესაკუთრეში" გამოქვეყნდა სააქციო საზოგადოება "ძევრულჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს განცხადება, ჰესის ძირითადი საშუალების (N1 ჰიდროაგრეგატის გარდა) იჯარით გაცემის შესახებ. მაშინ გელაშვილი, ჰესის 4 წლით იჯარით გადაცემის სანაცვლოდ, 13 მილიონი ლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელებას აპირებდა. მაგრამ პრეზიდენტის რწმუნებული აცხადებდა, რომ გელაშვილი ამ თანხას მხოლოდ ქაღალდზე აჩვენებდა. რეალურად კი, გაკოტრების გზით, ჰესის ხელში ჩაგდებას შეეცდებაო. შაშიაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რათა ჰესის იჯარით გაცემის პროცესი შეეჩერებინა და მოხერხა კიდეც. ქონების მართვის სამინისტრომ მაშინ აღნიშნული პროცედურა შეაჩერა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 საზოგადოება A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 - A7 "საოჯახო ტოტო" - ცხრილი A8 წერილები მთავრობას

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# დარიბი მთავრობა დარიბ პენსიონერებზე ზრუნავს

*ბოლო დროს ოპოზიციის რიგებიდან წამოსული ბრალდებების ფონზე (სახელმწიფო ფინანსების საკუთარ პარტიულ ინტერესებში გამოყენების შესახებ), სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ფინანსურ გაჭირვებაზე სულ უფრო ხშირად წუწუნებენ.*

ლელა მჭედლიძე

ერთ-ერთი პირველი, ვინც ამის თაობაზე საუბარი წამოიწყო, სახელმწიფო მინისტრი იყო. გუშინდელი შეხვედრის შემდეგ, ბლოკის "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" ლიდერი ირაკლი გოგავა სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ავთანდილ ჯორბენაძის ნათქვამს, **"რომ სახსრების უქონლობა მათ წინასაარჩევნო კამპანიის სრულფასოვნად ჩატარების საშუალებას არ აძლევს".** თავის სიტყვების დასადასტურებლად გოგავამ ისიც კი გაიხსენა, რომ **"პარტიის წარმომადგენლებს ბოლო დროს ხელფასი არ აუღიათ".**

სახელმწიფო კანცელარიაში გუშინდელი შეკრების მიზეზი წლევანდელი საპენსიო დავალიანება და სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო შტაბების მუშაობა გახლდათ.

**"ამ ეტაპისათვის ჩვენი საარჩევნო შტაბების მუშაობა დამაკმაყოფილებელია.**

**ამ თემაზე რაიმე კრიტიკული შეფასებები შეხვედრაზე არ ყოფილა. უბრალოდ, ითქვა, რომ კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს პარტიის მუშაობა თბილისში", -** ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე ჟურნალისტებთან საუბრისას სხვებზე გულახდილი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ბლოკის სპიკერ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ფონზე, რომელმაც ჟურნალისტებს "სამადლოდ" მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მიუგდო: "**საპენსიო დავალიანების გამო არსებული პრობლემის გადასაჭრელად გზები დავსახეთ, თუ კონკრეტულად რა, ვერ გეტყვით".** ის, რაც ქალბატონმა ირინამ ვერ თქვა, სხვებმა გათქვეს. როგორც საბოლოოდ გაირკვა, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებმა მოისმინეს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა მინისტრის ამირან გამყრელიძის ინფორმაცია საპენსიო დავალიანების თობაზე და შემდეგ განიხილეს მისივე გეგმა ამ დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით. **"მომდევნო კვირიდან საპენსიო დავალიანების დაფარვა უნდა დაიწყოს და თვენახევრის განმავლობაში დაიფაროს. საამისოდ შემოსავლების მობილიზებაზე პასუხისმგებლობა ფინანსთა სამინისტრომ უნდა აიღოს, გაცემაზე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ. სულ დაახლოებით 24 მილიონი ლარია დასაფარი," -** აცხადებდა ხაზარაძე, მაგრამ გაყინულ-გაუცემელი პენსიების გამო ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ნაადრევად მიიჩნევდა. მისგან განსხვავებით, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზეზვა ღულუნიშვილი უფრო კატეგორიული აღმოჩნდა: **"ძირითადი აქცენტი საბაჟო და საგადასახადო სამსახურების მუშაობის გამოსწორებაზე უნდა გაკეთდეს. გარდა ამისა, გარღვეული ბიუჯეტის პირობებში, ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ მოსახლეობის მიერ გადაუხდელი გადასახადები გაზსა თუ ელექტროენერგიაზე ისევ სახელმწიფოს გადასახდელია..."** როგორც ირკვევა, თავისი შეხედულება ღულუნიშვილმა პრეზიდენტთან შეკრებაზეც არ დამალა.

წინასაარჩევნო პერიოდში ალმასრულებელი ხელისუფლება, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები სოციალურად დაუცველი ფენების ბედს ისე ჩაუღრმავდნენ, რომ 1997-1998 წლის საპენსიო დავალიანების დასაფარადაც კი გამონახეს გზა. ყოველ შემთხვევაში - თეორიული. საუბარია ამ დავალიანების დასაფარად ფასიანი ქაღალდების გაცემაზე....

## მოკლედ

**თბილისი.** ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მომავალ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას და აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილებები საქართველოს დაქუცმაცებას და მაჟორიტარი დეპუტატებისთვის ვადის გაგრძელების დაკანონებას ისახავს მიზნად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. პოლიტიკური მოძრაობა "კავკასიელი", 7 ივლისს ყრილობას გამართავს, რომელზეც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის, პოლიტიკურ სპექტრთან ურთიერთობებისა და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის საკითხს განიხილავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** 17-18 ივნისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართულ, ოსურ და რუსულ ბატალიონებში ორდღიანი ერთობლივი საშტაბო-საკომანდო წვრთნები ჩატარდება. გამორიცხული არ არის, რომ ამ წვრთნების პარალელურად, კონფლიქტის ზონის რომელიმე სოფელში სამშვიდობოთა პრაქტიკული სწავლებებიც მოეწყოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. დეპუტატი ვალერი გელბახიანი სკეპტიკურად უყურებს პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც მინისტრთა კაბინეტისა და ორპალატიანი პარლამენტის შემოღებას და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხს ეხება. ის არ გამორიცხავს, რომ "საკითხი, შესაძლოა, წინასაარჩევნო ხმაურისთვის იყოს გამიზნული". მისი აზრით, 50-მდე მაჟორიტარი "იმედის თვალით შეჰყურებს" საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც მაჟორიტარებისთვის უფლებამოსილების გაგრძელებას გულისხმობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატები" ორშაბათს მიიღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომების ბოიკოტის შესაძლო შეწყვეტის შესახებ. ფრაქცია "დემოკრატების" წევრის ელენე თევდორაძის განცხადებით, იგი არ მიესალმება სხდომების ბოიკოტს, რადგან ბევრი სათქმელი აქვს იმ კანონპროექტებზე, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არის წარმოდგენილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ბერძენიშვილმა, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს, აჭარის ავტონომიის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. ბერძენიშვილის თქმით, იგი, მეგობრებთან ერთად, აჭარის ავტონომიის ლიდერის ასლან აბაშიძის რეჟიმის დემონტაჟს იწყებს. **პრაიმ-ნიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: ამერიკაში ვიზიტი კონკრეტული შედეგებით დასრულდა

პირველი გვერდიდან

მართლაც, საქართველოში დღეს შექმნილი პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, ქვეყნის ხელისუფებისათვის საკმაოდ აქტუალური და ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობის ხდება ყველაზე მთავარი სტრატეგიული პარტნიორის – ამერიკის შეერთებული შტატების კეთილგანწყობის შენარჩუნება.

ბიუჯეტის შეუსრულებლობა და სავალუტო ფონდის მხრიდან ფინანსური დახმარების შეწყვეტის რეალურ საფრთხეზე საუბარი პარლამენტის თავმჯდომარეს შტატებშიც მოუწია. "**ვერ ვიტყვი, რომ ჩემმა არგუმენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. მართლაც უცნაურ ამპლუაში აღმოვჩნდი, რადგან ამ ორგანიზაციასთან მთავრობების წარმომადგენლები ურთიერთობენ ხოლმე. სამწუხაროდ, სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკშიც ძალიან ბევრი პრეტენზიები გამოითქვა ჩვენი მისამართით. ძალიან ბევრ მათგანზე მე ვერ გავცემდი პასუხს, რადგან ეს იყო სამართლიანი არგუმენტები და პრეტენზიები. ორჯერ გავმართეთ შეხვედრა სავალუტო ფონდში. ჩვენი ერთადერთი თხოვნა იყო, რომ მთავრობის მხრიდან ცალკეული ვალდებულებების შეუსრულებლობას არ მოჰყვეს პროგრამებისა და ფინანსური დახმარებების შეწყვეტა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობას დააზარალებს. საფრთხე საკმაოდ სერიოზულია. ძალზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ფონდის მისიაზე, რომელიც საქართველოში ორ კვირაში უნდა ჩამოვიდეს. პარლამენტი მაქსიმალურად შეეცდება, ამ პრობლემების მოგვარების მცდელობას ხელი შეუწყოს, თუნდაც გარკვეულ ეტაპზე, თუმცა, ეს, ძირითადად, მაინც მთავრობის გასაკეთებელია. მსოფლიო ბანკში საქმე უფრო რთულად არის, რადგან იგი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს ითვალისწინებს", -** აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ვიზიტის მეორე მნიშვნელოვანი თემა, ბუნებრივია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის საკითხი იყო. ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ამ მხრივ, ქართული მხარის ვიზიტი შედეგიანადაც დასრულდა. "**კონგრესში გამართული შეხვედრის დროს იმდენად აქტიურად ვსვამდით ლტოლვილთა დაბრუნებისა და აფხაზეთის პრობლემას, რომ კონგრესში ლტოლვილთა საკითხთან დაკავშირებით სპეციალური მოსმენა გაიმართა. კონგრესმენები შეგვპირდნენ (და ასეც მოხდა), რომ ისინი საქართველოს ამ პრობლემას გაახმოვანებდნენ და მოითხოვდნენ, რომ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებს მეტი ყურადღება დაეთმო. ამას გარდა, კონგრესმენებმა და სენატორებმა დაგვარწმუნეს, რომ ისინი მიმართავენ სახელმწიფო დეპარტამენტს, თუ საჭირო გახდა, პრეზიდენტსაც, რათა აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უფრო აქტიურად და, ბუნებრივია, პოზიტიურად ჩაერთოს",** – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.



*ნინო ბურჭანაძე: კონგრესმენები შეგვპირდნენ, რომ ისინი აფხაზეთის პრობლემას გაახმოვანებდნენ.*

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრებს გაერო-ს გენერალურ მდივანთან, კოფი ანანმა, კოდორში გაერო-ს დამკვირვებელთა გატაცების ფაქტზე საუბრისას განაცხადა, რომ აუცილებელია დამნაშავეთა დასჯა, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი ფაქტების გამეორება (სამწუხაროდ, როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა გაერო-ს ამ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, რაც ჩვენს იმიჯს ნამდვილად არ წაადგება).

კოფი ანანთან საუბრისას, ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გაერო-ს გააქტიურებისა და კონფლიქტის ზონაში მისი როლის გაზრდის, ასევე ჟენევის პროცესის გააქტიურების აუცილებლობას, რადგან, როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისთვის გზების ძიება სწორედ ამ ფორმატშია შესაძლებელი.

გაერო-ს გააქტიურებასთან დაკავშირებით, კოფი ანანმა განაცხადა, რომ გაერო ამ საკითხის განხილვის წინააღმდეგი არ არის, თუკი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მხარდაჭერას მოიპოვებს. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებას ამ მხრივაც საკმაოდ სერიოზული სამუშაო აქვს ჩასატარებელი.

# რეალური და ვირტუალური საფრთხე

პირველი გვერდიდან

გარკვეულწილად, თვითონ სარიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფია ამყარებს. 1992 წლიდან დაწყებული, როდესაც ედეპეს ლიდერმა მაშინდელი ვიცე-პრემიერების (ქვილითაია, მარგიანი) წინააღმდეგ გაილაშქრა, სარიშვილი კიდევ რამდენიმე ძალოვან მინისტრს დაუპირისპირდა. უმრავლეს შემთხვევაში, კონფლიქტი მინისტრების გადადგომით მთავრდებოდა, რაც აძლიერებდა ეჭვს, რომ სარიშვილის ქმედებები უშუალოდ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთან იყო შეთანხმებული. ერთადერთი ჩავარდნა სარიშვილს კახა თარგამაძესთან დაკავშირებით ჰქონდა. მიუხედავად ედპ-ს ლიდერის დიდი მცდელობისა, პრეზიდენტი თარგამაძის ერთგული დარჩა. მაშინ გაიყარა სწორედ შევარდნაძის და სარიშვილის გზები, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ დროებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება, მართლაც დასაბუთებულად გამოიყურებოდეს ინფორმაცია ზოგიერთი მინისტრის შესაძლო გადადგმის შესახებ.

თუმცა, ყველაფრის ახსნა მხოლოდ მთავრობაში მიმდინარე კულუარული დაპირისპირებით, ალბათ, გაუმართლებელი იქნება. თუ მკითხველი კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაავლებს თვალს გასულ კვირას კანცელარიიდან წამოსულ მოსაზრებებს, ასეთ სურათს მიიღებს: სავალუტო ფონდი გვტოვებს, ათასობით შეიარაღებული ჩეჩენი საქართველოს საზღვრის გადმოლახვას აპირებს, პოლიტიკური პარტიები პროვოკაციებისათვის ემზადებიან, დედაქალაქში კი სალეხავებით შეიარაღებული, უცხოეთიდან მართული, ეგზალტირებული ახალგაზრდები სამოქალაქო დაპირისპირებას ალვივებენ. თუ ამას სხვა თანმდევ პრობლემებსაც - პენსიები, ხელფასები, კრიმინოგენული სიტუაცია – დავუმატებთ, სიტუაცია აშკარად კატასტროფული ხდება. სხვათა შორის, ბოლო დროს მომავლის მუქ ფერებში დახატვას თვითონ პრეზიდენტიც არ გაურბის. შევარდნაძემ ძალოვანებთან შაბათს გამართულ შეხვედრაზე მის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტები გაიხსენა და ტერორიზმის თემასაც შეეხო.

ასეთ მძიმე მომავალს უხატავს მოსახლეობას თვითონ ხელისუფლება, თუმცა, ბუნებრივია, იქვე ჩნდება კითხვა: რატომ ახდენს მთავრობა მის მიერვე შექმნილი და მოგონილი პრობლემებით მოვლენათა ასეთ დრამატიზირებას? თუ არსებულ სიტუაციას უბრალო ადამიანების (ამომრჩევლების) თვალით შევხედავთ, ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იმაზე ბანალური აღმოჩნდეს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების ფონზე, მოსახლეობისათვის როგორც საარჩევნო კანონმდებლობამ, ისე პოლიტიკური პარტიების პროგრამებმა და სამართლიანი არჩევნების ჩატარების აუცილებლობამაც სულ მალე, შეიძლება, აქტუალობა დაკარგოს. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ამის შემდეგ ბევრად ადვილი იქნება დაზაფრულ და შეშინებულ ადამიანებს თავზე მოახვიო თეზისი, რომ გაურკვეველ მომავალს ისევ შეჩვეული ჭირი სჯობს.

პოლიტიკური ბრძოლის ეს საკმაოდ მარტივი სქემა ქართულ რეალობაში მრავალგზის არის აპრობირებული. როგორც ახლანდელი, ისე ყოფილი ხელისუფალნიც, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, მოსახლეობის დაშინებას არასოდეს ერიდებოდნენ. გარდა ამისა, ასეთი ტაქტიკის ერთი-ერთი უმთავრესი მიზანი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების აქტივობის შესუსტებაა. საილუსტრაციოდ გასული კვირაც გამოდგება, როდესაც სარიშვილის და სხვათა განცხადების გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა მანამდე აქტუალური პოლიტიკური საკითხები თითქმის მთლიანად დაჩრდილა. ასეთ ფონზე ასევე ადვილია, ნებისმიერი აქცია ან გამოსვლა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეაფასო. ამიტომაც, გასაკვირი სულაც არ არის, რომ თუნდაც ასფალტის მოხატვას ხელისუფლება, ლამისაა, სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაციას აძლევს.

ამასთან, არ არის გამორიცხული, ხელისუფლების ეს ტაქტიკა უფრო გლობალურ მიზანსაც ემსახურებოდეს. ოპოზიციური პარტიები, უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლება არც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე იტყვის უარს და ამჟამად მხოლოდ ნიადაგის შემზადება მიმდინარეობს.

როგორც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად დაზარალებული ისევ მოსახლეობა აღმოჩნდება. ახლა მას შეიძლება იმაზე ფიქრმაც მოუწიოს, თუ როგორ გაარჩიოს ერთმანეთისგან რეალური და ვირტუალური საფრთხე.

# თამაში კონსტიტუციის ყანაში

პირველი გვერდიდან

## მომიტეხე ჭადი...

ყოვლად მიზანშეუწონელია, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა, თხუთმეტ ფრაქციად დაშლილმა და დაწანწალიკებულმა, თავისი საქმიანობის მიწურულს, გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში ძირეული კონსტიტუციური ცვლილებები გაატაროს ქვეყანაში. ცხადია, რომ ახალ კონსტიტუციას დაღად გაჰყვება პოლიტიკური ჯგუფებისა თუ ცალკეული პარლამენტარების წინასაარჩევნო თუ არჩევნების შემდგომი ინტერესები. ამის ნიშნები უკვე იგრძნობა. "მომიტეხე ჭადი - მოგიტეხავ ყველსა" - ამის გარეშე სრულიად გამორიცხულია საკონსტიტუციო უმრავლესობის (157 ხმის) მოგროვება იმ პარლამენტში, რომელსაც უზარმაზარი ძალისხმევის ფასად უჯდება არამცთუ 118 ხმით კანონის, არამედ 79 ხმით დადგენილების მიღებაც კი და ძნელად თუ ვინმე გაიხსენებს, როდის იჯდა ბოლოს დარბაზში 157 პარლამენტარი.

ასორმოცდაჩვიდმეტხმიანი უანგარო კონსენსუსიც რომ არსებობდეს, კონსტიტუციისთვის საბოლოო სახის მიცემას, მისგან გამომდინარე კანონების შექმნას და მიღებას კოლოსალური შრომა და დრო სჭირდება. დარჩენილ დღეებში ამ სამუშაოს მოსწრება სრულიად გამორიცხულია და, სამწუხაროდ, კერძო ინტერესები იკითხება სურვილში, როგორმე მიღებულ იქნას თუნდაც უვარგისი პროექტი. ასეთი "მერკანტილური სიჩქარის" შედეგად საუკეთესო შემთხვევაში მივიღებთ "სტახანოვურ სუროგატს", რომელიც ქვეყანაში კატასტროფას გამოიწვევს.

დარჩენილი მცირე დრო და კონსტიტუციაში კერძო ინტერესების ასახვის რეალური საფრთხე - ეს გახლავთ პირველი არგუმენტი, რაც წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტს მიუღებელს ხდის.

## მინისტრთა კაბინეტი - სიმპათიური მკვდარი

კონსტიტუციის პროექტში მინისტრთა კაბინეტის მოდელი ნამდვილად სიმპათიურად გამოიყურება. ავტორთა ღვაწლს არ აკნინებს არც ის, რომ მასში სიახლე არაფერია. იგი იმეორებს ე.წ. პოლონურ მოდელს, რომელიც ორი წლის წინ აქტიურად განიხილებოდა პარლამენტში. ამ მოდელს მხარს უჭერდნენ და ახლაც უჭერენ მთელი რიგი პოლიტიკური ძალები. მისი კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ როგორც პრეზიდენტი, ისე მისი მხარდამჭერი ფრაქციები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მინისტრთა კაბინეტი პრეზიდენტის ხელქვეითი უნდა ყოფილიყო.

ამჯერად მოდელის ავკარგიანობაზე საუბარს აზრი არ აქვს, რადგან ახალ კონსტიტუციაში იმთავითვე ჩადებული აქვთ ბლოკირების სისტემა, რისი წყალობითაც მინისტრთა კაბინეტი ისევე ვერ ამუშავდება, როგორც ქაღალდზე დახატული ავტომობილი. ახალი კონსტიტუცია 2 ნოემბერს არჩეული პარლამენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებას რომ ითვალისწინებდეს, მაშინ ეჭვი არ შეგვეპარებოდა პროექტის ავტორთა გულწრფელობაში, რომ მართლაც სურთ მინისტრთა კაბინეტის შემოღება. თუმცა, ვინც კი გაეცნობა კონსტიტუციის პროექტს, ადვილად დარწმუნდება, რომ მინისტრთა კაბინეტი სიმპათიური კია, მაგრამ მკვდრადშობილია და იგი ვერ ამუშავდება ვერც ამ წლის 2 ნოემბერს, ვერც შემდეგი წლის და საერთოდ, ეს საკითხი ხანგრძლივად გაურკვეველი დროით არის გადადებული.

იმედია, ამ საკითხზე ოპონენტები კამათს არ დაიწყებენ და, აი, რატომ;

პროექტის მიხედვით პარლამენტი ორ პალატად იყოფა - რესპუბლიკის საბჭოდ და სენატად. მინისტრთა კაბინეტს ქმნის რესპუბლიკის საბჭო, რომელიც, ცხადია, ფუნქციონირებას ვერ დაიწყებს სენატის გარეშე.

იმედია, არც ამაზე დაიწყებს კამათს ვინმე, რადგან რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონები სენატმა უნდა დაამტკიცოს.

პროექტის მიხედვით სენატი შედგება აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, თბილისში და გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ საფუძველზე შექმნილ რეგიონალურ-ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული სენატორებისაგან. საიდან რამდენი აირჩევა და სულ რამდენი სენატორი იქნება, ამას კონსტიტუციის ავტორები არ გვიმხელენ, თუმცა, ეს არაფერია იმ რებუსთან შედარებით, რაც შემდეგ მოდის.

დავუშვათ, მოხდა სასწაული, მთელმა პარლამენტმა მხარი დაუჭირა და მიიღო ახალი კონსტიტუცია უმოკლეს დროში, ვთქვათ 20 ივნისამდე, როცა იწურება საგაზაფხულო სესია. ამის შემდეგ, სენატის არჩევნები რომ მოესწროს, პარლამენტმა ერთ თვეში უნდა მიიღოს კანონი, რომელიც დაყოფს საქართველოს გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ საფუძველზე (მუხლი 102). იმ შემთხვევაშიც კი, თუ პარლამენტი გაერკვა, რას ნიშნავს ქვეყნის, ვთქვათ, სოციალური ნიშნით დანაწევრება, ალბათ, ნათელია, რომ ამ კანონის მიღება შეუძლებელი იქნება ერთ თვეში, ან ორში, ან სამში და ა.შ.

არის ეს საკამათო?

წესით, არა.

თუმცა, კამათი ყველაფერზე შეიძლება.

რეგიონალიზმის უპირველესმა გულშემატკივარმა "ტრადიციონალისტებმაც" კი, რომლებიც წლების განმავლობაში საუბრობენ ამ საკითხზე, საბოლოო ჯამში, როცა წერილობით გაფორმებაზე მიდგა საქმე, ვერ შეძლეს, წარმოედგინათ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მათეული მოდელი (რაც, წესით, ავტორებს კონსტიტუციის პროექტში აუცილებლად უნდა აესახათ), მხოლოდ ზოგადი, საკმაოდ ბუნდოვანი, და საბოლოო ჯამში, არაფრისმთქმელი ფორმულირებით შემოიფარგლნენ და როგორ შეძლებს პალამენტი ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტას დარჩენილ დღეებში?

მოხდება ის, რომ პარლამენტი ვერ მიიღებს ამ კანონს;

ვერ მიიღებს კანონს, ვერ ავირჩევთ სენატს;

ვერ ავირჩევთ სენატს და მოგვჭამა ჭირი რესპუბლიკის საბჭომ;

არ იქნება რესპუბლიკის საბჭო და ვერ შეიქმნება მინისტრთა კაბინეტი.

კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები დარჩება მკვდარ ნორმად, რადგან ის ძალაში შედის მხოლოდ ახლად არჩეული რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან (მუხლი 104, 1), ანუ კაცმა არ იცის, როდიდან.

2 ნოემბერს ქვეყანას ექნება ორი კონსტიტუცია - ერთი - ძველი, მაგრამ მოქმედი, მეორე - ახალი, მაგრამ აუმოქმედებელი.

ყველაფერი გაგრძელდება ისე, როგორც დღეს არის, არაფერი შეიცვლება.

თავად კონსტიტუციის პროექტი მეტყველებს იმაზე, რომ მის ავტორებს განზრახვაშიც კი არ აქვთ მინისტრთა კაბინეტის შემოღება და იგი მხოლოდ ზეპირსიტყვიერების მასალად სჭირდებათ საპრესკონფერენციოდ.

ამიტომაც არის, რომ საპრეზიდენტო ფრაქციებს არ ანერვიულებთ პროექტით გათვალისწინებული პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცა, რადგან იმთავითვე გათვალისწინებულია ამ ნორმის აუმოქმედებლობა.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მინისტრთა კაბინეტის შემოღება, პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გადანაწილება და სწორედ ამიტომ არის მიუღებელი კონსტიტუციის ახალი პროექტი, რომელიც თავიდანვე მკვდრადშობილი ნორმების შემოტანით არსებული რეალობის შენარჩუნებას ემსახურება.

## ეგრე არ არის, თაყაო...

რეგიონია აზიაც, ახლო აღმოსავლეთიც, კავკასიაც, დასავლეთ საქართველოც, იმერეთიც და ზემო იმერეთიც. ზეპირმეტყველებით დეკლარირება იმისა, რომ ვიღაც არის რეგიონალიზმის მომხრე და ვიღაც მოწინააღმდეგე, თავისთავად არაფერს ნიშნავს. ვინც რეგიონალიზმს ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის კონტექსტში განიხილავს, მას თუნდაც ზოგადად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული, რა პრინციპებს ეფუძნება რეგიონალიზმი, რამდენ რეგიონად იყოფა ქვეყანა, როგორ არის გადანაწილებული უფლებამოსილებები ცენტრსა და რეგიონს შორის და ა.შ. მხოლოდ ამის შემდეგ ექნება აზრი საუბარს, თუ რას გულისხმობს რეგიონალიზმში პოლიტიკური პარტია, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობაზე აქვს პრეტენზია.

სად უნდა აისახოს ეს?

ცხადია, აუცილებლად - კონსტიტუციის პროექტში.

აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს ის იმედგაცრუება, რაც გამოიწვია ახალი კონსტიტუციის პროექტმა, რომლის განმარტებით ბარათშიც წერია, რომ მისი მიზანია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტა.

ეჭვი არ გვეპარება, ავტორებს გულწრფელად სურდათ ამ საკითხის გადაწყვეტა და ძალისხმევაც არ დაიშურეს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეგიონალიზმის და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის მათეული ხედვა დაიტია ერთადერთმა 102-ე მუხლმა, რომელსაც უცვლელად შემოგთავაზებთ: **"საქართველოს სახელმწიფო შედგება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისგან, განსაკუთრებული სტატუსის მქონე დედაქალაქის თბილისის და გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ საფუძველზე შექმნილ რეგიონალურ-ტერიტორიული ერთეულებისაგან."**

სულ ეს არის კონსტიტუციის პროექტის ავტორთა პოზიცია რეგიონალიზმსა და ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით.

ახლა 157 ხმის მოგროვებაღა სჭირდებათ, რათა საკითხი საბოლოოდ გადაწყდეს და ქვეყანამ ამოისუნთქოს. უფრო მეტიც, "ტრადიციონალისტებს" მიაჩნიათ, რომ ამ მუხლის მისაღებად გარკვეული მსხვერპლიც გამართლებულია, მაგალითად, მაჟორიტარებისათვის ვადის გაგრძელება. თუმცა, ვიდრე მსხვერპლს გავიღებდეთ, უპრიანი იქნება, გავაცნობიეროთ, რისთვის ვიღებთ მსხვერპლს.

ვიდრე კონსტიტუციის ეს პროექტი შეიქმნებოდა, არ ვიცოდით, ქვეყანა როგორ უნდა დაგვეყო.

მაგრამ, რა? ამ კონსტიტუციის მიღების შემდეგ გასაგები გახდება, როგორ უნდა დავყოთ?

რაც შეეხება სახელმწიფოში ტერიტორიების სოციალური ნიშნით დაყოფას, ამისათვის ნამდვილად მოგვიწევს მსხვერპლის გაღება.

ჩვენთვის მიუღებელია არა რეგიონალიზმი, არამედ ის, რომ კონსტიტუციაში არ ჩანს არავითარი ხედვა და პოზიცია რეგიონალიზმთან დაკავშირებით. პროექტში წარმოდგენილ ერთადერთ მუხლს მხოლოდ ბუნდოვანება შეაქვს ისედაც რთულ საკითხში და რეგიონალიზმის იდეის დისკრედიტაციას შეუწყობს ხელს.

ერთმუხლიანი რეგიონალიზმით ღირდა ვითომ კონსტიტუციის შეწუხება?...???

## სენატი ვიქნები და ვიქნები

კონსტიტუციის პროექტი, მართალია, აცხადებს სენატის შექმნას, მაგრამ ზემოთ უკვე ვნახეთ (ამას ვერც ავტორები მალავენ), რომ რეალურად შეუძლებელია მისი არჩევა. მაშინ თითქოს აზრი ეკარგება მთელ ამ საკონსტიტუციო აჟიოტაჟს; თუ არ იქნება სენატი, არ იქნება რესპუბლიკის საბჭო და, აქედან გამომდინარე, მინისტრთა კაბინეტი; წესით აქ უნდა დასრულდეს საუბარი.

მაგრამ ... მოინახა გამოსავალი. ჯერ იდეის დონეზე, თუმცა, სწორედ ეს ცხოველმყოფელი იდეა ასულდგმულებს საკონსტიტუციო ვნებათაღელვას. გავუგრძელოთ მაჟორიტარებს ვადა და დავარქვათ მათ კრებულს სენატი. ვადაგადაცილებული მაჟორიტარები კი სენატორები იქნებიან მანამ, სანამ რესპუბლიკის საბჭო არ შეიმუშავებს კანონს ქვეყნის მოწყობის შესახებ და გადასცემს სენატს დასამტკიცებლად.

სენატს თუ არ მოეწონა კანონპროექტი, ახალი კონსტიტუციის 67-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უკან დაუბრუნებს რესპუბლიკის საბჭოს და მერე ყველაფერი მეორდება და მეორდება.

ანუ სენატორებმა ან თავისი დათხოვნის პროექტი უნდა მოიწონონ და სახლში წავიდნენ, ან არ დაამტკიცონ და დარჩნენ თავის ადგილზე.

როდემდე? შეუძლიათ იქამდე, სანამ არ მოსწყინდებათ.

მოსწყინდებათ რო???

ჩვენ არ ვამბობთ, რომ აუცილებლად ასე მოხდება, მაგრამ ნურც იმას დაიჟინებს ვინმე, რომ ასე არ მოხდება!

ვინც საკუთარი ვადის გადაცილებას მისცემს ხმას, რაც არ არის სასიამოვნო, გაცილებით გაუჭირდება საკუთარი ხელით საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტა. ან შეიწყვეტენ უფლებამოსილებას, ან არა, მაგრამ ნამდვილად არ იქნება მართებული, ქვეყნის სენატი საკუთარ თავთან ბრძოლისა და ადამიანური სისუსტეების დაძლევის საწრთვნელ ბაზად გადავაქციოთ.

ათწლიანი დამოუკიდებლობის მქონე ქვეყანაში, სადაც ახლაღა მკვიდრდება სახელმწიფოებრიობა, მკვეთრად უარყოფით შედეგებს გამოიღებს პარლამენტიზმის საყოველთაოდ დამკვიდრებული ტრადიციების ხელყოფა. ვერანაირი კეთილშობილი მიზანი ვერ გაამართლებს იმას, რომ ოთხი წლით არჩეულმა პარლამენტმა ვადა გაიგრძელოს, ამომრჩევლის უკითხავად.

ისევ უნდა გავიმეოროთ, მაჟორიტარების ვადის გაგრძელების საკითხი, ახალი კონსტიტუციის პროექტში პირდაპირ არსად წერია, მაგრამ იგულისხმება (!) და არა მხოლოდ იგულისხმება, ეს არის კონსტიტუციური აჟიოტაჟისთვის ცეცხლის უმთავრესი შემნთები. ამ იდეის ირგვლივ მიმდინარეობს 157 ხმის შეგროვების მცდელობა. საკმარისია, მაჟორიტარებისათვის ვადის გაგრძელების საკითხი მოიხსნას, კონსტიტუციის ეს პროექტიც უკვალოდ ჩაბარდება ისტორიას.

ჯერჯერობით, კონსტიტუციური ცვლილებების იდეა სულდგმულობს ერთადერთი იმედით, რომ შესაძლოა სახელისუფლებო ფრაქციებმა მხარი დაუჭირონ მაჟორიტარებისათვის ვადის გაგრძელებას. შეუქმნადი მინისტრთა კაბინეტი და ბუნდოვანი ერთმუხლიანი რეგიონალიზმი მხოლოდ ბრჭყვიალა სატყუარაა.

ხელისუფლება კი ცდილობს, მაჟორიტარების იმედი, რაც შეიძლება, გვიან მოკვდეს, რათა პარლამენტში სასურველი ბალანსი შეინარჩუნოს.

დაბოლოს.

დასხდნენ ავტორები და შექმნეს კონსტიტუციის ახალი პროექტი.

თითქოს მინისტრთა კაბინეტის შემოღება სურთ, მაგრამ მათივე პროექტის მიხედვით მინისტრთა კაბინეტი განუხორციელებელია.

თითქოს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის გადაწყვეტა სურთ, მაგრამ პროექტის მიხედვით სრულიად გაუგებარია მათი ხედვა ამ საკითხში.

თითქოს ორპალატიანი პარლამენტის - რესპუბლიკის საბჭოსა და სენატის შექმნა სურთ, მაგრამ პროექტის მიხედვით ამთავითვე მკვდრადშობილი ნორმაა.

ერთადერთი რეალური შედეგი, რაც ახალ კონსტიტუციას შეიძლება მოჰყვეს, არის პრეზიდენტის მუდმივი სენატორობა და მაჟორიტარებისათვის ვადის გაგრძელება, თუმცა, ესეც განუხორციელებელია აბსურდულობის გამო.

გამოდის, რომ ახალი კონსტიტუციის ავტორებს და თანაავტორებს სინამდვილეში სულ სხვა რამ სურთ და ჯერ არ ამხელენ.

ჩვენს ქვეყანაში რა დამალულა, რომ ეს დაიმალოს. ვაცალოთ და გაგვიმხელენ.

**P.S.** სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორს და მეგობარს ვერ ამოუცნია ძირითადი არსი საკონსტიტუციო აჟიოტაჟისა და მისი დამდგმელი რეჟისორი. ან, იქნებ, ამოუცნია კიდეც და როლის მოპოვება სურს. ორივე შემთხვევაში, სახიფათოა თამაში საკონსტიტუციო ყანაში, აღარავინაა ბავშვი და არავინაა დამჭერი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# დადექით პოლიტიკაზე მაღლა

*პირველი გვერდიდან*

უნარშეზღუდული ბავშვები დღეს 15 დაწესებულებაში არიან განაწილებულნი. მათი პირობები განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომისა და სახის დახმარებას იღებენ ისინი საქველმოქმედო ორგანიზაციებისგან. მხოლოდ სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი ბავშვები რთულ მდგომარეობაში არიან. გაერო ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებული სიტუაციური ანალიზის მიხედვით, უმეტესობა შენობა საჭიროებს რემონტს, გამოსაცვლელია ინვენტარი. ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს საჭირო სამედიცინო აპარატურისა და მედიკამენტების შეძენას. საკვები ბავშვთა სახლებში არასაკმარისი და ერთფეროვანია. იგი, ძირითადად, შედგება პურის, ბრინჯის, ლობიოსა და ზეთისგან. მაკარონი, რძის კონცენტრატი და ხორცი იშვიათობაა. საკვებში არ შედის ხილი. არასაკმარისია ტანსაცმელი, განსაკუთრებით ფეხსაცმელი. არის სახლები, კბილის პასტისა და ჰიგიენის სხვა საშუალებების ქრონიკული ნაკლებობა. სახლების უმეტესობას არც გასათბობი და არც წყლის გამაცხელებელი საშუალებები არ გააჩნია. ისეთი საძინებლები, სადაც 30 ბავშვს ერთად სძინავს, ჩვეულებრივი მოვლენაა. პატარების მოვლის ნაკლებობის გამო ბავშვები სტრესულ ვითარებაში იმყოფებიან. ასეთი პირობები განსაკუთრებით მძიმეა უნარშეზღუდულ ბავშვებზე. სახლების ჰიგიენური პირობები არ შეესაბამება ნორმებს. ასეთ პირობებში ბავშვის სიცოცხლე საფრთხეშია.

ფოლ კი, ძირითადად და ერთიანი სამოქმედო დოკუმენტი, უნარშეზღუდული ბავშვების უფლებების დაცვისა და სოციალური პოლიტიკის კუთხით, დღესაც არა აქვს. არადა, ასეთი დოკუმენტი არსებობს. იგი, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის დაკვეთით და ფონდ "ჰორიზონტის" ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, სპეციალისტთა 20-კაციანმა ჯგუფმა შეიმუშავა. "საქართველოს უნარშეზღუდულ ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები" თებერვლიდან უკვე მზად იყო. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ბიუჯეტი – მოგვარების მისი ყველაზე უფრო დაუცველი ნაწილი, პარლამენტს გადაეცა, მაგრამ იგი განხილვაზე არ დააყენეს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ ერთხელ, ისიც ზერელედ მოისმინა ინფორმაცია ამის შესახებ და განხილვის გარეშე არჩევნო დებატებში გადაეშვა. ეს მაშინ, როცა "მიმართულებებზე" მომუშავე ჯგუფი, უნარშეზღუდული ბავშვების მდგომარეობის შესწავლამ, იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მიზანმიმართული პოლიტიკის წარმოებისთვის საქართველოს, პირველ ყოვლისა, საკანონმდებლო ცვლილებები ესაჭიროება.

**"ეს არ არის პარლამენტიდან მოტანილი დოკუმენტი, აქამდე ჩვენ – პრაქტიკოსები, რომლებიც უნარშეზღუდული ბავშვების საკითხებზე წლების მუშაობით – ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოვდიოდით,** - ამბობს პროექტის ერთ-ერთი ავტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია "პირველი ნაბიჯის" ხელმძღვანელი, ნინო ჟვანია, - **თავიდან იმით დავიწყეთ, რომ ვცდილობდით, ელემენტარული ჰუმანიტარული დახმარება გაგვეწია მათთვის, მიგვეცა საკვები, სამოსი, მედიკამენტები, მოგვეგვარებინა გათბობისა და სხვა საკითხები. შემდეგ ეტაპზე პროფესიონალების - ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, ოკუპაციური თერაპიის სპეციალისტების მომზადებაზე დავიწყეთ ზრუნვა, იმ ხალხზე, ვისაც ასეთ ბავშვებთან უნდა ემუშავა. დავამუშავეთ ჩვენი ქვეყნის, მისი კულტურის, ტრადიციების შესაბამისი მეთოდოლოგია. ერთი სიტყვით, სერიოზული სამუშაო გავწიეთ. ვეცდებოდით, პარლამენტის ეს დაკვეთა ამოწმებდა სახელმწიფოს მზაობას, ჰქონოდა ერთიანი სამოქმედო დოკუმენტი უნარშეზღუდული ბავშვების დასაცავად, მაგრამ პროექტი პარლამენტმა "გაიტანა". ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ასეთი პროექტი, ფაქტობრივად, მზა სახელმძღვანელო დოკუმენტი? იგი ხომ იმ საკითხებს შეეხება, რომლებიც ნებისმიერი მიმართულების პოლიტიკური პარტიისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი უნდა იყოს?"**

"საქართველოს უნარშეზღუდულ ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები" რეკომენდაციას აძლევს ხელისუფლებას, პირველ ყოვლისა, მოახდინოს უნარშეზღუდულობის დეფინიცია და განისაზღვროს უნარშეზღუდულობის დადგენის წესები. შესაბამისად, შესწორებას მოითხოვს კანონები ექსპერტიზის, განათლების შესახებ, შრომის კანონთა კოდექსი; შესამუშავებელია რიგი კანონქვემდებარე აქტებისა, ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და სტანდარტებს რომ შეესაბამოს. "მიმართულებების" მიხედვით, სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიამ, ეკლესიამ და, რაც მთავარია, თავად უნარშეზღუდულმა ადამიანებმა. ჩამოყალიბდეს სახელმწიფო საკოორდინაციო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ამ კუთხით გამოყოფილი რესურსების შეთანხმებულ ხარჯვას, შეიმუშავებს უნარშეზღუდულთა გლობალურ პოლიტიკას და განახორციელებს შესაბამის მონიტორინგს. უნარშეზღუდულთა დახმარების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, ძირითადად, ადგილობრივი ხელისუფლების საქმე უნდა გახდეს.



*მათ საზოგადოებამ უნდა ჩასჭიდოს ხელი.*



დოკუმენტი მხარს უჭერს ქვეყანაში სპეციალური ინკლუზიური და ინტეგრირებული ფორმების ფართოდ დანერგვას, როგორც განვითარების ერთნაირად მისაღებ ფორმას უნარშეზღუდული და ჯანმრთელი ბავშვებისთვის; ოჯახზე ორიენტირებულ სოციალურ პოლიტიკას. რაც შეეხება უნარშეზღუდული ბავშვების ჯანმრთელობის დაცვას, აქ ექსპერტები სამ ძირითად მიმართულებას გამოჰყოფენ: პრევენციას, შეფასებასა და მართვას. პირველი - ბავშვის დაბადებამდე, ახალშობილობის დროს გავრცელებული და სოციალური პირობებით გამოწვეული უნარშეზღუდულობის პრევენციას გულისხმობს, მეორე – ქვეყნის მასშტაბით, დიაგნოსტიკის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციის შესაბამისად უნიფიცირებას, მესამე – უნარშეზღუდულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების უწყვეტ პროგრამულ განათლებას, უნარშეზღუდული ბავშვებისა და მათი მშობლების საკონსულტაციო მომსახურებას.

ავტორებს კარგად ესმით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების დიდი ნაწილის განხორციელება დღევანდელი დაფინანსების პირობებში შეუძლებელი იქნება, ამიტომ, მათ პრიორიტეტების ჩამონათვალიც შემოგვთავაზეს. ამას მოსდევს რეკომენდაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის თაობაზე. ყველაფერთან ერთად ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოებაში უნარშეზღუდული ადამიანების ჩართვას და დასაქმებას, მათ სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას.

**"სხვადასხვა ქვეყანა, თავისი განვითარების მიხედვით, ინტეგრაციის სხვადასხვა დონეს აღწევს. მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებს ასეთი ბავშვების დაცვის მეტი საშუალება აქვს. ჩვენნაირ ქვეყანაში კი, პროცესი თანდათანობით, მაგრამ აუცილებლად უნდა განვითარდეს,** - განმარტავს ნინო ჟვანია, - **ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები საქართველოში ძირითადად იმიტომ რჩებიან განათლების გარეშე, რომ პანდუსებისა და შესაბამისი მოწყობილობის არარსებობის გამო, სკოლაში ვერ შედიან; მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვებს არა აქვთ განათლების ინდივიდუალური პროგრამები, თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით რომ ისწავლონ და ა.შ. ამის გამოსწორება დღეს შეიძლება, მთავარია, არსებული თანხები სწორად იყოს დახარჯული. ერთი სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრი "პირველმა ნაბიჯმა" საკუთარი სახსრებით გააკეთა. უახლოეს მომავალში კიდევ ორი ცენტრის გაკეთებას ვგეგმავთ, ერთს - რუსთავში. სახელმწიფომაც გააკეთოს ერთი ცენტრი, ვთქვათ, ქუთაისში. ჩვენ მოვუმზადებთ სპეციალისტებს, მოდელს, პროგრამას მივცემთ – გავუკეთებთ ყველაფერს, რაც შინაარსს სჭირდება, ბიუჯეტმა დაფაროს მხოლოდ მიმდინარე ხარჯები. ხომ შეიძლება, უნარშეზღუდული ბავშვებისთვის წელიწადში ერთხელ ერთი ახალი პროგრამა მაინც გაკეთდეს?"**

ცენტრი, რომელიც "პირველმა ნაბიჯმა" უნარშეზღუდული ბავშვებისთვის გააკეთა, დღეიმდე ფუნქციონირებს. 1999 წელს იქ კასპის ბავშვთა სახლიდან წამოყვანილი 12 პატარა დააბინავეს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, როგორ მდგომარეობაში იყვნენ კასპში ბავშვები, რომლებიც დღეს ცურვაზე დადიან, სპეციალურ საოლიმპიადო თამაშებში მონაწილეობენ, სიცოცხლით სავსენი არიან, ის მიხვდება, რამხელა შრომაა ამის უკან. როცა ზემოთ ნახსენები ორი სახლი ამუშავდება, ნორმალური ცხოვრება კასპიდან წამოყვანილ კიდევ 12 პატარას და სხვა პატარებსაც ექნებათ. მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსები განუსაზღვრელი, თავისი სიტყვა სახელმწიფომ უნდა თქვას.

**"როგორ შეიძლება, ხედავდე ამ ბავშვებს და თვალი პოლიტიკით ქონდეს დაბრმავებული? –** კითხულობს ნინო ჟვანია, - **შემოდგომამდე ერთი სასესიო კვირა დარჩენილი და, კარგი იქნება, თუ დეპუტატები პოლიტიკაზე მაღლა დადგებიან. ჩვენ ყველა შესაბამის სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურასთან განვიხილეთ ეს დოკუმენტი, საქართველოს რვა რეგიონში ჩავიტანეთ, შევხვდით მშობლებს; "მიმართულებების" ძირითადი ნაწილები დაიბეჭდა "ჰორიზონტის" გამოცემაში, დაინტერესებული მხარეებისთვის გავაკეთეთ მისი შემოკლებული ვარიანტებიც... დოკუმენტზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ პრობლემების ცალცალკე გადაწყვეტა რეალურ შედეგს არ მოგვცემს. საჭიროა, პრობლემა მთლიანობაში იყოს დანახული და გაანალიზებული. საჭიროა ერთიანი პოლიტიკა. იქნებ, ამ პარლამენტმა მოახერხოს და მომავალ ხელისუფლებას დაუტოვოს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს საშუალება მიეცემა, გააკეთოს თუნდაც ერთი ნაბიჯი, მაგრამ - სწორი მიმართულებით."**

*სამართალი*

# დრანდის ციხიდან გაქცეული ორი მსჯავრდებული დააკავეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

სამი თვის წინ დრანდის ციხიდან გაქცეული ცხრა პატიმრიდან ორი სიკვდილმისჯილი გუშინ აფხაზეთში დააკავეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლეონიდ გაბლიას თქმით, ძებნილ მსჯავრდებულებს - ალბერტ ტარბასა და ენვერ ტანიას, ოჩამჩირეში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ერთ-ერთ მრავალსართულიან კორპუსში მიაგნეს.

შეგახსენებთ, რომ ალბერტ ტარბას სიკვდილით დასჯის განაჩენი, აფხაზ სეპარატისტთა იდეოლოგად წოდებული იური ვორონოვის მკვლელობისათვის გამოუტანეს. ენვერ ტანია კი აფხაზეთში, სოხუმის ცენტრში ხუთი აფხაზის მკვლელობის ბრალდებით არის გასამართლებული.

ორი გაქცეულის დაკავების შემდეგ, სოხუმის მილიციამ გუშინვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ სოხუმის იზოლატორიდან საეჭვო ვითარებაში გაუჩინარებული დანარჩენი მსჯავრდებულები აფხაზეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებიან. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში ირწმუნებიან, რომ იზოლატორიდან გაქცეულთაგან, ოთხმა, გერვასი ჯოლოგუას ხელმძღვანელობით, უპრობლემოდ შეძლეს საქართველოს ტერიტორიაზე გადასვლა. **"სიკვდილმისჯილებმა - ჯოლოგუამ, ჯაბრაილოვმა, ხანდოხოვმა და ხოჯიევმა ავტომანქანა "ურალის" გატაცება შეძლეს და კოდორის ხეობით დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ",** – აცხადებენ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოები.

სხვათა შორის, დრანდის ციხიდან გაქცეულ სიკვდილმისჯილებს ბოლო დროს ხშირ-ხშირად ახსენებდნენ კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენებისას – გაერო-ს დამკვირვებელთა და მათი ქართველი თარჯიმნის გატაცება-გათავისუფლებისას. გავრცელებული ვერსიის თანახმად, გაერო-ს დამკვირვებლების გატაცებაში სწორედ სოხუმის იზოლატორიდან გაქცეულ პატიმართა ხელი ერია. თუმცა, ამ ვერსიას ქართველი სამართალდამცველები დღემდე, ოფიციალურად, არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

შეგახსენებთ, რომ სოხუმის იზოლატორიდან მსჯავრდებულთა გაქცევის დღესვე, აფხაზები კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ პატიმრებმა, ქართული სპეცსამსახურების დახმარებითა და ხელშეწყობით, კოდორის ხეობაში შესვლა მოახერხეს. კოდორის ხეობის სოფლებში რამდენიმედღიანი გაძლიერებული უშედეგო ძებნის შემდეგ კი აფხაზებმა ახალი ინფორმაცია გაავრცელეს და გაქცეულ სიკვდილმისჯილთა ზუსტ ადგილსამყოფელსაც ასახელებდნენ. სოხუმის ხელისუფლების მტკიცებით, პატიმრები წალენჯიხისა და ზუგდიდის ტერიტორიას აფარებდნენ თავს, რაც ქართველმა სამართალდამცველებმა კატეგორიულად უარყვეს. **"გალის რაიონს ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებთან, დაახლოებით, 60-კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი ჰყოფს, რომელზეც რუსი სამშვიდობოების 12 საგუშაგო მოქმედებს. არანაირი ინფორმაცია სოხუმიდან გაქცეული პატიმრების მიერ საზღვრის გადაკვეთის თაობაზე სამშვიდობოებს ჩვენთვის არ მოუწოდებიათ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ, რომელიც აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ვითარების გართულების შესაძლებლობას არ გამორიცხავდა.

ერთი სიტყვით, იზოლატორიდან გაქცეული ორი პატიმრის დაკავების შემდეგ, აფხაზები პოზიციას კვლავ იცვლიან და თავდაპირველ ინფორმაციას ავრცელებენ. თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში დარწმუნებით აცხადებენ, რომ დანარჩენი შვიდი პატიმარი ამჟამად კოდორის ხეობას აფარებს თავს.

## გაქცეულთა ადგილსამყოფელი არ ხმაურდება

ამ შაბათ-კვირამ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მეტ-ნაკლებად მშვიდად ჩაიარა. მეტიც, თუ შაბათს ქსნის მე-7 დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობის აღკვეთას გავითვალისწინებთ, ეს უიქ-ენდი წარმატებულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, ბოლო ერთი თვის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან 26 პატიმარი გაიქცა. თითქმის ყველა მათგანი მძიმე, დანაშაულისთვის განსჯილი ან განსასჯელია. მათ ძებნას, ამდენი ხნის მანძილზე სასურველი შედეგი არ გამოუღია – ოფიციალური ინფორმაციით, სამართალდამცველები, ჯერჯერობით, ვერც ერთი გაქცეულის კვალს ვერ დაადგნენ. თუმცა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, გაქცეულ პატიმართა უმრავლესობა ან საქართველოს ფარგლებს გარეთაა გასული, ან - საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიებს მიღმა. მაგალითად, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დავით სიხარულიძის შესახებ ამბობენ, რომ მან კვლავაც ცხინვალს შეაფარა თავი – გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის დაპატიმრებამდეც, ძირითადად, იქ ემალებოდა ქართველ სამართალდამცველებს.

ამბობენ, აგრეთვე, რომ სიხარულიძესთან და კიდევ სხვა თორმეტ პატიმართან ერთად გაქცეული სამეული – კანონიერი ქურდი ალექსანდრე კობალაძე, მეტსახელად "სიო", დავით გამყრელიძე და გოჩა გოლეთიანი საპატიმროს დატოვებიდან ორიოდ დღეში თურქეთში გადავიდნენ. კობალაძე წელს, მარტში, კანონიერი ქურდების დაპატიმრებათა ტალღაში მოექცა – ის პოლიციამ 0,2 გრ ნარკოტიკისთვის დააკავა. რაც შეეხება გამყრელიძეს, ის მე-5 საპყრობილეში ყაჩაღობის ბრალდებით ელოდა სასამართლო პროცესზე წარსდგომას, გოლეთიანი კი განზრახ მკვლელობაშია ბრალდებული. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მათ საქართველო-თურქეთის საზღვარი ვალეს საბაჟოს გავლით გადალახეს.

ცხადია, გაქცეული პატიმრებისთვის საზღვარზე გადასვლა ადვილი საქმე არ გახლავთ და ეს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, სხვათა მიერ უკანონო ქმედების ჩადენის გარეშე - ძებნილი პირის შესახებ ინფორმაცია ხომ ყველა სასაზღვრო საგუშაგოს გადაეცემა. ამასთან, ვალეს საბაჟოსთან არსებული სასაზღვრო პუნქტი კომპიუტერული ქსელის საშუალებით იღებს ინფორმაციას და ამოწმებს საზღვრის გადალახვის მსურველთა მონაცემებს. აქედან გამომდინარე, თუ საპატიმროდან გაქცეულმა ძებნილებმა საზღვრის გადალახვა მართლაც მოახერხეს, მათ ან მესაზღვრეები დაეხმარნენ, ან ქვეყნის დატოვება ყალბი პასპორტებით შეძლეს.

სამართალდამცველები ძებნილთა ადგილსამყოფელის შესახებ კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა, სანდო წყაროს ცნობით, ამ კონკრეტული სამეულის შესახებ უკანასკნელი ინფორმაცია გასულ კვირას მიიღეს, რომლის თანახმადაც, კობალაძე, გოლეთიანი და გამყრელიძე საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში იმყოფებოდნენ. იმავე წყაროს ცნობით, მას შემდეგ მათი კვალი დაიკარგა.

*24 საათი*

# სასამართლო სისტემა მოჯადოებულ წრეში

*ქართული მართლმსაჯულების მიმართ საყვედურების გამოთქმა სიახლე სულაც არ გახლავთ, თუმცა, გაცილებით დიდი იშვიათობაა, როცა თემიდის მსახურთა მხრიდან მიზანმიმართულად ან უნებლიედ დაშვებულ შეცდომებსა თუ მოსამართლეთა დაბალ პროფესიონალიზმზე თავად სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ. მართლმსაჯულების წარმომადგენელთა საქმისადმი ზერელე თუ არაპროფესიული დამოკიდებულება კი პირდაპირპროპორციულად აისახება სიმართლის მაძიებელთა ბედზე, რომლებიც, როგორც თავად ამბობენ, წლების განმავლობაში სასამართლო ხელისუფლების მოჯადოებულ წრეში მოექცნენ.*

თამარ კაკიტაძე

ამ წერილის მიზანი კონკრეტულ სასამართლო დავაში მტყუან-მართლის ძიება სულაც არ გახლავთ. უბრალოდ, გვსურს საზოგადოებას საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება გავაცნოთ, რომელშიც მართლმსაჯულების უმაღლესი წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ საბინაო დავის განხილვისას (რომელზეც ქვევით გვექნება საუბარი), სასამართლოს მიერ კანონი არასწორად იქნა გამოყენებული, რადგან მას მოსამართლეები არასწორად კითხულობენ.

საქმე ის გახლავთ, რომ პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის №186 დადგენილება ათწლიანი სასამართლო დავის საბაბი გახდა. ამ დადგენილების თანახმად: **"იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია სეპარატისტთა მიერ მიღებული ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, პრეზიდენტის ინსტიტუტი, ხელშეკრულებები და შეთანხმებები უცხო ქვეყნის სტრუქტურებთან. აგრეთვე, მმართველობის ყველა ორგანო და მათი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას".**

ჩვენი რესპოდენტი - რუსლან ჩემია უმუშევარია და პენსიონერ დედას – ეკატერინე ცინდელიანს არჩენს, დედინაცვალს – ნუცა ბებიას კი მამისეულ ბინას ედავება.

როგორ მოაწერა ხელი რუსლან ჩემიას მამამ - შამილ ჩემიამ გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე - ნუცა ბებიასთან, გაურკვეველია, რადგან იგი ოფიციალურად არ გახლდათ განქორწინებული ეკატერინე ცინდელიანთან (ქორწინება გაფორმებულია ტყვარჩელში), რომელთანაც სამი შვილი ჰყავდა. არადა, წესით, მმაჩის ბიუროში ცნობა განქორწინების შესახებ მისთვის უნდა მოეთხოვათ. აქ ერთი საინტერესო დეტალი იკვეთება – მმაჩის ბიუროს, სადაც შამილ ჩემიას ქორწინება უკანონოდ გააფორმეს, იმ დროისთვის ვინმე ლონდა ჭანტურია ხელმძღვანელობდა. სწორედ ლონდა ჭანტურიას ხელში ჩავარდა წლების შემდეგ რუსლან ჩემიას, ეკატერინე ცინდელიანსა და ნუცა ბებიას შორის დაწყებული საბინაო დავა, ამჯერად იგი უკვე მოსამართლე გახლდათ. მთელი დავის საბაბი კი უკანონოდ გაცემული ქორწინების მოწმობა გახდა – ის, რომელიც თავის დროზე გაიცა ლონდა ჭანტურიას დაქვემდებარებაში მყოფ მმაჩის ბიუროში. რუსლან ჩემიამ და ეკატერინე ცინდელიანმა სასამართლოში საბინაო დავა გარდაცვლილი მამის – შამილ ჩემიას და ნუცა ბებიას ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით დაიწყეს.

გლდანის რაიონის მოსამართლემ ლონდა ჭანტურიამ იმის დასადგენად, რომ შამილ ჩემია და ეკატერინე ცინდელიანი ოფიციალურად ნამდვილად არ ყოფილან განქორწინებულნი, მოდავე მხარეს აფხაზეთიდან, კერძოდ, ტყვარჩელის მმაჩის ბიუროს ცნობა მოსთხოვა. სხვათა შორის, ცნობის მისაღებად გლდანის რაიონის მოსამართლემ ტყვარჩელის მმაჩის ბიუროს პირადად მიმართა წერილობით. მოჯადოებული წრეც სწორედ აქ იღებს სათავეს.

**"ვერ წარმოიდგენთ, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული აფხაზეთიდან რაიმე დოკუმენტის მიღება. ყველა გზა რომ მოვსინჯე და არაფერი გამოვიდა, დახმარება ზუგდიდში "წითელი ჯვრის" ორგანიზაციას ვთხოვე და თითქმის ერთი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ცნობა მოგვიტანეს",** – გვითხრა რუსლან ჩემიამ.

მართალია, მოთხოვნის თანახმად, ჭანტურიას წარუდგინეს აფხაზეთიდან აღებული ცნობა, სადაც დაფიქსირებულია, რომ შამილ ჩემია და ეკატერინე ცინდელიანი დღემდე ოფიციალურ ქორწინებაში არიან, მაგრამ მოსამართლემ ცინდელიანის და მისი ვაჟის სასარჩელო მოთხოვნა მაინც არ დააკმაყოფილა.

**"ცნობა დადასტურებულია აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის შტამპით და ბეჭდით, შესაბამისად, მას, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის ბრძანებიდან გამომდინარე, იურიდიულ ძალის მქონე დოკუმენტად ვერ მივიჩნევ. თანაც, ცნობის მაგივრად, სააქტო ჩანაწერი რომ მოეტანათ, მტკიცებულებად ჩაითვლებოდა",** – ასეთი შინაარსის გადაწყვეტილება გამოიტანა ჭანტურიამ.

მართალია, დედა-შვილმა მოგვიანებით ტყვარჩელიდან სააქტო ჩანაწერიც ჩამოიტანეს და ქორწინების მოწმობის დედანიც, რომლებიც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იუსტიციის სამინისტროსაც დაადასტურებინეს, მაგრამ...

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოსამართლე ჭანტურიამ, თავდაპირველადვე, პარლამენტის დადგენილება შეცდომით გამოიყენა, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაშვებული შეცდომა ზემდგომმა სასამართლოებმაც ინერციით გამოიყენეს და ყველა შემთხვევაში, ჩემია-ცინდელიანის საჩივარი დაუკმაყოფილებელი დარჩა.

**"გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსამართლეს საბნიაშვილს რომ ვაჩვენეთ იუსტიციის სამინისტროს მიერ დადასტურებული დოკუმენტი, მოწინააღმდეგე მხარეს უსაყვედურა - შეცდომაში რად შემიყვანეთ, რატომ არ მითხარით, ეს დოკუმენტი საქმეში რომ იყოო",** – იხსენებს ჩემია.

ასე გაება რუსლან ჩემია და დედამისი სასამართლოს მოჯადოებულ წრეში - საბინაო დავამ საქართველოს ყველა სასამართლო ინსტანცია მოიარა. მართალია, ჩემია-ცინდელიანის მოთხოვნა არავის დაუკმაყოფილებია, მაგრამ მათთვის არც იმედი გადაუწურავთ: შეგიძლიათ ახალი სარჩელით კვლავ მიმართოთ სასამართლოს, შეგიძლიათ კვლავ გაასაჩივროთ მიღებული გადაწყვეტილება და ა.შ. –ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება ასე მთავრდებოდა.

გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილმა კანონიერმა მემკვიდრემ და მეუღლემ (ამაზე მართლმსაჯულება ნამდვილად ვერ დავობს) საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს და პარლამენტის იმ დადგენილების გაუქმება მოითხოვეს, რომელიც მათი ათწლიანი დავის მიზეზი გახდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს დედა-შვილის სარჩელი არ დაუკმაყოფილებია, რადგან სადავო ნორმატიული აქტი ქვეყანაში შექმნილი სულ სხვა პრობლემის დასარეგულირებლად არის შექმნილი. თუმცა კი, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებაში ჩაიწერა: **"სადავო ნორმატიული აქტის თანახმად, იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად მიიჩნევა მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებები, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას. ამ შემთხვევაში კი არ შეიძლება დადგეს საკითხი რაიმე წინააღმდეგობის შესახებ, რადგან ლაპარაკია არა მიღებულ გადაწყვეტილებებზე, არამედ ფაქტზე, რომელზედაც დამოკიდებულია პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა".**

იმავე განჩინებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუბარია იმაზეც, რომ ჩემია-ცინდელიანის სასამართლო დავაში მოსამართლეებმა პარლამენტის დადგენილება არასწორად წაიკითხეს და გამოიყენეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებას, ჯერჯერობით, მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ მართლმსაჯულებაზე ხელჩაქნეული ჩემია-ცინდელიანი საკუთარ სიმართლეში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, მაგრამ რამდენად გამოადგებათ უმაღლესი მართლმსაჯულების მითითება, წინასწარ ძნელი სათქმელია.

მანამდე კი, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა, გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა რუსლან ჩემიას დედინაცვალმა ნუცა ბებიამ. ამ სარჩელით მან სადავო ბინის გაყიდვა და თანხის შუაზე გაყოფა მოითხოვა.

**"მოსამართლე ჭეიშვილს შუამდგომლობით მივმართე, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს, იქნებ ბებიას სარჩელის განხილვა გადადოთ-თქო, მაგრამ მოსამართლემ ჩვენი არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა,"** – გვითხრა რუსლან ჩემიამ.

სხვათა შორის, ბებიას სარჩელის პარალელურად, უზენაესი სასამართლოს მითითებით, ეკატერინე ცინდელიანმა გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოში ბებიას ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ ახალი სარჩელი შეიტანეს. ცინდელიანის სარჩელიც, რატომღაც, მაინცდამაინც მოსამართლე ჭეიშვილს დაეწერა, რომელმაც ბებიას სარჩელი დააკმაყოფილა და სადავო ბინის აუქციონზე გაყიდვა მოითხოვა, ხოლო ცინდელიანს ბებიას ქორწინების ბათილად ცნობაზე უარი განუცხადა.

სადავო ბინის გაყიდვის და ბებიას ქორწინების ბათილად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებებს "ორმხრივად დაზარალებული" მხარე – ჩემია-ცინდელიანი - საოლქო სასამართლოში ასაჩივრებს.

ერთი სიტყვით, ათწლიანი სასამართლო დავის ახალი ეტაპი დაიწყო. რამდენ ხანს გაგრძელდება იგი ან რა შედეგით დასრულდება - წინასწარ ძნელი სათქმელია. ძნელი სათქმელია ისიც, დაეკისრებათ თუ არა იმ მოსამართლეებს პასუხისმგებლობა, რომელთა მიერ კანონის არასწორად წაკითხვის გამო, ჩემია-ცინდელიანი ათი წლის განმავლობაში სასამართლოდან სასამართლოში სამართლის საძებნელად დადიან. მოსამართლეების ჭანტურიას, ჭეიშვილის და საბიაშვილის საქმეს ამჟამად იუსტიციის საბჭო სწავლობს.

■ ამ დღეებში საქართველოში ევრობანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, ქალბატონ ნორინ დოილის ვიზიტები არაერთხელ გაშუქდა და სათანადოდ აღინიშნა. სტუმრის საქმიანი შეხვედრების ერთ-ერთი მიზანი იყო, თუ რამდენად სწორად მიმდინარეობს ევრობანკის საქმიანი ურთიერთობების პროცესები საქართველოში.

■ ქალბატონ დოილის ვიზიტი ქალაქის N1 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მოქმედ კარდიოლოგიურ კლინიკა "გულში" წარიმართა.

■ ცნობილია, რომ ევრობანკი საქართველოში რამდენიმე პროექტს და მიმართულებას ახორციელებს. მისი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება საქართველოში საბანკო სისტემის განვითარება და, ამ მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაა.

■ იმ საფინანსო ინსტიტუტთა რიცხვში, რომლებმაც ევრო ბანკისგან თანამშრომლობაზე დადებითი პასუხი მიიღო, საქართველოდან ერთ-ერთი პირველი "თბილუნივერსალბანკი" იყო. მან 1997 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან პირველი საკრედიტო ხაზი 1 მლნ. აშშ დოლარი მიიღო. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში დაეხმარა "თბილუნივერსალბანკი" ანზორ მელიას, რომელიც დღეს კერძო კარდიოლოგიური კლინიკის მფლობელია.

■ ევრობანკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა სურვილი გამოთქვა საკუთარი თვალით ენახა წარმატებული კომპანია, რომელმაც ამ პროგრამის დახმარებით შეძლო საკუთარი ბიზნესის განვითარება. არჩევანი "თბილუნივერსალბანკი" ერთ-ერთ საუკეთესო მსესხებელზე კარდიოლოგიური კლინიკა "გულზე" შეჩერდა, რომელიც პირველი კერძო სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში.

■ სტუმრებზე კლინიკამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ქალბატონმა ნორინმა დადებითად შეაფასა მისი დონე და კმაყოფილება გამოთქვა ევრობანკის მიერ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის გამოყოფილი კრედიტის მიზნობრივად გამოყენების გამო. მისი აზრით, კლინიკა "გული" საქართველოს პირობებში საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ სწორი და საქმიანი მიდგომით და დროული ფინანსური მხარდაჭერით, პარტნიორი ბანკის მხრიდან, საქართველოში ბიზნესი ნამდვილად შეიძლება განვითარდეს.

## მონიტორინგი

მთავრობის სახარჯო პოლიტიკაში ქაოსია და, როგორც მოსალოდნელი იყო, ვეღარ ხერხდება ყველაზე აუცილებელი ხარჯების დაფინანსებაც კი.

მხოლოდ წინა კვირას დასრულდა რეგიონების მაისის ტრანსფერის, ანუ მასწავლებლების ხელფასების დაფინანსება. გაგრძელდა მაისის ხელფასების გაცემაც. თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მაისის ხელფასების სრულად დაფინანსება მოესწრება ივნისის ბოლომდე. წინა კვირას გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

### 2003 წლის 9-13 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება | **1,286.8** |
| | სახელმწიფო კანცელარია დაქვემდებარებით | 216.8 |
| | საქართველოს პარლამენტთან არსებული ეროვნული ბიბლიოთეკა | 55.3 |
| | სასამართლო სისტემა | 438.1 |
| | სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 455.0 |
| | ცენტრალური საარჩევნო კომისია | 26.7 |
| | უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი | 90.0 |
| | საქართველოს პარლამენტთან არსებული [illegible] | 4.9 |
| 2 | მაისის თვის ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს | **3,598.0** |
| 3 | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სამინისტრო | **400.0** |
| 4 | სარეზერვო ფონდი | **4.9** |
| | [illegible] | 4.9 |
| 5 | [illegible] ხარჯები | **50.0** |
| | საქართველოს პარლამენტი | 50.0 |
| 6 | კულტურის სამინისტროს პროგრამები | **37.5** |
| 7 | ავტომატურ რეჟიმში და ორდერების წესით ჩამოჭრილი თანხები | **488.6** |
| | [illegible] | 442.6 |
| | სასამართლო გადაწყვეტილებები | 46.0 |

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 2 ივნისისათვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | [illegible] | [illegible] | შესრულება | % | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | [illegible] | [illegible] |
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1327.4 | 529.8 | 369.01 | 28% | 70% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 385.09 | 263.41 | 32% | 68% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 318.64 | 226.92 | 34% | 71% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 36.36 | 27.9 | 36% | 77% |
| გრანტები | 95.4 | 38.3 | 8.59 | 9% | 22% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 116.81 | 90.16 | 37% | 77% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 24.05 | 15.67 | 32% | 65% |
| [illegible] | 239.8 | 118.66 | 85.81 | 36% | 72% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| [illegible] | 22 | 13.5 | 15.61 | 71% | 116% |
| [illegible] | 40 | 29.54 | 18.51 | 46% | 63% |
| [illegible] | | | 0 | | |
| [illegible] | 41.5 | 9.51 | 4.26 | 10% | 45% |
| [illegible] | 127.8 | 57.61 | 39.8 | 31% | 69% |

| დასახელება | [illegible] | [illegible] | შესრულება | % | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 511.7 | 260.38 | 205.35 | 40% | 79% |

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

ჩვენი მისია:
ჩვენს მისიას წარმოადგენს მეწარმეებისა და ბიზნესმენებისათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურებისა და მიზნობრივი საბანკო პროდუქტების მთელი ქვეყნის მასშტაბით შეთავაზებით საკრედიტო და სხვა საბანკო მომსახურების მიმწოდებელი ლიდერი ბანკის პოზიციების განმტკიცება. ვეხმარებით რა ბიზნესს ზრდისათვის აუცილებელი სახსრებით, ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. მომხმარებლებს ჩვენ ვთავაზობთ ხელსაყრელ საბანკო მომსახურებას ოპტიმალური პირობებით.

ჩვენ გთავაზობთ:
-სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის
-მიმდინარე ანგარიშებს
-ვადიან დეპოზიტებს, ზრდად ვადიან ანგარიშებს, შემნახველ ანგარიშებს
-ფულად გადარიცხვებს
-ვაჭრობის დაფინანსებას და დოკუმენტურ ოპერაციებს
-სავალუტო ოპერაციებს
-ონლაინ ბანკინგს




ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
ტელ: (995 32) 98-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: central@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
ტელ: (995 32) 25-08-06
ფაქსი: (995 32) 25-08-07
Email: vake@mbg.com.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ტელ: (995 32) 30-17-17
ფაქსი: (995 32) 30-17-18
Email: saburtalo@mbg.com.ge

სადგურის განყოფილება
0112 თბილისი
ტელ: (995 32) 98-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: stationsquare@mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
Email: gldani@mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
0188 თბილისი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
Email: varketili@mbg.com.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ტელ: (995 270) 2-16-09
ფაქსი: (995 32) 33-46-78, 33-46-58
Email: gori@mbg.com.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-44
Email: kutaisi@mbg.com.ge

0115 თბილისი
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
ტელ: (995 257) 2-16-00, 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
Email: marneuli@mbg.com.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
ტელ: (995 231) 4-87-05
Email: kutaisioutlet@mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ტელ: (995 88 222) 7-84-85
ფაქსი: (995 88 222) 7-19-54
Email: batumi@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
Email: poti@mbg.com.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
ტელ: (995 215) 5-11-85
ფაქსი: (995 32) 95-43-74
Email: zugdidi@mbg.com.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ტელ: (995 88 222) 7-74-19
ფაქსი: (995 88 222) 7-74-19
Email: batumioutlet@mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
Email: kobuleti@mbg.com.ge

# პრივატიზება იმერეთში

პირველი გვერდიდან

მაგრამ, ბოლო ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში ისევ მოსალოდნელია "ძევრულჰესზე" ხელახალი კონკურსის გამოცხადება. უფრო მეტიც, გელაშვილის გარდა სხვა მსურველებიც გამოჩენილან. ახლა ამ ჰესის პრივატიზება გავლენიან საქმოსანს, ბიძინა ივანიშვილსაც სურს და მზად არის ამ საქმეში 8 მილიონი დოლარი გადაიხადოს. მას საკუთარ პირობებში საქველმოქმედო ვალდებულებებიც გაუთვალისწინებია. თემურ შაშიაშვილის განმარტებით, ივანიშვილი საჩხერისა და თერჯოლის რაიონებისათვის უფასოდ, ხოლო ჭიათურისათვის 15 პროცენტიანი ფასდაკლებით ელქტროენეგიის მიწოდებას აპირებს.

"ძევრულჰესი" მინიმალური დატვირთვით 30 მეგავატამდე სიმძლავრეს უზრუნველყოფს. მაქსიმალური დატვირთვით მუშაობისას კი, ჰესს 60 მეგავატის უზრუნველყოფა შეუძლია. საშუალოდ დატვირთვით მუშაობისას ჰესს თავისუფლად შეუძლია აღნიშნული ორი რაიონის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ, ამ ენერგოსაწარმოს საკმაოდ დიდი დავალიანება დაუგროვდა: საკრედიტო 53 ათას 544 ლარს შეადგენს, ხოლო დებიტორული კი 594 ათას 739 ლარია.

ჰესის პრივატიზება, სავარაუდოდ, ზაფხულში განხორციელდება. ამავე პერიოდისთვისაა დაგეგმილი საქართველოს კიდევ ერთი სამრეწველო გიგანტის - ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის სახელმწიფოს ხელში არსებული საკონტროლო პაკეტის პრივატიზებაც. ფეროს აქციათა 51 პროცენტს 7 მილიონ დოლარად უპირებენ გაყიდვას. "საქგაზისა" და "რუსთავცემენტის" ყოფილმა მფლობელმა, დეპუტატმა დავით ბეჟუაშვილმა, რამდენიმეწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ჭიათურის მანგანუმის მოპოვებაში მაინც "ჩადგა ფეხი". თავის დროზე, მისი წარუმატებლობა ფეროსა და ჭიათურმანგანუმზე მადის გახსნით დაიწყო. მაშინ ბეჟუაშვილმა შევარდნაძის ოჯახის ინტერესები და საკუთარი შესაძლებლობები ვერ შეაფასა. მაგრამ, ახლა არ არის გამორიცხული, იგი ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდეს.


ზესტაფონის ფეროში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა გასაკვირი არ უნდა იყოს.

იმავდროულად, უფრო და უფრო ინტენსიურად იკვეთება ხსენებული ბიძინა ივანიშვილის მზარდი საინვესტიციო ინტერესები მშობლიურ რეგიონში. საგულისხმოა, რომ საქართველოში მისი სიმდიდრის წყაროდ დღემდე საბანკო-საფინასო საქმიანობა არის მიჩნეული. არადა, ივანიშვილის ბანკს, "როსიისკი კრედიტს" 1998 წლის "შავი აგვისტოს" მერე "ამოსუნთქვის" საშუალება რიგიანად აღარც მისცემია და გაკოტრების პირასაც კი იყო მისული. მაგრამ, უკვე 3-4 წელიწადია, რაც იგი ბევრად უფრო სარფიანი, ადრე ფულდაბანდებული საქმით არის დაკავებული. მისი ძალისხმევით არის შექმნილი ჰოლდინგი "მეტალოინვესტი", რომელშიც შედის ორი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი და ერთი ფოლადსადნობი ქარხანა. აქედან უმსხვილესია ლებედინის კომბინატი, რომელიც მსოფლიოში უდიდეს რკინის მადანსა და კარიერს ამუშავებს. კომბინატი, რკინასთან ერთად, მოიპოვებს მანგანუმისა და ქრომიტის მადნებს. თუ ამას დავუმატებთ, რომ რუსეთში გაკონტროლებული კაპიტალის მოცულობით 2002 წლის ასეულში ივანიშვილი 34-ე ადგილზე იყო, მაშინ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს მისი გამოჩენა ყვირილას გაღატაკებულ ხეობაში. შესაბამისად, "ძევრულჰესისგან" განსხვავებით, ფეროს ხელში ჩასაგდებად, სხვადასხვა დაჯგუფებებსა თუ კლანებს შორის მძაფრი ბრძოლის გაჩაღება არის მოსალოდნელი.

# სახარჯო პოლიტიკაში შეინიშნება პანიკის ნიშნები

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხუთი თვის ოპერატიული მონაცემები მხოლოდ 9 ივნისს(!) გამოაქვეყნა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვიღებდით განმარტებებს, რომ "ბანკი ჯერ დახურული არ არის" და "ველოდებით ინფორმაციას აჭარიდან". სინამდვილეში ბავშვისათვისაც გასაგები იყო, რომ მთავრობამ ბიუჯეტი გაარღვია. თუმცა ასეთ კატასტროფულ შედეგს ჩვენც კი არ ველოდით. ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ექვსი თვის გეგმის შესრულებას აკლია 83.7 მილიონი ლარი.

სამწუხაროდ, გამართლდა ჩვენს მიერ ადრე გამოთქმული პროგნოზი - არჩევნების მოახლოებასთან ერთად მთავრობის გადასახადების ამოღების უნარი, მრავალი უკანონო და მანკიერი მეთოდების გამოყენების მიუხედავადაც კი, უარესდება.

**დღეს უკვე გვიწევს საუბარი ახალ ტენდენციებზე და მოვლენების ასეთი განვითარებით, ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს უკვე 75 მილიონ ლარს.**

როგორც "24 საათში" წინა კვირაში გამოქვეყნებულ წერილებში უკვე აღვნიშნეთ, ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 25-26 მილიონ ლარს, ხოლო გრანტების დანაკლისი კი - 80-81 მილიონ ლარს. **შესაბამისად, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 180 მილიონ ლარს.**

**უკვე ნათელია, რომ მთავრობა ვერ შეასრულებს პრივატიზაციის დაგეგმილ პროგრამას (თუ იყო საერთოდ რამე დაგეგმილი) და, შესაბამისად, პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 30 მილიონ ლარს.**

სახაზინო ვალდებულებების განთავსებით დაგეგმილი 22 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლების მიღება თითქოს არ უნდა იყოს პრობლემებთან დაკავშირებული, მაგრამ, **არჩევნების მოახლოებასთან ერთად, გაიზრდება განთავსების საპროცენტო განაკვეთი და ამის გამო ბიუჯეტს მოუწევს 7-8 მილიონი ლარის დამატებითი ხარჯის გაწევა სახაზინო ვალდებულებების დისკონტზე. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულებების შემოსავალი, პრაქტიკულად სრულად, "შეიჭმება" სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯებით. ამით მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაში დეფიციტი დამატებით გაიზრდება 7-8 მილიონი ლარით.**

ეროვნული ბანკის სესხის ეჯასტორი იმგვარადაა შედგენილი, რომ მთავრობას სესხის გამოყენება შეუძლია მხოლოდ საგარეო ვალის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტის დასაფარად. შესაბამისად ეროვნული ბანკის სესხი მიმდინარე ხარჯების დეფიციტის შესავსებად არ გამოდგება.

მთავრობას ორი გამოსავალი აქვს: 1. ან უნდა შეიტანოს შესწორებები 2003 წლის ბიუჯეტში, ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ეროვნულ ბანკთან შეათანხმოს ეროვნული ბანკის სესხის ახალი ეჯასტორი, რომ მიიღოს სესხის გარკვეული ნაწილის მიმდინარე ხარჯებზე მიმართვის შესაძლებლობა; 2. ან საგარეო ვალის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტის დაფარვის დაგეგმილი პროგრამის ნაცვლად (ევროკავშირის ვალის ძირითადი თანხა და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ვალის რეზერვი), თანხები მიმართოს ძირითადი ვალისა და მომსახურების პროცენტის დაფარვის სხვა პროგრამებზე - მაგალითად ე.წ თურქმენეთის პროგრამის დაფარვაზე.

| ხარჯები | ექვსი თვის გეგმა | გადახდა | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|
| | | | კვარტლის გეგმასთან |
| მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 65,790.0 | 42,983.8 | 65.33% |
| დამქირავებლიდან ანარიცხები | 15,984.0 | 11,201.6 | 70.08% |
| მივლინებები | 3,559.0 | 2,376.8 | 66.78% |
| სხვა საქონელი და მომსახურება | 77,006.0 | 44,956.3 | 58.38% |
| ოფისი | | 1,978.4 | |
| კომუნალური | | 10,543.2 | |
| ტრანსპორტი და ტექნიკის ხარჯი | | 4,941.3 | |
| კვების ხარჯები | 10,707.0 | 6,485.8 | 60.58% |
| რბილი ინვენტარი და უნიფორმა | | 1,202.7 | |
| სპეციალური პროგრამების მომსახურება | | 4,701.2 | |
| მედიკამენტები | | 79.0 | |
| სხვა ხარჯები | | 15,033.7 | |
| პროცენტების გადახდა | 75,040.0 | 65,874.0 | 87.79% |
| საგარეო ვალზე | 37,277.0 | 27,298.0 | 73.23% |
| საშინაო ვალზე | 37,763.0 | 38,576.0 | 102.15% |
| სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 161,912.0 | 105,898.0 | 65.40% |
| საპენსიო ტრანსფერი | 14,672.0 | 9,218.0 | 62.83% |
| ჯანდაცვის პროგრამების ტრანსფერი | 14,709.0 | 5,819.0 | 39.56% |
| [illegible] ტრანსფერი | 390.0 | 260.0 | 66.67% |
| ოჯახური დახმარების ტრანსფერი | 7,200.0 | 3,600.0 | 50.00% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციის პროგრამის ტრანსფერი | 2,055.0 | 682.0 | 33.19% |
| მიგრანტთა სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამის დასაფინანსებლად | 400.0 | 100.0 | 25.00% |
| [illegible] პროგრამის ტრანსფერი | 390.0 | 98.0 | 25.13% |
| ლტოლვილთა შემწეობა | 19,782.0 | 13,793.0 | 69.73% |
| ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ტრანსფერი | 36,357.0 | 23,465.0 | 64.54% |
| კულტურის დაწესებულებების სუბსიდიები | 1,968.0 | 1,311.0 | 66.62% |
| ტელერადიოკორპორაციის სუბსიდია | 6,340.0 | 4,030.0 | 63.56% |
| ენერგოსექტორის სუბსიდია | 29,175.0 | 25,555.0 | 87.59% |
| კაპიტალური ხარჯები | 3,327.0 | 425.0 | 12.77% |
| დაკრედიტება დაფარვის გამოკლებით | 94,637.0 | 65,207.0 | 68.90% |
| საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვა | 21,017.0 | 11,795.0 | 56.12% |
| სახელმწიფო პროექტების თანადაფინანსება | 12,115.0 | 10,684.0 | 88.19% |
| სახელმწიფო პროექტები | 60,705.0 | 41,928.0 | 69.07% |
| ს.ს. [illegible] | 800.0 | 800.0 | 100.00% |
| სულ: | 497,255.0 | 338,931.5 | 68.16% |

| | |
|---|---|
| 1 ივნისის მდგომარეობით ხაზინის ანგარიშზე რიცხული ფულადი ნაშთი | 4,682.5 |
| ცენტრალური ხაზინის ანგარიში | 3,618.0 |
| სახელმწიფო დეპარტამენტების, ფონდისა და რეგიონული სახაზინო სამსახურის ანგარიშები | 1,064.5 |

**თუ ასე არ მოხდა, მთავრობა წელსაც ვერ მიიღებს ეროვნული ბანკის დაგეგმილ სესხს დაახლოებით 20-22 მილიონი ლარის ოდენობით. თუმცა, მიიღებს გარკვეულ ეკონომიას ეროვნული ბანკის სესხის მომსახურების პროცენტის ხარჯებში. შესაბამისად ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებისა და დაფინანსების დანაკლისი წლის ბოლომდე იქნება 230 მილიონი ლარი.**

განვიხილოთ ხუთ თვეში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯებიც.

ხელფასებისა და დამქირავებლიდან ანარიცხების ხარჯები შედარებით დაუახლოვდა ერთმანეთს, თუმცა ამ საკითხზე უფრო დეტალურ ანალიზს შემოგთავაზებთ მოგვიანებით.

**ალმაშფოთებელია, რომ ხელფასები, მივლინებები და სხვა საქონელი და მომსახურება პრაქტიკულად ერთ დონეზეა დაფინანსებული, შესაბამისად ექვსი თვის გეგმის 65, 67 და 58 პროცენტები.** ამის მიზეზებზე ჩვენ ბევრჯერ მოგახსენეთ. **მთავრობის სახარჯო პოლიტიკის პრიორიტეტია – ქაღალდზე ბიუჯეტის შესრულების დაფიქსირება. მაგრამ, მთავრობა ვეღარც ამ ამოცანას ასრულებს და სახარჯო პოლიტიკაში შეინიშნება პანიკისა და ქაოსის ნიშნები.**

რა უნდა ითქვას ხარჯებზე, როცა საპენსიო ტრანსფერი მხოლოდ 63 პროცენტით, ჯანდაცვის პროგრამების ტრანსფერი 40 პროცენტით, უმწეო ოჯახთა დახმარების ტრანსფერი 50 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციის პროგრამების ტრანსფერი 33 პროცენტით, მიგრანტთა რეაბილიტაციის პროგრამის ტრანსფერი 25 პროცენტით, ლტოლვილთა შემწეობები 70 პროცენტითაა დაფინანსებული? ამ დროს, ენერგოსექტორის სუბსიდია დაფინანსებულია 88 პროცენტით. სამწუხაროდ, ვერც ენერგოსექტორის დაფინანსების მაღალმა დონემ ვერ მოაგვარა ენერგოპრობლემები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ენერგოსექტორის სუბსიდია, ძირითადად, ისევ ბიუჯეტის შესასრულებლად გამოიყენება და თვითონ ენერგოსექტორს თანხები აღარ რჩება.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

# დაეხმარება თუ არა ბერეზოვსკის "ლიბერალური რუსეთი"?

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში


ჩემი მიზანია ლიბერალიზმის იდეების ბოლომდე გატარება - ქადაგებს ბერეზოვსკი

"ლიბერალური რუსეთის" ლიდერის, დეპუტატ სერგეი იუშენკოვის მკვლელობის შემდეგ, პარტიის აქტივისტები და პოლიტიკური საბჭო 14 ივნისს პირველად შეიკრიბა მოსკოვის გარეუბანში, გოლიცინოში, სადაც მინისტრთა საბჭოს ყოფილი პანსიონატია.

პარტიის პირველი გრანდიოზული ყრილობა მოსკოვის ცენტრში ბერეზოვსკიმ დააფინანსა და მაშინ ყველამ დაიჯერა, რომ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ნამდვილი ლიბერალიზმის იდეების მიმდევარი სერიოზული ძალა გაჩნდა. ყრილობაზე აწ გარდაცვლილი სერგეი იუშენკოვი ბერეზოვსკის ხელით დაწერილ პარტიულ მანიფესტს გახარებული კითხულობდა. ექვსი თვის შემდეგ იუშენკოვი და პარტია პოლიტიკური რიგებიდან გარიცხავს მთავარ ფინანსისტს - ბორის ბერეზოვსკის, კომუნისტებისადმი გადამეტებული სიყვარულის გამო. ერთი თვის შემდეგ, საკუთარი სახლის წინ, ქილერი დაცხრილავს იუშენკოვს და რუსული მართლმსაჯულება დამნაშავეს ვერც ახლა იპოვის. "ნაკლები უნდა ექურდა", - იტყვის რუსეთის დუმაში სპეციალურად ამ საკითხზე დაბარებული გენპროკურორის მოადგილე.

ისევე, როგორც ცნობილი ჟურნალისტის ვლად ლისტევის მკვლელობის შემდეგ, მოსკოვი ალაპარაკდა, რომ ფინანსური გადახარჯვების გამო იგი ბერეზოვსკიმ მოიშორა, ზუსტად ასე ლაპარაკობს, წერს და ამტკიცებს რუსული მედია (იმ გაზეთების გამოკლებით, რომლებსაც დღემდე ოლიგარქი აკონტროლებს), რომ "ლიბერალური რუსეთის" ლიდერის მკვლელობა ბერეზოვსკიმ შეუკვეთა.

იმ წუთებში, როცა გოლიცინოში ბერეზოვსკის მოწინააღმდეგეები ოლიგარქს თვითმარქვია თაღლითად ნათლავდნენ და პარტიაში სერიოზულ განხეთქილებაში, იუშენკოვის მკვლელობასა და რუსეთში ლიბერალური იდეების დისკრედიტაციაში ადანაშაულებდნენ, მოსკოვის ცენტრში მდებარე სასტუმრო "კოსმოსის" დარბაზში მოწყობილი პირდაპირი ტელეხიდით, ლონდონიდან ბერეზოვსკი ნიანგის ცრემლებს ღვრიდა მოკლული იუშენკოვის გამო. "ჩემს მიზანს ვინმეს გზიდან ჩამოცილება არ შეადგენდა, ჩემი მიზანია რუსეთის დემოკრატიული განვითარების გზაზე დაბრუნება და ლიბერალიზმის იდეების ბოლომდე გატარება," - ქადაგებდა ბერეზოვსკი. სცენაზე რუსეთის პირველი პრეზიდენტის, ბორის ელცინის გადიდებული ფოტო ეკიდა, ხოლო ფოიეში მოკლული იუშენკოვის ასევე გადიდებული უზარმაზარი ფოტოსტენდი იდგა. ყრილობის დელეგატებს ძვირფას საჩუქრებს ურიგებდნენ, მაგალითად, ორმოცდაათ დოლარად შეფასებულ "სვოჩის" ფირმის საათებსა და სამახსოვრო კალმისტრებს, წიგნებსა და ვიდეოკასეტებს - ოლიგარქის ემიგრაციაში ცხოვრების ამსახველი დეტალების შესახებ. ყრილობას 628 დელეგატი დაესწრო რუსეთის 61 რეგიონიდან. ყრილობამ იუშენკოვის მკვლელობის საკითხში პოზიციები ვერ დაადგინა, როგორც ამის შესახებ ადრე იყო გამოცხადებული. ბერეზოვსკის განცხადებით, იგი აფინანსებდა და კვლავაც დააფინანსებს პარტიის გონივრულ ნაწილს, მათ, ვინც მომავალ არჩევნებში გამარჯვებისათვის იბრძოლებს. ოლიგარქმა ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხისას, დასახული მიზნების მისაღწევად კომუნისტებთან და გაზეთ "ზავტრას" რედაქტორ პროხანოვთან ალიანსზე წასვლა არ გამორიცხა.

"ლიბერალური რუსეთის" "უგუნური ნაწილი", რომელიც გოლიცინოს პანსიონატში პარტიის პოლიტსაბჭოს გაფართოებულ სხდომაზე შეიკრიბა, წინსააარჩევნო პლატფორმას ამუშავებდა. გადაწყდა, რომ არჩევნებში "ლიბერალური რუსეთი" "რუსეთის რესპუბლიკურ პარტიასთან" ერთად გამოვა. სერგეი იუშენკოვის თანამებრძოლმა ვიქტორ პახმელკინმა ბორის ბერეზოვსკის "თვითმარქვია თაღლითი" უწოდა. პახმელკინი ამბობს, რომ ბერეზოვსკი რუსეთის ლიბერალური ღირებულებების დისკრედიტაციას ეწევა. "ლიბერალური რუსეთის" უმრავლესობა მიიჩნევს , რომ იუშენკოვის მკვლელობა ბერეზოვსკის შეკვეთილია. " ამ კაცს არანაირი პრინციპები არ გააჩნია, იგი საერთოდ უპრინციპო ადამიანია, მას არანაირი პოლიტიკური პლატფორმა არ გააჩნია და მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს, როგორმე ექსტრადიცია აიცილოს თავიდან," - ამტკიცებს რუსი პარლამენტარი. პახმელკინმა კატეგორიულად უარყო მოარული ხმები ბერეზოვსკისთან ალიანსზე.

დამკვირვებელთა აზრით, "ლიბერალური რუსეთის" გააქტიურების მიუხედავად, პარტია მოსალოდნელ საპარლამენტო არჩევნებში მესამე პოზიციას ვერ დაიკავებს. ამის მიზეზი, პირველ რიგში, შიდაპარტიული განხეთქილებაა. ანალიტიკოსთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ამაშია ოლიგარქის მთავარი მისია: გახლიჩოს და ერთმანეთს დაუპირისპიროს რუსეთის დემოკრატიული ძალები და საკუთარი ინტრიგებით კომუნისტებს პოზიციები გაუმყაროს. რუსეთის პარლამენტში მიიჩნევენ, რომ ბერეზოვსკიმ რუსეთის ერთადერთი დემოკრატიული პარტიის განადგურებაც შეძლო, რითაც კრემლის დერჟავნიკული ამბიციები ამომრჩევლის თვალში უდავოდ აამაღლა.

# ვენესუელა: ბრძოლა ცესკოს დაკომპლექტებისათვის.



ვენესუელა სამოქალაქო დაპირისპირების ჭაობში ჩაეფლო.

16 ადამიანი დაიჭრა ვენესუელას ქუჩებში მომხდარი შეტაკებების შედეგად. შეტაკებები უკვე არა პოლიციასა და ოპოზიციას, არამედ პრეზიდენტ ჩავესის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მიმდინარეობს.

გუშინ ჩავესის მომხრეებმა სცადეს, ოპოზიციის დემონსტრაციისათვის გზა გადაეკეტათ, რასაც ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ მოულოდნელად, ვიღაცამ სროლა დაიწყო და ოთხი ადამიანი დაჭრა. საბოლოოდ, პოლიციამ პრეზიდენტის მომხრე დემონსტრაციის დაშლა მოახერხა.

მას შემდეგ, რაც ვენესუელაში მასობრივი მღელვარებები დაიწყო, შეტაკებებმა უკვე 40 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. საზოგადოების აზრი, პრეზიდენტთან დაკავშირებით, ორადაა გაყოფილი. საშუალო ფენა და მისი პარტიები ჩავესს პოპულიზმში და ქვეყნის გაყვლეფაში ადანაშაულებს, ღარიბები კი მას თავიანთი უფლებების დამცველად მიიჩნევენ. ამ ორ ჯგუფს შორის ზემოაღნიშნულის მსგავსი შეტაკებები ხშირად ხდება.

ოპოზიცასა და პრეზიდენტს შორის საერთაშორისო შუამავლების მეშვეობით მიღწეული კომპრომისის თანახმად, 19 აგვისტოს ქვეყანაში რეფერენდუმი უნდა გაიმართოს, რომელიც ჩავესს განაჩენს გამოუტანს.

მაგრამ, შეთანხმება - ვინ ჩაატარებს რეფერენდუმს, მიღწეული არ არის. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს ცენტრალური საარჩევნო კომისია, პრეზიდენტსა და ოპოზიციას ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები აქვთ. ამჟამად, ოპოზიცია პარლამენტის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს.

# რუსეთი და ირანი ბაქო-ერზრუმის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

"ბრიტიშ პეტროლიუმ-აზერბაიჯანის" ხელმძღვანელმა დევიდ ვუდვორდმა ასევე გააკრიტიკა რუსების იდეა. "ჩვენ სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობა უკვე დავიწყეთ და ამ პროექტიდან გადახვევას არ ვაპირებთ. თუმცა, შაჰ-დენიზის განვითარების შემდეგ ეტაპებზე, ჩვენ, შესაძლოა, გაზის სხვადასხვა მარშრუტებით ტრანსპორტირებაც განვიხილოთ. რუსეთი, შეიძლება, ერთ-ერთი მათგანი იყოს", - თქვა მან.

"ბიპი", ნორვეგიულ კომპანია "სტატოილთან" ერთად, ყველაზე მსხვილი აქციონერია: თითოეული მათგანი 25.5 პროცენტს ფლობს.

პროექტის პირველი ნაწილი, დაახლოებით, 3.2 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდება. შაჰ-დენიზის გაზსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად გაივლის, რომლის მშენებლობა უკვე დაწყებულია. მართალია, ბაქო-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა მომავალ წლამდე არ დაიწყება, მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოები და მიწის შესაბამისი მონაკვეთის გასუფთავება უკვე მიმდინარეობს.

პრობლემები მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც გაჩნდა ეჭვი, რომ თურქეთი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებას ვერ შეძლებს. 2001 წლის მარტში ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად, თურქეთმა 2006 წელს ორი მილიარდი კუბური მეტრი გაზის შესყიდვა ივალდებულა. მომავალ წლებში კი ეს რაოდენობა მკვეთრად უნდა გაიზარდოს.

თუმცა, ამ წლის დასაწყისში რუსულმა "გაზპრომმა" და იტალიურმა "ენიმ" "ცისფერი ნაკადის" მეშვეობით გაზის მიწოდება უკვე შეამცირეს. "თავრიზ-ერზერუმის" მილსადენით თურქეთში გაზის მიწოდება ირანმაც შეამცირა.

თურქეთი კი მაინც ამტკიცებს, რომ ბაქო-ერზერუმის კონტრაქტის შეცვლის აუცილებლობა არ არსებობს და ანკარა კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს შეასრულებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მსგავსად, საქართველოზე გამავალი გაზსადენის მშენებლობას დასავლეთი და ბაქო აქტიურად უჭერენ მხარს.

კალიუჟნისთან ერთად, ირანელი ექსპერტი კავე აფრასიაბი ამტკიცებდა, რომ ახალი გაზსადენის აშენებას აზრი არ აქვს მაშინ, როდესაც ირანის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენი უკვე მოქმედებს.

"აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენს უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკური, - აღნიშნა აფრასიაბიმ, - აზერბაიჯანმა ეს გზა მხოლოდ ამერიკის ზეწოლის გამო აირჩია".

"სტატოილ-აზერბაიჯანის" პრეზიდენტის გეორგ გუნდრესენის მტკიცებით, პრობლემების დაძლევა დასავლურ და თურქულ კომპანიებთან ახალი კონტრაქტების ხელმოწერით არის შესაძლებელი.

კონფერენციაზე საქართველოს მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებაც ეჭვქვეშ დადგა. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ განაცხადა, რომ "გაზსადენს უფრო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს".

"ჩვენი ქვეყანა ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას აზერბაიჯანული გაზის ალტერნატიული წყაროს საქართველოში შემოსვლის შემდეგ მიაღწევს".

საქართველო ამჟამად რუსულ გაზზე არის დამოკიდებული. მაისში კი "გაზპრომის" პრეზიდენტი ეწვია თბილისს და საქართველოს ხელისუფლებასთან გაზსადენების აღდგენაზე გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია.

თუმცა, ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველი სტივენ მენი გასულ კვირას საქართველოს ეწვია და პრეზიდენტი შევარდნაძე გააფრთხილა, რომ "გაზპრომთან" შეთანხმებამ შეიძლება "საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად შეასუსტოს".

ბაქოში მყოფი ანალიტიკოსების აზრით, ყველაფრის მიუხედავად, გაზსადენი მაინც აშენდება. ენერგეტიკული ექსპერტის ფაშა კესამანსკის თქმით, პროექტში მონაწილეები "იმდენად სულელები არ არიან, რომ გაზის შესყიდვაზე გარანტიების არარსებობის შემთხვევაში, მილსადენის მშენებლობა დაეწყოთ".

# ერაყის ახალი მმართველი წესრიგის დამყარებას იწყებს

ომის დასრულების შემდეგ, ერაყელები გამუდმებით ჩიოდნენ, რომ ქვეყანაში სრული ქაოსი იყო გამეფებული და ამერიკელები წესრიგის დასამყარებლად არაფერს აკეთებდნენ. მაგრამ, როგორც კი ახალმა ადმინისტრატორმა პოლ ბრემერმა წესრიგის დამყარება, მოსახლეობიდან იარაღის ამოღება და სადამის მომხრეთა ქალაქების პატრულირება დაიწყო, ამას უკამყოფილების კიდევ უფრო დიდი ტალღა მოჰყვა. 4000 ამერიკელი ჯარისკაცი ერთბაშად შევიდა ქალაქ თულუიაში, სადაც, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ბაასისტი ჯარისკაცები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ამერიკელთა ყველაზე დიდი ოპერაციაა სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ. მის შედეგად 397 ერაყელი დააკავეს.

ბოლოხანს ერაყელები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკელებს. ომის დასრულების შემდეგ, ამ ქვეყანაში 40 ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და ერთი საბრძოლო ვერტმფრენიც ჩამოაგდეს.

ერაყის მმართველის, პოლ ბრემერის განცხადებით, ერაყელები პატარა, 5-6 კაციანი ჯგუფებით მოქმედებენ, მათ შორის გარკვეული კოორდინაცია არსებობს, მაგრამ ცენტრალიზებული კონტროლი არ შეინიშნება.

აშშ გაერთიანებული შტაბების უფროსის, გენერალ მაიერსის აზრით, ერაყში ხუთი განსხვავებული ჯგუფი მოქმედებს, რომელიც ამერიკელებს ებრძვის. მათ შორის არიან ბაასისტები, რომელთაც იმედი აქვთ, რომ სადამი დაბრუნდება, ტერორისტული დაჯგუფება "ანსარ-ალ ესლამი", და ერაყში ახლადგამოჩენელი ჯიჰადისტები.

გენერლის განცხადებით, ქვეყანაში არის უამრავი ფული და კიდევ უფრო მეტი იარაღი, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობას კვებავს. მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ იარაღის ნებით ჩაბარებაზე უარი თქვა, ამერიკელებმა დაიწყეს იარაღის ამოღების მასობრივი ოპერაცია, რასაც სახალხო მღელვარება მოჰყვა. ერაყელების აზრით, არსებული ანარქიის პირობებში, იარაღი თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა.

თანაც, ბევრი ჩივის იმაზეც, რომ ის ერაყელები, რომლებიც ამერიკელებს დაუახლოვდნენ, ამ კავშირს თავიანთი პირადი ანგარიშების გასასწორებლად იყენებენ.

მაიერსი აცხადებს, რომ ერაყში ირანული და სირიული დაჯგუფებებიც მოქმედებენ, რომლებიც წყალს ამღვრევენ. მისი თქმით, ორივე ქვეყანასთან ერაყის საზღვრები თითქმის დაუცველია.

ერაყის ეროვნული კონგრესის ლიდერი, აჰმად ჩალაბი აცხადებს, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის უკან თავად სადამ ჰუსეინი დგას. ამერიკელი ჯარისკაცების მოკვლისათვის იგი მოზრდილ ჯილდოს იხდის და, ამავე დროს, ცდილობს ერაყელებში "ოკუპანტებისადმი" ზიზღი გააღვივოს.

მიმომხილველთა თქმით, დაძაბულობა ადგილობრივ მოსახლეობასა და ამერიკელ ჯარისკაცებს შორის ნელ-ნელა იზრდება. ხუთშაბათიდან მოყოლებული, ამერიკელებმა 100-მდე ერაყელი მებრძოლი მოკლეს.

ამჟამად, ერაყში 140 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება. ქვეყნის მართვასაც სწორედ ისინი ახორციელებენ. ადგილობრივი მთავრობის შექმნა, არასტაბილური ვითარების გამო, გაურკვეველი დროით გადაიდო.

# ირანის ხელისუფლება ამერიკას ერთხმად ადანაშაულებს

რევაზ ბახტაძე


ხათამისა და ხამენეის ხელისუფლებას საფრთხე დაემუქრა

კვირას ირანელმა მაღალჩინოსნებმა შეერთებული შტატები, თეირანში მიმდინარე საპროტესტო აქციების მხარდაჭერისათვის, რომელიც უკვე მეხუთე ღამეა იმართება, ერთხმად გააკრიტიკეს.

სხვადასხვა მონაცემებით დასტურდება, რომ შედარებით მომცრო დემონსტრაციები, თეირანის გარდა, კიდევ ორ ქალაქში გაიმართა. ეს კი იმის ნიშანია, რომ საპროტესტო გამოსვლები უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით იკრებს ძალას, რასაც ვაშინგტონი თავისუფლებისათვის ბრძოლას უწოდებს.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეერთებული შტატები "ირანის შიდა საქმეებში უხეშ ჩარევაში დაადანაშაულა". მისი თქმით, საპროტესტო აქციების მნიშვნელობას ამერიკელი მაღალჩინოსნები შეგნებულად აზვიადებენ.

"ამერიკელები უარყოფენ, რომ მილიონობით ადამიანი უზენაეს ლიდერსა და ქვეყნის პრეზიდენტს მხარს უჭერს. რამდენიმე პიროვნების პროტესტს კი ირანელი ხალხის ხმას უწოდებენ", - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჰამიდ რეზა ასეფიმ.

ერაყში ომის დასრულების შემდეგ, ვაშინგტონმა ირანზე ზეწოლა გააძლიერა და თეირანს ალ-ქაიდას მებრძოლებისა და ბირთვული იარაღის შექმნაში ადანაშაულებს.

აღსანიშნავია, რომ ირანის პრორეფორმატორული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის სპიკერმა მაჰდი ქარუბიმ განაცხადა, რომ ირანი ამერიკის ზეწოლის წინააღმდეგ გაერთიანდა. არადა, ქარუბი თავად იყო რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი, რომელიც კლერიკალების ძალაუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად.

"ყველა განსხვავება და დისკუსია ისლამური რევოლუციის შვილებს შორის გემოვნების საკითხია, მაგრამ ისინი გაერთიანებულნი არიან მტრის წინააღმდეგ, - აღნიშნა მან პარლამენტში გამოსვლისას, - ისინი მტერს წინ აღუდგებიან და ცვლილებას არ დაუშვებენ".

პარლამენტის სპიკერის პოზიცია გასაგებია, რადგან ამჯერად დემონსტრანტებმა, კონსერვატორ კლერიკალებთან ერთად პრეზიდენტ მოჰამად ხათამის გადადგომაც მოითხოვეს. ახალგაზრდები მას დაპირებული რეფორმების გაუტარებლობაში ადანაშაულებენ.

თეთრმა სახლმა თავისი შეშფოთება გამოთქვა, როდესაც შაბათს ღამით დემონსტრანტები კონსერვატორმა ისლამურმა პოლიციურმა დაჯგუფებამ დაარბია. "შეერთებული შტატები დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს ირანელი სტუდენტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, რომლებიც თავიანთ შეხედულებებს მშვიდობიანი გზით გამოხატავენ, - ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში, - ირანელებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ხალხს, უფლება აქვს საკუთარი მომავალი განსაზღვროს. შეერთებული შტატები მხარს უჭერს მათ მისწრაფებას, თავისუფალ სახელმწიფოში იცხოვრონ".

"ჩვენ ჩვენი დემოკრატია გვაქვს და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას ჩვენვე გამოვასწორებთ", - განაცხადა ქარუბიმ. შეერთებული შტატებისადმი მიმართვისას კი აღნიშნა: "თქვენ - საცოდავ ხალხს დემოკრატია არ გაქვთ. ჩვენი პრეზიდენტი არჩევნებში ხმებს იღებს, თქვენი პრეზიდენტი კი არჩევნებს სასამართლოს ზეწოლით იგებს".

პარლამენტის სპიკერმა, აგრეთვე, მოუწოდა მშობლებს, რომ "შვილები საპროტესტო აქციაზე არ გაუშვან, რადგან მათ საზღვარგარეთიდან აქეზებენ".

აღსანიშნავია, რომ ქარუბიმ პოლიცია არაფორმალური კონსერვატორი პოლიციური დაჯგუფების წევრების დაპატიმრების გამო შეაქო, რომლებმაც შაბათს დემონსტრანტები დაარბიეს. მათ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ავეჯი დაამტვრიეს და მინები დალეწეს.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ამ დაჯგუფებას ირანის უზენაეს ლიდერ აიათოლა ალი ხამენეისთან მჭიდრო კავშირი აქვს. როგორც კი ვინმე კლერიკალების წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, მას მაშინვე თავს ესხმიან. ამ არაფორმალური პოლიციის წევრები დღემდე დაუსჯელად დადიან.

დასავლელი დიპლომატების თქმით, პოლიციის მიერ ამ დაჯგუფების წევრების დაკავება იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლებას დაძაბულობის განმუხტვა, რეალურად, სურს. "მათ კარგად იციან, რომ თუ ზედმეტი მოუვათ, მოვლენები შესაძლოა უარესი სცენარით განვითარდეს", - განუცხადა ერთ-ერთმა დასავლელმა დიპლომატმა "როიტერს".

## ინფორმაცია

### სასახლის კარის ინტრიგები საემიროებში

არაბთა გაერთიანებული საემიროების ხელისუფლებამ დედაქალაქ აბუ-დაბიში ტანკები შეიყვანა. ეს ნაბიჯი საემიროების მმართველის მიერ ახალი მემკვიდრე პრინცის დანიშნვის მხარდასაჭერად გადაიდგა. შეიხ ალ-კასიმიმ ახალ მემკვიდრედ პრინცი საუდი დანიშნა. აქამდე, მომავალ მმართველად მისი უფროსი ძმა ხალედი ითვლებოდა.

ხალედი მამის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა. მასთან დაახლოებულმა წყაროებმა განაცხადეს, რომ შეიხი, რომელიც დაახლოებით 90 წლისაა, ავადმყოფობს და ვერ აცნობიერებს, რას აკეთებს.

საუდი აქამდე პოლიტიკაში არ ერეოდა და ბიზნესს მისდევდა, ხალედი კი სწორედ პოლიტიკით იყო დაინტერესებული.

### სარსის ეპიდემია თითქმის დასრულდა

ატიპური პნევმონიის (სარსი) "სამშობლოში" – ჩინეთში, მეოთხე დღეა, დაავადების არც ერთი ახალი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ბოლო დღის მანძილზე ჰონგ-კონგშიც არავინ დაავადებულა.

მთავრობამ განაცხადა, რომ დაავადება კონტროლს ქვეშაა და ახლა საჭიროა მუშაობა ეპიდემიის გამეორების თავიდან აცილების მიზნით.

მართალია, სარს-ის წამალი ჯერაც არ არის აღმოჩენილი, მაგრამ დაავადების გავრცელებაზე ეფექტურმა კონტროლმა და კარანტინებმა შედეგი გამოიღო, და ატიპური პნევმონიის შემთხვევები მთელ მსოფლიოში მინიმუმამდე შემცირდა.

ჩინეთის ხელისუფლების განცხადებით, საავადმყოფოებში ამ სენით შეპყრობილი 361 ადამიანი იმყოფება. სულ სარსით ჩინეთში 5300 ადამიანი დაავადდა, მათგან 340 გარდაიცვალა.

1755 ავადმყოფიდან 295 გარდაიცვალა ჰონგ-კონგში, დანარჩენები გამომჯობინდნენ. სულ, მთელ მსოფლიოში სარს-მა 800-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და უზარმაზარი პანიკა გამოიწვია.

# "საოჯახო ლოტო"-ს 14 ივნისი №12 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000013 | 250.0 |
| 000019 | 9.0 |
| 000045 | 2.0 |
| 000047 | 100.0 |
| 000049 | 3.0 |
| 000112 | 1.5 |
| 000116 | 1.5 |
| 000138 | 11.0 |
| 000149 | 3.0 |
| 000157 | 4.0 |
| 000186 | 1.0 |
| 000199 | 1.0 |
| 000217 | 2.0 |
| 000235 | 3.5 |
| 000243 | 2.5 |
| 000334 | 3.0 |
| 000372 | 1.0 |
| 000377 | 1.5 |
| 000379 | 1.5 |
| 000397 | 2.0 |
| 000402 | 1.5 |
| 000413 | 2.0 |
| 000414 | 1.0 |
| 000425 | 1.0 |
| 000437 | 2.0 |
| 000441 | 7.0 |
| 000462 | 3.0 |
| 000473 | 1.5 |
| 000484 | 1.0 |
| 000492 | 3.0 |
| 000511 | 1.0 |
| 000606 | 3.5 |
| 000616 | 3.0 |
| 000656 | 1.0 |
| 000671 | 2.0 |
| 000698 | 4.0 |
| 000709 | 1.0 |
| 000716 | 3.5 |
| 000721 | 7.0 |
| 000733 | 4.0 |
| 000751 | 1.0 |
| 000752 | 3.5 |
| 000770 | 3.5 |
| 000780 | 4.5 |
| 000790 | 1.0 |
| 000791 | 1.5 |
| 000794 | 1.5 |
| 000813 | 2.5 |
| 000821 | 3.5 |
| 000844 | 9.0 |
| 000890 | 2.0 |
| 000900 | 3.5 |
| 000947 | 1.0 |
| 000995 | 3.5 |
| 000999 | 4.5 |
| 001001 | 1.0 |
| 001009 | 1.0 |
| 001037 | 1.0 |
| 001045 | 3.5 |
| 001084 | 1.5 |
| 001088 | 1.5 |
| 001115 | 1.0 |
| 001117 | 4.0 |
| 001145 | 1.5 |
| 001177 | 3.5 |
| 001199 | 1.0 |
| 001205 | 2.0 |
| 001214 | 1.0 |
| 001240 | 4.0 |
| 001255 | 4.0 |
| 001313 | 4.5 |
| 001344 | 1.5 |
| 001408 | 2.0 |
| 001432 | 7.0 |
| 001446 | 1.5 |
| 001449 | 3.5 |
| 001544 | 4.5 |
| 001559 | 2.0 |
| 001579 | 1.0 |
| 001622 | 2.5 |
| 001627 | 1.0 |
| 001667 | 3.5 |
| 001676 | 25.0 |
| 001679 | 2.5 |
| 001701 | 1.0 |
| 001722 | 9.0 |
| 001744 | 11.0 |
| 001796 | 2.0 |
| 001844 | 9.0 |
| 001854 | 1.0 |
| 001863 | 9.0 |
| 001883 | 1.5 |
| 001888 | 5.0 |
| 001915 | 1.0 |
| 001920 | 5.0 |
| 001931 | 3.5 |
| 001953 | 5.0 |
| 001969 | 1.0 |
| 001987 | 20.0 |
| 001996 | 1.0 |
| 001999 | 4.0 |
| 002020 | 1.5 |
| 002065 | 1.5 |
| 002069 | 5.0 |
| 002076 | 1.5 |
| 002102 | 1.0 |
| 002103 | 2.5 |
| 002107 | 5.0 |
| 002131 | 1.0 |
| 002256 | 5.0 |
| 002264 | 5.0 |
| 002278 | 1.0 |
| 002286 | 3.5 |
| 002322 | 1.0 |
| 002333 | 4.5 |
| 002335 | 3.0 |
| 002363 | 1.5 |
| 002379 | 2.5 |
| 002384 | 2.5 |
| 002392 | 1.0 |
| 002398 | 1.0 |
| 002399 | 3.0 |
| 002441 | 1.5 |
| 002466 | 3.0 |
| 002484 | 1.5 |
| 002498 | 13.0 |
| 002508 | 100.0 |
| 002513 | 30.0 |
| 002523 | 1.5 |
| 002570 | 1.0 |
| 002575 | 1.0 |
| 002623 | 3.5 |
| 002652 | 2.0 |
| 002658 | 2.0 |
| 002700 | 1.0 |
| 002702 | 1.5 |
| 002724 | 1.0 |
| 002729 | 3.5 |
| 002730 | 3.0 |
| 002735 | 3.5 |
| 002744 | 2.0 |
| 002785 | 1.0 |
| 002801 | 2.0 |
| 002869 | 1.5 |
| 002889 | 13.0 |
| 002896 | 13.0 |
| 002904 | 35.0 |
| 002908 | 1.0 |
| 002924 | 4.0 |
| 002937 | 1.0 |
| 002968 | 1.0 |
| 002993 | 1.5 |
| 003028 | 1.0 |
| 003056 | 4.0 |
| 003114 | 3.5 |
| 003117 | 1.0 |
| 003136 | 15.0 |
| 003141 | 1.0 |
| 003161 | 1.5 |
| 003182 | 1.0 |
| 003247 | 4.5 |
| 003248 | 1.5 |
| 003258 | 2.5 |
| 003263 | 3.0 |
| 003342 | 1.5 |
| 003347 | 3.0 |
| 003368 | 2.5 |
| 003376 | 1.5 |
| 003386 | 9.0 |
| 003427 | 2.0 |
| 003440 | 2.0 |
| 003447 | 2.0 |
| 003455 | 3.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 003496 | 2.5 |
| 003505 | 3.5 |
| 003617 | 1.0 |
| 003628 | 2.0 |
| 003642 | 1.5 |
| 003654 | 1.0 |
| 003684 | 4.5 |
| 003704 | 1.0 |
| 003713 | 3.5 |
| 003714 | 1.5 |
| 003719 | 4.5 |
| 003782 | 11.0 |
| 003817 | 1.0 |
| 003876 | 5.0 |
| 003877 | 1.5 |
| 003905 | 1.0 |
| 003915 | 3.5 |
| 003931 | 3.0 |
| 003943 | 3.5 |
| 003961 | 3.5 |
| 003963 | 7.0 |
| 003972 | 1.5 |
| 004025 | 1.0 |
| 004037 | 1.5 |
| 004053 | 3.0 |
| 004116 | 2.5 |
| 004137 | 9.0 |
| 004157 | 1.0 |
| 004174 | 3.0 |
| 004180 | 1.5 |
| 004197 | 5.0 |
| 004249 | 1.0 |
| 004295 | 4.0 |
| 004326 | 2.0 |
| 004328 | 1.0 |
| 004346 | 1.0 |
| 004370 | 2.5 |
| 004407 | 1.5 |
| 004412 | 1.0 |
| 004419 | 1.0 |
| 004421 | 2.0 |
| 004434 | 1.5 |
| 004435 | 1.0 |
| 004443 | 1.5 |
| 004450 | 1.5 |
| 004453 | 5.0 |
| 004461 | 1.5 |
| 004484 | 1.0 |
| 004489 | 2.5 |
| 004491 | 1.5 |
| 004507 | 7.0 |
| 004526 | 3.5 |
| 004532 | 1.5 |
| 004542 | 1.0 |
| 004566 | 2.0 |
| 004597 | 1.5 |
| 004634 | 2.0 |
| 004652 | 1.5 |
| 004656 | 1.5 |
| 004720 | 2.0 |
| 004729 | 2.5 |
| 004731 | 3.0 |
| 004732 | 1.5 |
| 004761 | 3.0 |
| 004800 | 1.0 |
| 004824 | 1.5 |
| 004837 | 2.0 |
| 004843 | 2.0 |
| 004846 | 1.0 |
| 004853 | 4.5 |
| 004880 | 1.5 |
| 004890 | 1.0 |
| 004899 | 2.5 |
| 004909 | 2.0 |
| 004939 | 5.0 |
| 004941 | 4.5 |
| 004952 | 2.0 |
| 004974 | 1.5 |
| 004979 | 2.5 |
| 004986 | 2.0 |
| 005040 | 1.0 |
| 005043 | 3.5 |
| 005058 | 1.0 |
| 005097 | 4.0 |
| 005111 | 2.0 |
| 005119 | 2.0 |
| 005121 | 2.5 |
| 005123 | 1.5 |
| 005124 | 17.5 |
| 005130 | 1.5 |
| 005156 | 4.0 |
| 005174 | 4.0 |
| 005297 | 4.5 |
| 005323 | 3.5 |
| 005324 | 2.0 |
| 005365 | 9.0 |
| 005367 | 3.0 |
| 005390 | 2.5 |
| 005396 | 1.0 |
| 005416 | 1.0 |
| 005437 | 1.0 |
| 005447 | 2.5 |
| 005463 | 2.5 |
| 005497 | 35.0 |
| 005498 | 3.5 |
| 005518 | 1.5 |
| 005522 | 1.0 |
| 005523 | 2.0 |
| 005524 | 2.0 |
| 005526 | 2.0 |
| 005527 | 2.0 |
| 005533 | 3.5 |
| 005548 | 4.5 |
| 005552 | 1.0 |
| 005556 | 7.0 |
| 005603 | 2.5 |
| 005612 | 2.5 |
| 005635 | 15.0 |
| 005649 | 4.0 |
| 005662 | 1.5 |
| 005664 | 4.0 |
| 005673 | 3.0 |
| 005694 | 1.5 |
| 005703 | 1.0 |
| 005723 | 2.5 |
| 005741 | 2.0 |
| 005760 | 1.5 |
| 005768 | 2.0 |
| 005815 | 3.5 |
| 005822 | 35.0 |
| 005903 | 2.0 |
| 005931 | 1.5 |
| 005964 | 3.5 |
| 005965 | 3.5 |
| 005982 | 3.0 |
| 006017 | 1.5 |
| 006047 | 2.0 |
| 006087 | 1.0 |
| 006092 | 2.5 |
| 006104 | 1.0 |
| 006130 | 1.0 |
| 006131 | 45.0 |
| 006150 | 7.0 |
| 006159 | 1.5 |
| 006162 | 4.0 |
| 006167 | 1.0 |
| 006191 | 4.5 |
| 006220 | 7.0 |
| 006224 | 11.0 |
| 006259 | 3.5 |
| 006260 | 1.5 |
| 006283 | 7.0 |
| 006337 | 1.0 |
| 006359 | 3.5 |
| 006360 | 1.0 |
| 006369 | 1.0 |
| 006374 | 1.5 |
| 006384 | 3.5 |
| 006390 | 3.5 |
| 006394 | 1.0 |
| 006395 | 5.0 |
| 006398 | 11.0 |
| 006404 | 25.0 |
| 006424 | 2.5 |
| 006450 | 4.5 |
| 006545 | 2.5 |
| 006569 | 2.5 |
| 006571 | 1.0 |
| 006607 | 1.0 |
| 006626 | 1.0 |
| 006635 | 3.5 |
| 006659 | 11.0 |
| 006680 | 3.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 006729 | 9.0 |
| 006730 | 3.0 |
| 006732 | 1.5 |
| 006742 | 1.5 |
| 006758 | 2.0 |
| 006796 | 4.0 |
| 006829 | 2.0 |
| 006835 | 3.0 |
| 006860 | 1.5 |
| 006862 | 3.0 |
| 006893 | 4.0 |
| 006897 | 1.5 |
| 006909 | 2.0 |
| 006922 | 1.0 |
| 006947 | 3.0 |
| 006950 | 4.5 |
| 006970 | 11.0 |
| 006972 | 9.0 |
| 006980 | 11.0 |
| 007033 | 1.0 |
| 007092 | 2.5 |
| 007166 | 3.0 |
| 007186 | 1.0 |
| 007190 | 2.0 |
| 007224 | 1.5 |
| 007238 | 2.5 |
| 007277 | 3.5 |
| 007294 | 15.0 |
| 007374 | 1.5 |
| 007382 | 3.0 |
| 007439 | 2.0 |
| 007443 | 2.0 |
| 007460 | 7.0 |
| 007493 | 2.0 |
| 007512 | 1.0 |
| 007517 | 3.0 |
| 007520 | 1.0 |
| 007569 | 15.0 |
| 007578 | 2.0 |
| 007616 | 9.0 |
| 007632 | 4.0 |
| 007652 | 3.0 |
| 007674 | 1.0 |
| 007677 | 1.5 |
| 007730 | 4.0 |
| 007738 | 3.0 |
| 007739 | 3.0 |
| 007752 | 1.0 |
| 007800 | 2.0 |
| 007809 | 1.5 |
| 007814 | 2.5 |
| 007819 | 4.0 |
| 007824 | 1.5 |
| 007830 | 13.0 |
| 007837 | 20.0 |
| 007842 | 2.0 |
| 007851 | 2.5 |
| 007855 | 2.0 |
| 007869 | 9.0 |
| 007882 | 2.0 |
| 007887 | 2.5 |
| 007908 | 7.0 |
| 007916 | 3.0 |
| 007925 | 4.5 |
| 007986 | 4.0 |
| 008011 | 3.0 |
| 008031 | 3.0 |
| 008058 | 3.5 |
| 008094 | 1.5 |
| 008142 | 4.5 |
| 008216 | 3.0 |
| 008219 | 4.5 |
| 008225 | 1.5 |
| 008227 | 3.0 |
| 008231 | 2.0 |
| 008237 | 2.0 |
| 008257 | 3.0 |
| 008309 | 2.5 |
| 008316 | 3.5 |
| 008347 | 1.0 |
| 008353 | 1.5 |
| 008375 | 4.5 |
| 008406 | 4.0 |
| 008413 | 1.0 |
| 008446 | 1.0 |
| 008452 | 4.0 |
| 008455 | 1.5 |
| 008487 | 5.0 |
| 008551 | 500.0 |
| 008552 | 4.5 |
| 008561 | 9.0 |
| 008563 | 2.0 |
| 008565 | 4.0 |
| 008571 | 3.5 |
| 008583 | 1.0 |
| 008600 | 1.0 |
| 008604 | 1.0 |
| 008605 | 2.5 |
| 008622 | 1.0 |
| 008624 | 3.0 |
| 008636 | 4.0 |
| 008667 | 4.0 |
| 008675 | 1.5 |
| 008679 | 1.0 |
| 008685 | 1.0 |
| 008728 | 1.0 |
| 008754 | 4.5 |
| 008768 | 2.5 |
| 008773 | 2.5 |
| 008784 | 4.0 |
| 008793 | 3.5 |
| 008806 | 3.0 |
| 008829 | 7.0 |
| 008848 | 3.5 |
| 008849 | 4.0 |
| 008857 | 4.0 |
| 008864 | 1.0 |
| 008886 | 11.0 |
| 008907 | 13.0 |
| 008917 | 2.0 |
| 008946 | 3.5 |
| 008980 | 1.0 |
| 009019 | 2.5 |
| 009029 | 1.0 |
| 009087 | 2.0 |
| 009090 | 3.5 |
| 009125 | 2.0 |
| 009127 | 1.5 |
| 009129 | 2.0 |
| 009133 | 4.0 |
| 009142 | 11.0 |
| 009143 | 1.5 |
| 009152 | 1.5 |
| 009171 | 5.0 |
| 009177 | 2.5 |
| 009197 | 3.0 |
| 009206 | 1.0 |
| 009263 | 2.5 |
| 009276 | 1.5 |
| 009277 | 4.0 |
| 009301 | 4.5 |
| 009302 | 1.0 |
| 009307 | 9.0 |
| 009309 | 4.0 |
| 009328 | 2.0 |
| 009370 | 1.0 |
| 009377 | 5.0 |
| 009406 | 3.5 |
| 009432 | 3.5 |
| 009452 | 5.0 |
| 009459 | 1.0 |
| 009464 | 2.0 |
| 009467 | 1.5 |
| 009475 | 3.5 |
| 009498 | 2.0 |
| 009503 | 1.5 |
| 009505 | 1.0 |
| 009519 | 3.0 |
| 009538 | 2.5 |
| 009551 | 3.0 |
| 009590 | 2.0 |
| 009633 | 3.5 |
| 009635 | 1.5 |
| 009640 | 1.0 |
| 009661 | 2.0 |
| 009719 | 25.0 |
| 009736 | 2.0 |
| 009784 | 5.0 |
| 009788 | 3.0 |
| 009806 | 1.0 |
| 009834 | 1.0 |
| 009835 | 1.0 |
| 009851 | 1.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 009866 | 1.5 |
| 009930 | 1.0 |
| 009944 | 4.0 |
| 009955 | 5.0 |
| 009962 | 1.0 |
| 009974 | 7.0 |
| 009986 | 2.5 |
| 009988 | 11.0 |
| 009992 | 1.5 |
| 010009 | 3.0 |
| 010020 | 50.0 |
| 010028 | 20.0 |
| 010058 | 1.5 |
| 010087 | 1.0 |
| 010094 | 1.0 |
| 010109 | 2.0 |
| 010113 | 2.5 |
| 010159 | 4.5 |
| 010166 | 1.5 |
| 010199 | 1.0 |
| 010212 | 1.5 |
| 010218 | 3.5 |
| 010226 | 2.5 |
| 010230 | 1.0 |
| 010253 | 2.5 |
| 010254 | 4.0 |
| 010271 | 1.5 |
| 010298 | 3.0 |
| 010308 | 1.0 |
| 010360 | 1.5 |
| 010365 | 2.0 |
| 010400 | 3.0 |
| 010424 | 2.0 |
| 010434 | 3.5 |
| 010437 | 2.5 |
| 010439 | 3.5 |
| 010440 | 5.0 |
| 010455 | 4.5 |
| 010459 | 2.0 |
| 010460 | 1.5 |
| 010500 | 2.0 |
| 010528 | 2.0 |
| 010531 | 2.0 |
| 010564 | 4.0 |
| 010567 | 15.0 |
| 010569 | 2.5 |
| 010578 | 3.5 |
| 010579 | 1.5 |
| 010587 | 1.5 |
| 010603 | 3.5 |
| 010652 | 1500.0 |
| 010659 | 1.0 |
| 010662 | 2.5 |
| 010692 | 9.0 |
| 010716 | 1.0 |
| 010717 | 2.0 |
ყველგან, ყველგან მოიკიდა ფეხი ამ შუასაუკუნეობრივმა უკრიტიკო სტრატეგიამ. 10 ივნისს მისი ლაბორატორიულად წმინდა ნიმუშიც მივიღეთ მასალაში: **რეზო თაბუკაშვილი**, *რა მინდა ამერიკისგან*. პირველი ორი წინადადება: "**მე მინდა გაუზავებელი Jack Daniels. ამერიკული ლუდი არ მინდა**". დანარჩენი იგივეა: მინდა... არ მინდა... ოღონდ კრიტერიუმებია გაუგებარი: "**არ მინდა ბეროუზი და მისი პედერასტული წიაღსვლები**" — "**მინდა... კერუაკის ხეტიალი გზაზე**". რაო, კერუაკი ნაკლები პედერასტი იყო, თუ ჩვენში საქმის მცოდნე ხალხს უკვე შკალაც ჩაუმოუყალიბდა? "**არ მინდა ემანსიპაცია და გაკაცებული ქალები**" — "**მინდა მორისონი და ჯენის ჯოპლინი**". ეს უკანასკნელი რომ უკიდურესად ემანსიპირებული არ ყოფილიყო, ნეტა სასურველი თუ იქნებოდა? საბჭოური პროპაგანდის რელიქტიც გვხვდება აქ: "**არ მინდა დოლარის კულტი**". ქართული დარდიმანდობის უტყუარი მოწმობაც: "**არ მინდა... ოცდაათსაათიანი სამუშაო დღე და ასეთი სამუშაოს პოვნის ცხოვრების მიზნად ქცევა**". სამუშაო კვირაო, უნდა ეთქვა ალბათ, რადგან დღე-ღამეში მხოლოდ 24 საათია. ერთი სიტყვით, ჩვენს ავტორს არ უნდა რეალობა, სადაც უფასო საუზმეები არ არსებობს. მაგრამ ვაი, რომ ეს ერთადერთი შესაძლებელი რეალობაა ამქვეყნად. მაგრამ უბედურება სხვაგანაა: ყველაფერი, რაც ავტორისათვის სასურველია, მცირე გამონაკლისის გარდა (ვიეტნამი, ჰიროსიმა) ტყუპისცალივით ჰგავს მის მიერ დაწუნებულს, ან ლოგიკურადაა ამ უკანასკნელთან დაკავშირებული. მაგალითად, სასურველი თავისუფლების ქანდაკებიდან (სიმბოლო) პირდაპირ გამომდინარეობენ უკუგდებული გაბადრულსახიანი პოლიციელები და სკოლის მერხიდან შეთვისებული ლიბერალური ღირებულებები (სიმბოლოს განხორციელება). მაშ სადაა ადამიანი, რომელმაც აირჩია ერთი და უკუაგდო მეორე. სადაა მისი სახე?

სახის ქონა კი სავალდებულო არაა. მთავარია, კეთილი აირჩიო და ჯერკვალი განაგდო. არც იმას შეგიმოწმებს ვინმე, რა კეთილია და რა ჯერკვალი. უბრალოდ, ამ პროცესში სწორი სიტყვები უნდა წარმოთქვა და არაფერი შეგეშალოს, ბრატ! მერე რა, რომ ელა ფიტცჯერალდს ზანგი უწოდე ("შავკანიანი" უფრო კორექტულია), მთავარია, პედერასტებს ხომ აგინე! ზნაჩიტ, ჩვენი ხარ!

და კიდევ: ინგლისური თეატრის, "ვოლკანოს" პერიპეტიები. აქ მე ულრმესი მადლობა უნდა გადავუხადო **ნათია ვადაჭკორიას**, რომელსაც ეყო სამოქალაქო სიმამაცე და შექსპირის სონეტების მიხედვით დადგმული ინგლისური სპექტაკლის გარშემო ატეხილ ეთიკურ ისტერიაში ზომიერი, ობიექტური და ინფორმაციული სტატიის გამოქვეყნება გაბედა — 15 ივნისი, *ყველაზე რისკიანი შექსპირიანა*. მანამდე კიდევ ერთი სტატია იყო: 13 ივნისი, *"ვოლკანო" "მარჯანიშვილში"*. დიახ, ჩვენ კადნიერად შევახსენეთ ინგლისელებს, რომ საქართველო ტრადიციული ქვეყანაა (ინგლისში პარლამენტის პირველი სხდომა 1260 წელს გაიმართა), რეალურად კი ჩვენი რეაქციით შრილანკას ამოვუდექით გვერდში. რატომ მოხდა ასე? მე არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთი ცნობილი ტექსტიდან მოვიყვან სამ ციტატას. ეს ტექსტი თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მომსახურე არქიმანდრიტს, **რაფაელ კარელინს** ეკუთვნის და "ფარული დემონიზმი" ჰქვია. ორიგინალის ენაზე მისი მთლიანად გაცნობის მსურველებს ვთხოვ შევიდნენ ინტერნეტმისამართზე www.ya.ru და საძიებელ სარკმელში აკრიფონ: скрытый демонизм. ტექსტსაც იქ იპოვით და მასზე გამოხმაურებებს. ტექსტი არქიმანდრიტის მრავალწლიან ქადაგებათა ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს, ამ მოძღვრის ავტორიტეტსა და გავლენაზე კი ჩვენში თითქმის ყველას სმენია. ახლა კი ციტატები:

"**ძვლის ტვინამდე გარყვნილი ადამიანები, როგორებიც გოეთე და ბაირონია, კაცობრიობის "სიქადულად" არიან გამოცხადებული, ხოლო მათი დემონური ნაწერები — მშვენიერების ეტალონად. შეგვიძლია კი გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომ დიდ მწერალთა შორის პატიოსანი და მოკრძალებული ადამიანი მეტია, ვიდრე გახრწნილი და მანკიერი, სიბილწეში რომ ეძებს შთაგონებას?**"

"**თეატრი ვნებათა შენადედია, სულიერი სიყალბის ასპარეზი, რომელიც ისე იზიდავს მაყურებლებს, როგორც წებოვანი მცენარე მის ფერად და მომაკვდინებელ ყვავილებში ნექტარის საძიებლად ჩასულ მწერებს. თეატრში თავი მოიყარა ყოველივე უარყოფითმა, რაც კი ხელოვნების ყველა დარგში მოიპოვება**".

მე სულელი კი, მახსოვს, გიგი თევზაძეს ვეკამათებოდი, რატომ შუა საუკუნეები-მეთქი. ეჰ, სხვაშიც მართალი აღმოჩნდა: "**დემოკრატიული არჩევნები სულაც არ განაპირობებს ისეთ დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებს აღიარებს... არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება და შევარდნაძის ხელისუფლების წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოვა ძალა, რომელიც საქართველოს გათანამედროვეობაზე იქნება ორიენტირებული. არც მათი ქცევიდან და არც ბიოგრაფიიდან ეს არ გამომდინარეობს**" (10 ივნისის ინტერვიუ).

ახლა რას ვიტყვი: ჭაობიდან გამოსვლის საშველი, ალბათ, ერთია — დემოკრატიულ ღირებულებათა დიქტატურა.



# ფესტივალის მონაწილენი ფესტივალის შემდეგ

## აისახა თუ არა საბიუჯეტო კრიზისი წიგნის ბიზნესზე?

თამარ სუხიშვილი

თბილისის წიგნის V ფესტივალი – წიგნის ოთხდღიანი ზეიმი უკვე დასრულდა. ფესტივალმა (შეგახსენებთ, რომ ეს იყო მთლიანად ქართული პროექტი) წარმატებით ჩაიარა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ როგორც ფესტივალის თანაორგანიზატორებმა – "ახალმა მემარჯვენეებმა" აღნიშნეს, ამ პროექტს დასასრული არ ექნება, ესე იგი, წიგნს ჩვენში ყოველთვის გამოუჩნდებიან ფინანსურად ძლიერი მეოხ-გულშემატკივრები და წიგნის ზეიმი გაგრძელდება. ზეიმი წარმოშობით არაბული სიტყვაა და ხალხის შეჯგუფებას, გარკვეული ნიშნის მიხედვით გამოყოფილ ადამიანთა ერთობლიობას ნიშნავს.

ფესტივალის ორგანიზატორები წლევანდელ სტატისტიკურ მონაცემებს უახლოეს ხანებში შემოგვთავაზებენ, რამდენი გამომცემელი თუ წიგნით მოვაჭრე მონაწილეობდა, რამდენი დამთვალიერებელი ეწვია ბაზრობას (წელს შემოღებული ბილეთის წყალობით, ზუსტად ვერა, მაგრამ დამთვალიერებელთა მიახლოებითი რიცხვის დადგენაც მოხერხდება) და ა.შ. ფესტივალის პირველი დღის პირველი ნახევრის მონაცემებით, მონაწილეთა რაოდენობამ 80-ს მიაღწია. ზუსტ მონაცემებზე ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით, დაველოდოთ სტატისტიკას და ფესტივალის ყველაზე საუკეთესო და უტყუარი შემფასებელიც, ალბათ, მაინც სტატისტიკა იქნება.

მანამდე კი მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ დამთვალიერებელი ბევრი იყო, არც მყიდველი ყოფილა ცოტა. და, ალბათ, გაცილებით მეტი იქნებოდა, ამ თვეში ხელფასები რომ გაცემულიყო; ასე რომ, საბიუჯეტო კრიზისმა წიგნის ბიზნესზე პირდაპირი გავლენა მოახდინა. ბაზრობის პირველ დღეს ერთმა ცნობილმა პიროვნებამ, კითხვაზე, რამე თუ შეიძინეთ-მეთქი, მითხრა: რამეთუ ესეო და ისეო, ჯერ ვათვალიერებო. და არაერთი სტუმარი მხოლოდ დამთვალიერებლადვე დარჩა. გამოცანა: რამდენ წიგნს შეიძენდნენ ეს ცნობილი და სხვა ნაკლებად ცნობილი პირები, ხელფასი დროულად რომ აეღოთ და, შესაბამისად, რამდენი თანხა შევიდოდა ბიუჯეტში, გამოცანადვე რჩება. ასევე უცნობი რჩება, რა მორალური ზარალი მიადგა "მარტო წიგნითა ერთითა" მოსულდგმულე ოჯახებს, რომელთაც თავიანთ შინა ბიბლიოთეკებს ვერაფერი შესძინეს.

კიდევ ერთი დაკვირვება: ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ფესტივალის დღეებში ჩვენი საზოგადოება ორ ნაწილად იყო გაყოფილი, თანაც ორივე ჯგუფი, ძირითადად, ჩვენი დედაქალაქის ერთ მცირე მონაკვეთზე განაწილდა: ერთნი, შეძენილ თუ შეუძენელ წიგნებს ჩახუტებულნი, ფილარმონიის ფოიეში; მეორენი, ბოთლებს ჩახუტებულნი, იქვე, ძველ "პეროვსკაიაზე", უფრო გაპრანჭულად, პეროვზე (?!) ბარ-რესტორნებში. და საერთოდ, ეს ოთხი დღე თბილისი სრულიად "ჩახუტებაში" იყო...

ახლა კი, მოდით, თავად მონაწილეებს მოვუსმინოთ:

**მერაბ ქათამაძე** (ორგანიზატორი, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია): დღესდღეობით მიმდინარეობს ფესტივალის სტატისტიკური მონაცემებისა და ანონიმური გამოკითხვის შედეგების შეჯამება. ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ იმატა მონაწილეთა რაოდენობამ, დამთვალიერებელთა რაოდენობამაც. წელს დამთვალიერებელთა ციფრიც ცნობილი იქნება, ჩვენს მიერ შემოტანილი ბილეთების დანიშნულება მარტო დამატებითი შემოსავლის გაჩენა კი არ ყოფილა, ჩვენი მიზანი ზუსტი სტატისტიკის დადგენა იყო. სხვაგვარად ამას ვერ გავაკეთებდით. წლევანდელი ფესტივალის მიღწევებს რაც შეეხება, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო მთლინად ქართული პროექტი. ამასთან, დახურვის დღეს 13 საათსა და 30 წუთზე ფესტივალის მონაწილეებმა (20-მა ორგანიზაციამ) პროფესიული ეთიკის კოდექსს მოვაწერეთ ხელი. პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით მუშაობა დასავლეთის ბიზნეს-სექტორისათვის აპრობირებული პრაქტიკაა, ჩვენში ეს პრაქტიკა მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. საქართველოში ერთ-ერთი პირველი სექტორი, რომელმაც მოახერხა თავისი ბაზრის ძირითადი მონაწილეების გაერთიანება პროფესიული კოდექსის გარშემო, სწორედ წიგნის ბიზნესია.

**ბაკურ სულაკაური** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა): ეს ფესტივალი დაახლოებით ისეთივეა, როგორსაც მოველოდი, ანუ საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ვითარდება, ცხადია, მატულობს მონაწილეთა რაოდენობა, შესაბამისად, კონკურენციის ელემენტებიც ჩნდება, მაგრამ კონკურენციამდე ჯერ შორია, რადგან წიგნის ბაზარი მაინც არ არსებობს. საქართველოში კიდევ ბევრი გამომცემლობის ადგილია, თავისუფლად შეიძლება გამომცემლობების რაოდენობა ორჯერ ან სამჯერ გაიზარდოს... ამ ფესტივალით, როგორც ყოველთვის, წელსაც ძალიან კმაყოფილები ვართ, იმიტომ რომ ეს ფესტივალი ზეიმია. მთავარი მარტო წიგნების გაყიდვა არაა, მთავარია საერთო განწყობის შექმნა.

ჯერჯერობით სტატისტიკური მონაცემები ხელთ არ გვაქვს, მაგრამ გაყიდვები წელს და შარშან დაახლოებით თანაბარია. რაც ნიშნავს, რომ გაყიდვები გაიზარდა, იმიტომ რომ ამ ხნის განმავლობაში გაჩნდა წიგნის მაღაზია "პარნასი", გაჩნდა წიგნის დღე - 23 აპრილი, იმართებოდა სხვადასხვა პრეზენტაციები და მთელი წლის განმავლობაში გაყიდვები თანაბრად ნაწილდებოდა. აქედან გამომდინარე, შარშანდელი შედეგების შენარჩუნება ნიშნავს, რომ ზოგადად ტირაჟიც გაიზარდა და გაყიდვაც, ანუ ხალხის ინტერესი დიდია.

**ლევან თითმერია** (გამომცემლობა "საარი"): წლევანდელი, ფესტივალს, ისევე როგორც წინა ფესტივალებს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. მე მგონი, აქ გამოჩნდა ხალხის ინტერესი და დამოკიდებულება წიგნის მიმართ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად მიდის, ყოველ შემთხვევაში, უარესობა ნამდვილად არ არის, იმატა გამომცემლების რიცხვმაც, გამოცემული წიგნების რაოდენობამ და, შესაბამისად, დამთვალიერებელთა და მკითხველთა რაოდენობამაც. მყიდველთა რაოდენობაც შარშანდელზე ნაკლები არ უნდა იყოს, ალბათ, მეტიც იქნება.



მერაბ ქათამაძე



ლევან თითმერია



თამარ ლებანიძე



ლაშა ბერაია

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**მამუკა ხანთაძე** (საგამომცემლო საქმის სწავლების ცენტრი): დასავლეთში წიგნის ბაზრობები ცოტა განსხვავებულია. მათი ძირითადი ფუნქცია ხელშეკრულებებისა და სავაჭრო-საგამომცემლო კონტრაქტების გაფორმებაა. ევროპაში მთელი წლის განმავლობაში დადებული ხელშეკრულებების (იქნება ეს წიგნის გამოცემა, რეალიზაცია და სხვა) დიდი წილი, დაახლოებით, 60-70 პროცენტი წიგნის ბაზრობებზე მოდის. თბილისის წიგნის ფესტივალი ჯერჯერობით მხოლოდ ფესტივალია, აქ გამოფენილია წიგნები და ქალაქის მოსახლეობა ამ წიგნებს ყიდულობს. რა თქმა უნდა, დასავლეთის ბაზრობებზე წიგნითაც ვაჭრობენ, მაგრამ ძირითადი მაინც კონტრაქტების გაფორმებაა საავტორო უფლებაზე, ბითუმად ვაჭრობაზე და ასე შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის V ფესტივალი უფრო მიუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს. მე ვიცი, რომ რამდენიმე სერიოზული კონტრაქტი გაფორმდა, საავტორო უფლება გაიყიდა... ანუ გეზი აღებულია. ამასთან, წელს გამოიკვეთა რაღაც ახლის შექმნის აუცილებლობა. უკვე დაიწყო ლაპარაკი კავკასიურ წიგნის ბაზრობაზე. კავკასიურ წიგნის ბაზრობას სხვა ხიბლი აქვს, კავკასიის რეგიონში მცხოვრებ გამომცემელთა გარდა, აქ ჩამოვლენ თურქი, რუსი, ირანელი გამომცემლები; საშუალება გვექნება ევროპელი და ამერიკელი გამომცემლებიც მოვიწვიოთ თავიანთი სტენდებით. ფესტივალის მასშტაბურობა გაიზრდება. ფესტივალის ფუნქციური დატვირთვის შეცვლა უკვე დგას დღის წესრიგში.

**თამარ ლებანიძე** (გამომცემლობა "დიოგენე"): ფესტივალის იდეა წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ამართლებს, მკვიდრდება ტრადიცია, ეს არის განსაკუთრებული დღეები წელიწადში ერთხელ, რომელსაც ყველა წიგნისმოყვარული ელოდება. პირადად მე მოხარული ვიქნებოდი (თავიდანვე ამის მომხრე ვიყავი), რომ ფესტივალი დიდუბის საგამოფენო ცენტრის ტერიტორიაზე იმართებოდეს. ამბობენ, ხალხი დიდუბეში ნაკლებად მივაო; არ ვეთანხმები, იქ მშვენიერი სიტუაციაა, შეიძლება მთელი ოჯახით მისვლა, სეირნობაც. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს სწორედ ასეც იქნება. გარდა ამისა, ვფიქრობ აუცილებელია ფესტივალის გზამკვლევის არსებობა, რომ მკითხველმა რაც შეიძლება იოლად მოძებნოს სასურველი წიგნი და სასურველი გამომცემლობა. ეს არის ჩემი რამდენიმე შენიშვნა. დანარჩენი რაც ხდება, მართლაც რომ ჭეშმარიტი დღესასწაულია. წლევანდელი ფესტივალი ჩვენთვის წინგადადგმული ნაბიჯია. სამწუხაროდ, ზოგიერთი კოლეგა ამ აზრს არ იზიარებს, რამდენიმე მათგანმა დაიჩივლა კიდეც - წლევანდელი შედეგებით ისეთი კმაყოფილი არ ვარო.

**ნუგზარ წიკლაური** (გამომცემლობა "ლიტერა"): მეჩვენება, რომ ხალხის რაოდენობისა და წიგნების შეძენის თვალსაზრისით ფესტივალმა თავის პიკს გასულ წელს მიაღწია. წელს მაინც ნაკლები ხალხია. ამის მიზეზი შეიძლება ისაა, რომ უკვე გაიხსნა წიგნის თანამედროვე მაღაზია "პარნასი", მკითხველს შესაძლებლობა აქვს, როცა მოუნდება, მაშინ მიაკითხოს მას და ნებისმიერი სახის ლიტერატურა მოიძიოს. მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ პრინციპში ამ ფესტივალზე არ ყოფილა სიახლე - წიგნი, რომელიც ჯერ არ გამოსულა მაღაზიაში. მე მგონი, თბილისის ფესტივალი თანდათანობით უახლოვდება დასავლურ ფესტივალებს, რომელთა მთავარი ფუნქცია საცალო ვაჭრობა კი არა, სერიოზული კონტრაქტების გაფორმება, გამომცემელთა საქმიანი შეხვედრებია. ამის ნიშნები უკვე იკვეთება ჩვენში. თუმცა, არის ერთი ნაკლიც, რაც ვერც შარშან და ვერც წელს ვერ გამოსწორდა. რეგიონიდან ჩამოსული გამომცემლების რაოდენობა მინიმალურია. პრაქტიკულად ლიტერატურული ინტერესის ერთადერთი ადგილი თბილისია.

**ზაზა ბერიშვილი** (გამომცემლობა "სანი"): კარგი გამომცემლობები, კარგი სტენდები, კარგი ავტორები, ძალიან კარგი მყიდველი, ძალიან კარგი მკითხველი – ასე შეიძლება დავახასიათოთ თბილისის წიგნის V ფესტივალი. ყოველი ახალი ბაზრობა წინას ჯობია და ასეც უნდა იყოს, იმიტომ რომ ცხოვრება წინ მიდის, ვითარდება, იცვლება, თუმცაღა ისე სწრაფად არა, როგორც ჩვენ გაგვიხარდებოდა და როგორც ჩვენ გვინდა. საბედნიეროდ, იმ საქმეს, რომელსაც მე ვემსახურები, წინსვლა უფრო მკაფიოდ ეტყობა. შარშან არ ყოფილა ამდენი ლამაზი წიგნი და წიგნით ესოდენ დაინტერესებული მკითხველი. მართალია, ორგანიზატორებს ჯერ შედეგები არ შეუჯამებიათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი შედეგი შარშანდელზე უკეთესი იქნება.

**ლაშა ბერაია** (გამომცემლობა "ლოგოს პრესი"): წლევანდელ ბაზრობას გამომცემლებისთვის იმედები ნამდვილად არ გაუცრუებია, მკითხველიც ბევრია, ბევრი დამთვალიერებელი ცდილობს წიგნის შეძენას. გამომცემლები, მე მგონი, კმაყოფილები არიან. აღსანიშნავია ერთი მომენტიც: ახალი წიგნის მაღაზიების გაჩენასთან ერთად გაყიდვები თანდათანობით მაღაზიებში გადაინაცვლებს. ეს ბუნებრივი პროცესია. ჯერჯერობით თბილისის ფესტივალს მხოლოდ ფესტივალის ფუნქცია აქვს, ეს არ არის ბაზრობა კლასიკური სახით, როგორც ვთქვათ, ფრანკფურტის ან ლონდონის ბაზრობა, სადაც საქმიანი მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მაგრამ დროთა განმავლობაში მკითხველთა უზრუნველყოფა წიგნის მაღაზიების მეშვეობით მოხდება, ბაზრობა კი უფრო პროფესიულ სახეს მიიღებს, ბაზრობის ბოლო დღე ავტორებთან შეხვედრის, პრეზენტაციების დღედ გადაიქცევა...

*თბილისის წიგნის V ფესტივალი ერთი წლით დაგვემშვიდობა.*

# "ტრისტანი და იზოლდა" - ოთხი გმირითა და ერთი სულისკვეთებით

## საქართველოში ვაგნერის ოპერის დაგვიანებული პრემიერა შედგა

მადი სერებრიაკოვა

სიცარიელეს, რომელსაც ქართულ მუსიკალურ სივრცეში გარკვეული კომპოზიტორების შემოქმედების არაპოპულარობას წარმოქმნის, მრავალი მიზეზი შეიძლება მოვუძებნოთ. თუ ვაგნერის ფენომენზე გავჩერდებით, შეიძლება მისი მუსიკის განსაკუთრებული საშემსრულებლო სირთულე მოვიმიზეზოთ (სპეციფიკური ორკესტრობა, რთული და დატვირთული სოლისტების პარტიები...), მოუმზადებელი მსმენელისთვის არცთუ იოლად აღსაქმელი მუსიკალური ჟღერადობა და ფორმები, ანდა სპექტაკლების ხანგრძლივობა, რომელთაგან უმეტესობა (ციკლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) საშუალოდ 4 საათს გრძელდება. ნებისმიერ შემთხვევაში, უსამართლოდ იგნორირებული ვაგნერი ღირებულებას მაინც ვერ დაკარგავს და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გუშინდელი წარმატებული პრემიერა და ხალხმრავლობა ამას ადასტურებს. ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და მისი ხელმძღვანელის დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანის თაოსნობით "ტრისტანი და იზოლდა" შექმნიდან 144 წლის თავზე თბილისში პირველად შესრულდა.

ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისაგან პრემიერებსა და ნოვაციებს უკვე მიჩვეული ვართ. მხოლოდ მიმდინარე სეზონზე თბილისში პირველად შესრულდა ვერდის "ფალსტაფი", შტრაუსის ოთხი უკანასკნელი სიმღერა; არცთუ ხშირი მოვლენაა ვერდისავე რეკვიემის, და ბარტოკის "ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლის" (თავის დროზე ამ ნაწარმოების პრემიერაც მაჭავარიანის ორკესტრს ეკუთვნის) შესრულება – ესეც მხოლოდ მიმდინარე სეზონზე.

თბილისში რამოდენიმე ათეული წლის წინათ ვედეკინდის მიერ განხორციელებული "მფრინავი ჰოლანდიელი" და "ლოენგრინი" ძველი თაობის მეხსიერებას თუ შემორჩა. წერილის დაწყებამდე მსოფლიოს წამყვანი თეატრების პროგრამებს გადავხედე, ვაგნერის ნაწარმოებების პოპულარობაზე წარმოდგენა რომ გადამეხალისებინა. თითქმის ყველა თეატრში მინიმუმ ერთი ოპერა მაინც მუდმივ რეპერტუარშია შეტანილი (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ბაიროითის ვაგნერისულ თეატრს). ცხადია, ეს მხოლოდ გეგმის შესასრულებლად არ ხდება და ვაგნერს მსმენელი ყველგან მოეძებნება. ვაგნერის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ოპერის ძლიერ დაგვიანებული პრემიერაც ამას მოწმობს. მიუხედავად ბილეთების სიძვირისა (პარტერის ბილეთები რამოდენიმე ათეულ ლარს აღწევდა) დარბაზი თითქმის სავსე იყო. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ვაგნერის მუსიკის მოსასმენად მხოლოდ სნობური მიზეზებით ცოტა თუ მოვა და ასეთებმა თეატრი პირველი მოქმედების შემდეგ, ალბათ, ერთხელ და სამუდამოდ დატოვეს.

"ტრისტანისა და იზოლდას" საქართველოში შესრულების გზა ია-ვარდებით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა. საერთოდაც, ძნელია ოპერის ქართულ პრემიერაზე ვისაუბროთ, როდესაც სცენაზე მხოლოდ ოთხი სოლისტი დგას, თანაც ოთხივე მოწვეული. ამ თვალსაზრისით, "ტრისტანისა და იზოლდას" ეპოპეა ჩვენში ჯერ მხოლოდ ახლა იწყება. სოლისტების არ არსებობიდან გამომდინარე, თავად ოპერის პარტიტურამაც სერიოზული რედაქტირება განიცადა. შესრულდა მხოლოდ პირველი აქტის შესავალი, მეორე აქტი და მესამე აქტის დასკვნითი - იზოლდას



'ტრისტანი და იზოლდა' თბილისის ოპერის სცენაზე პირველად აჟღერდა

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დალუპვის სცენა. ასე "სასტიკად" ვაგნერის პრემიერის ორგანიზატორი ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი საკუთარი ნებასურვილით არ მოპყრობია. ორკესტრის მესვეურები უკვე მოლაპარაკებულნი იყვნენ ცნობილ ინგლისელ რეჟისორთან მაიკლ ჰანტთან, სხვა პარტიების პოტენციურ შემსრულებლებთან, რათა თუნდაც მინიმალური დეკორაციებით თბილისში "ტრისტანისა და იზოლდას" სცენიური დადგმა განხორციელებულიყო (მით უმეტეს, რომ ოპერის სიუჟეტური ქარგა ძლიერ შეკუმშულია მოქმედების თვალსაზრისით და აქცენტი უფრო მეტად გმირების სულიერი სამყაროს ასახვაზეა გადატანილი). სატელევიზიო ეთერით გამოცხადებული იყო სატელეფონო ცხელი ხაზი, რომლითაც მცირე შენაწირის გაკეთება შეიძლებოდა ოპერის ფონდში. თუმცა, ამან, ფაქტობრივად, არანაირი შემოსავალი არ მისცა ორგანიზატორებს – ტელემაყურებლები "ტრისტანისა და იზოლდას" ბედმა ნაკლებად აღელვა. საბოლოოდ, ქართული პრემიერა ტრისტანის, იზოლდას, მეფე მარკისა და ბრანგენეს ამარა დარჩა. სცენა კი ოთხი სკამითა და უბრალოდ, საკონცერტო შესრულებით შემოიფარგლა.

თუმცა, ვაგნერის მუსიკის ფონზე ამ ყველაფერს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია. როგორც აღინიშნა, ოთხივე სოლისტი მოწვეული იყო და მათ შორის დიდი ნაწილი საკმაოდ გამოცდილიც ვაგნერის შესრულებაში. დევიდ რენდალი (ტრისტანი) სწორედ თბილისში ჩამოსვლამდე, ამავე პარტიას ლონდონის ნაციონალურ ოპერაში ასრულებდა. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი სწორედ ვაგნერის ოპერებზე მოდის: "ლოენგრინი", "მფრინავი ჰოლანდიელი" და, რა თქმა უნდა, "ტრისტანი და იზოლდა".

ბრიგიტ ვოლფარტი (იზოლდა) თავის დროზე ვაგნერის საზოგადოების სტიპენდიანტი იყო გერმანიის ქალაქ ვურცბურგში და ვაგნერის ოპერებით ევროპის არაერთ ფესტივალზე გამოსულა. ბოლო დროს შეასრულა ზილგინდეს ("ვალკირია") და გურტუნდეს ("ღმერთების დაღუპვა") პარტიები ფრანკფურტისა და ბერლინის თეატრებში. ნატაშა პიტრინსკი თბილისში მალერის ციკლით "სიმღერები გარდაცვლილ ბავშვებზე" გავიცანით შარშან. ვაგნერის რეპერტუარიდან მას "ნიბელუნგებსა" და "პარსიფალში" აქვს მონაწილეობა მიღებული. მონტე იაფე კი ევროპისა და ამერიკის თეატრებში რეგულარულად ჩნდება "ნიუმბერგელი მაისტერზინგერებით", "ვალკირიათი", და "პარსიფალით".

თბილისის ოპერაში "ტრისტანი და იზოლდას" შესრულება აღწერილი სიტუაციის კვალობაზე საკმაოდ საინტერესო იყო. რაც მთავარია, დირიჟორმა, სოლისტებმა და ორკესტრმა ერთიანი ძალისხმევით მოახერხეს ალმავალი ხასიათისა და დაძაბულობის მუხტის შენარჩუნება. ყოველი მათგანი ახერხებდა ერთიანი ჰარმონიის, სრული პარტნიორული თანხმობისა და განსაკუთრებული სულისკვეთების შენარჩუნებას. სოლისტების შესრულება კარგი გაგებით ორდინარული იყო და სავსებით ჯდებოდა "ვაგნერის მომღერლის" სტანდარტებში. განსაკუთრებით ეს რენდალს, იაფესა და ვოლფარტს ეხებოდა, რომელნიც, როგორც ტემბრალური, ისე საშემსრულებლო ოსტატობით, შესანიშნავად პასუხობდნენ ვაგნერის მუსიკის თავისებურებებს. უდავოდ შეიძლება რენდელისა და ვოლფარტის მეორე აქტის ანსამბლებისა და ამ უკანასკნელის მესამე აქტის დასკვნითი სცენა გამოვყოთ. აქ შინაგანად დამუხტული, გააზრებული ინტერპრეტაციით მათ, უდავოდ, შეძლეს ვაგნერის მუსიკის სიღრმესა და სიბრძნესთან მიახლოება. თავისთავად ლამაზი ტემბრის მეცოსოპრანოს - ნატაშა პეტრინსკის, შესაძლოა, ბოლომდე არ დასცალდა საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნება. ან უბრალოდ, მის მიერ შესრულებული მალერის ციკლი უფრო წონადი შთაბეჭდილება აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, უპირატესობას მის შარშანდელ "სიმღერებს გარდაცვლილ ბავშვებზე" უფრო მივანიჭებდი.

კარგად წარდგა მსმენელთა წინაშე ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. ეს უკანასკნელი დღემდე არ ყრის ფარ-ხმალს და, მიუხედავად აშკარად ექსტრემალური საარსებო და შემოქმედებითი პირობებისა, მაინც ახერხებს ნოვატორული პროექტების განხორციელებას. "ტრისტანისა და იზოლდას" ქართული პრემიერით ორკესტრმა დიდი მაესტროს – ევგენი მიქელაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სეზონი დახურა. თბილისური პრემიერების გარდა, 2002-ში მათ წარმატებული გასტროლები ჰქონდათ გერმანიასა და ჰოლანდიაში. მაჭავარიანის მიერ პროკოფიევის მე-5 სიმფონიის "ფანტასტიკურ ჟღერადობას", ტრადიციული კლიშეებისაგან თავისუფალ ინტერპრეტაციას კი განსაკუთრებული გამოხმაურებები ჰქონდა დასავლურ პრესაში. თბილისურმა ვაგნერმაც კარგად ასახა ის გამოცდილება, რომელსაც დირიჟორი წლების მანძილზე იღებდა პეტერბურგში, ვენასა თუ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში. ჩვეული ექსპრესიულობით და განსაკუთრებულად შეკრული მუსიკალური პალიტრით მაჭავარიანმა შეძლო ცნობილი "ტრისტანის ჰარმონიის" აჟღერებაცა და ვაგნერის იმ დიდებულებასთან მიახლოებაც, რომელიც კუპიურების წყალობით, მართლაც, დიდი საფრთხის წინაშე იდგა.

ნომრის პერსონა

# თბილისში ჩამოსვლის წინ ყოველთვის ვღელავ...

მაია ჭალაგანიძე

*თბილისის საოპერო თეატრში მოღვაწე პაატა ბურჭულაძეს პირველი საერთაშორისო აღიარება 1984 წელს "აიდაში" რამფისის პარტიის შესრულებამ მოუტანა. ეს ლონდონის "კოვენ გარდენში" მოხდა. ქართველ მომღერალს თავი ბანის რუსული სკოლის წარმომადგენლად მიაჩნია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, ქართულში ბანისთვის ცანგალას არიის გარდა სამღერიც არაფერია. არა გვგონია, ეს ცოტა იყოს, რადგან საიუბილეო კონცერტის წინ სწორედ "სამების" საიუბილეოდ ჩამოსხმულ კახურ ღვინოს ამშვენებს მისი გამოსახულება და არა რომელიმე ნაყინს, რომელიც ასე არ უხდება პაატა ბურჭულაძის მსოფლიოში განთქმულ ბანს.*



**- რას ფიქრობს დიდი მომღერალი მშობლიურ პატარა ქალაქში დაბრუნებისას?**

- თბილისი ჩემთვის ძალიან დიდი ქალაქია და ყოველთვის გულითა და სულით, დიდი მღელვარებით მოვდივარ. აქ გამოსვლა ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია და ვგრძნობ, რომ ყოველთვის სიხარულით მელიან.

**- თქვენი სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე ჯერ მოსკოვში აღნიშნეთ. რატომ? პირველი საერთაშორისო აღიარება "აიდაში" რამფისის პარტიის შესრულებამ მოგიტანათ. ეს კი ლონდონის "კოვნ გარდენში" მოხდა...**

- ჩაიკოვსკის კონკურსზე დიდი წარმატების შემდეგ ავიდგი ფეხი. სწორედ ამ წარმატებამ გამიხსნა გზა ცხოვრებაში და თან მოსკოვში გამოთქვეს იუბილეს გამართვის სურვილი. იქ ჩემი დიდი აუდიტორია მყავს.

**- არსებობს მოსაზრება, რომ კლასიკური ოპერა და ბალეტი გასული საუკუნის ხელოვნებაა. ცხადია, არ გთხოვთ, ამ აზრს დაეთანხმოთ, მაგრამ სიმართლის მარცვალს ხედავთ?**

- როგორ შეიძლება, ოპერას ფასი დაეკარგოს?! ანტიკვარიატს ფასი ეკარგება? თუმცა, არიან ოჯახები, სადაც ანტიკვარიატს ვერ დაადგმევინებ, მოდერნზე არიან გადასული. ზოგს დიდი ფულის დახარჯვა არ უნდა და მოდერნს ეტანება. ყველაფერი მაინც გემოვნების საქმეა. დღეს ოპერას უამრავი მაყურებელი ჰყავს და მათი რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ევროპაში არ არსებობს საოპერო დადგმა, ადვილად შეღწევა რომ შეიძლებოდეს.

**- რა ასაკის მაყურებელი გყავთ საზღვარგარეთ? წაართვეს თუ არა ოპერას ახალგაზრდა მსმენელი სხვა ჟანრებმა?**

- ასაკი მხოლოდ კინოში შეიცვალა. ოპერაში ბევრი ახალგაზრდა დადის.

**- თქვენთვის სიმღერა ისევე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა. თუმცა არას თუ არის სიმღერა ხელოვნება, რომლის სწავლა არ შეიძლება?**

- სიმღერისთვის მოწოდება და მონაცემები უნდა გქონდეს, თორემ ტექნიკის შესწავლა აუცილებელიც კი არის. აი, გრძნობის გადმოცემას ვერ ისწავლი.

**- ბგერის მოგზაურობაზე რას იტყვით - როგორ უნდა ამოვიდეს ფილტვებიდან, რათა ლამაზი ხმა მიიღო? ეუფლებიან თუ არა მომღერლები სასურველი ხმის მიღების ხელოვნებას?**

- ამის შესახებ სპეციალური მეცნიერებაც არსებობს. ზუსტი რეცეპტის გამოწერა კი შეუძლებელია. ამისთვის ყველას თავისი ინდივიდუალური მეთოდი აქვს.

**- ხმის გაფრთხილების თქვენი მეთოდი გაქვთ? მაგალითად, მონსერატ კაბალიე ნაყინსაც არ ერიდება.**

- ხმას ყველანაირად უნდა გაფრთხილება. ნაყინი ზოგს, მართლაც, უხდება. ნაყინს ზამთარში სიამოვნებით ვჭამ. ზაფხულში კი, როდესაც ძალიან ცხელა, ვერიდები.

**- ცუდად შესრულებულ პარტიას პირველივე ბგერებიდან გრძნობთ? როგორ გამოდიხართ სიტუაციიდან?**

- ღმერთის წყალობით, ცუდად არ გამოვსულვარ, თუმცა, ყველაფერი შედარებითია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ თავს ცუდად ვგრძნობ და რამდენჯერმე მქონია შემთხვევა, როდესაც გამოუცხადებიათ - მომღერალი შეუძლოდ არის და ვერ იმღერებსო... ეს მიღებულია მაშინ, როდესაც შემცვლელი არ არსებობს. როდესაც მომღერალი იცვლება, მაყურებელი მას შეღავათიანად ხვდება. მაგრამ ეს იშვიათად და უკიდურეს ვითარებაში ხდება. შეიძლებ, სურდომ შეუმჩნევლად გაგიაროთ. მომღერლისთვის სურდოთი სცენაზე გასვლა იმას ნიშნავს, რომ მეორე დღეს ხმას დაკარგავს.

**- ცუდ პარტნიორს რომ გრძნობთ სცენაზე, როგორ იქცევით?**

- სცენაზე ცუდი პარტნიორი არ არსებობს, მაგრამ ხანდახან ხდება, რომ პარტნიორს უჭირს, ფორმაში არ არის. ასეთ დროს ვცდილობ, დავეხმარო - თუ მას ხმა არ უჟღერს, მეც ხმადაბლა ვმღერი, რათა დიდი განსხვავება არ გამოჩნდეს. თუ ახალგაზრდაა, ყველანაირად სჭირდება დახმარება, წინ უნდა გაუშვა...

**- პარტია, რომელიც უკანასკნელ ხანს შეასრულეთ და თქვენთვის სიახლე იყო.**

- ასეთი რამ არ მქონია. ამ ბოლოს მოცარტის ოპერა შევასრულე გერმანულ ენაზე, მაგრამ ჩემი თავი გერმანულენოვან მომღერლად არ მიმაჩნია. რა თქმა უნდა, საინტერესო იყო, მაგრამ განსაკუთრებული სიამოვნება არც ჩემთვის მოუტანია და ჩემი აზრით, არც მაყურებლისთვის. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უფრო იტალიურ და რუსულ რეპერტუარს ვასრულებ.

**- მღერით პარტიებს, რომელიც მანამდე არაერთ დიდ მომღერალს შეუსრულებია. რას ცვლით, რა არის ის განსაკუთრებული, რაც თქვენს ნამღერს სხვათაგან განასხვავებს?**

- ტექნიკურად უნდა ისწავლო სიმღერა, მაგრამ როდესაც გადმოსცემ გრძნობას, იმაზე ფიქრის დრო არ გრჩება, სად უნდა მოხვდეს ხმა, როგორი დიაპაზონით უნდა იმღერო, სუნთქვაზე არ უნდა იფიქრო. ეს უნდა იყოს საათივით აწყობილი მექანიზმი და შესრულებისას პირდაპირ გრძნობაზე უნდა გადახვიდე.

**- რა პერიოდულობით იცვლება თაობა საოპერო ხელოვნებაში, რა შუალედით იბადებიან ვარსკვლავები?**

- ტალანტს გააჩნია. შეიძლება ორ წელიწადში დაიბადოს, შეიძლება ოცი წელიწადი დასჭირდეს. ამას ვერ განსაზღვრავ.

**- მიუხედავად იმისა, რომ თქვენს თბილისურ იუბილეზე ბილეთის ფასი საკმაოდ მაღალია, სრული ანშლაგი იქნება - ამას გაყიდული ბილეთების რაოდენობა მეტყველებს. რას მოასწავებს ეს სისავსე?**

- ფული არ არის, მაგრამ კაზინოში და რესტორანში ყოველთვის ხალხია... აქაც იგივე სიტუაციაა...

**- რას ეტყვით მათ, ვისაც მართლა უყვარს და ესმის საოპერო ხელოვნება და თქვენს კონცერტზე ვერ მოხვდება?**

- ჩემთან ერთად ჩამოსული მომღერლებიდან არავინ იღებს ჰონორარს. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული ფული საღამოს ორგანიზებას ხმარდება - თვითმფრინავის ბილეთებს, სასტუმროებს და ა.შ. სამწუხაროდ, ამის გარეშეც არ გამოდიოდა. დღეს სპონსორობა ჭირს.

ძალიან მინდოდა, რომ თბილისში, ჩემს საიუბილეო საღამოზე საზღვარგარეთ მიმოფანტულ ქართველ მომღერლებს მოეყარათ თავი და გამიმართლა, რომ ამ ხალხს თავისუფალი დრო აღმოაჩნდა. ერთადერთი, ვიზეც გული მწყდება, ორი და ჭყონიაა, რომელთაც ზუსტად ამ დღეს აქვთ სპექტაკლი - ერთს მექსიკაში და მეორეს - ბერლინში.

**- საოპერო სპექტაკლებში, დადებითი გმირები ტრადიციულად ტენორები არიან. როგორ ახერხებთ, თავი დააღწიოთ უარყოფით იმიჯს?**

- ვცდილობ, ჩემს უარყოფით გმირს ყოველთვის გამოვუძებნო გამართლება. სხვათა შორის, გამართლება და თითო დადებითი თვისება ყოველ მათგანს აქვს. ამის გამო, ხშირად ტენორიც კი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება და ბევრი ცოდვები გამოუჩნდება ხოლმე. არც ერთი ისეთი პერსონაჟი არ შემისრულებია, მისი გამართლება რომ არ შეიძლებოდეს. ვთქვათ, მეფისტოფელი - რომელიც ცუდს აკეთებს... აბა, რა უნდა გააკეთოს მეფისტოფელმა, ის ხომ ამისთვისაა?

**- რა უპოვეთ კარგი?**

- ზუსტად იმ ხალხს დასცინის, ვისაც საკუთარი თავი დადებითად მიაჩნია და აჩვენებს, რომ ისინი ღმერთის წინაშე ლოცვის მიუხედავად, ცოდვებსაც ჩადიან. ეს ხალხისთვის მართლა კარგი საჩვენებელია. სატანა ცდუნებისთვის არის და თუ ძლიერი ხარ, შენი შეცდენა ვერ უნდა მოახერხოს. ის გასწავლის, რა არ უნდა გააკეთო.

**- თბილისის ოპერა მოსკოვის დიდი თეატრის ტრადიციული მომმარაგებელია. მოგეხსენებათ, შალიაპინის დებიუტიც კი აქ შედგა. დღეს ქართველი კარგი მომღერლები რუსეთის გვერდის ავლით მიდიან სხვა ქვეყნების ცნობილ დასებში. რა დაკარგა დიდმა თეატრმა?**

- დიდ თეატრს, ისე, როგორც ყველა თეატრს, ძალზე ბევრი რამ დააკლდა. როცა არსებობდა საბჭოთა კავშირი, ჩვენ გვქონდა საზღვარგარეთ რამდენჯერმე გასვლის უფლება - ვიყავით აქ და ვემსახურებოდით დიდ თეატრს. ახლა, როცა საზღვრები გაიხსნა და ჩვენს თეატრებში ასეთი გასაჭირია, ყველას უნდა მუშაობა და სიმღერა. ამიტომ მიდიან სხვა ქვეყნებში. დიდი თეატრი და კიროვის თეატრი ჯერ კიდევ ფეხზე დგანან - სახელმწიფოსგან აქვთ დახმარება და სპონსორები ჰყავთ. კიროვის თეატრი თავად უვლის თავის თავს. ამაში ლომის წილი მის ხელმძღვანელს, ვალერი გერგიევს მიუძღვის - რაც კი კარგი მომღერლები იყვნენ, გარს შემოიკრიბა. დიდი თეატრიც ცდილობს ამის გაკეთებას.

**- რა ეშველება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს?**

- არ ვიცი. თანხები ბევრ რამეს წყვეტს, ამის გარეშე სპექტაკლებს ვერ დადგამ. თეატრში ყოველ დღე უნდა გადიოდეს სპექტაკლი, სხვაგვარად ახალგაზრდა მომღერალი ვერ გაიზრდება. თუ მომღერალი თვეში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ მღერის, ჩათვალეთ, რომ არაფერს აკეთებს, უმუშევარია. სულ ცოტა 7-8 სპექტაკლი უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის დირექტორი ძალიან ცდილობს, დღესდღეობით, ცუდი სიტუაციაა.



**- რა იციან საზღვარგარეთ წასულმა ხელოვანებმა, რა ხდება საქართველოში?**

- ყველაფერი ვიცით. თბილისთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს - დედა აქ ცხოვრობს, ჩემი და, ახლობლები, მეგობრები... ყველაფერი ვიცით.

**- რა რეპერტუარს იხილავს მსმენელი?**

- რეპერტუარი რეჟისორმა დათო საყვარელიძემ შეარჩია. ვმღერი მუსორგსკის "ბორის გოდუნოვის" კორონაციის სცენას, მარინა გულიგინასთან ერთად ვასრულებ დუეტს და ვმღერი ზაქარიას პარტიას ოპერიდან "ნაბუქოდონოსორი". მარინა გულეგინა ამ კონცერტში იმიტომ მოხვდა, რომ მამამისი ახალციხეშია დაბადებული.

**- ხშირად გიწევთ იმის უარყოფა რომ არა რუსი, არამედ ქართველი მომღერალი ხართ?**

- ქართველი მომღერალი რომ ვარ, ამას ყველგან ვამბობ, მაგრამ თავი რუსული საოპერო სკოლის წარმომადგენლად მიმაჩნია. რუსული ბანის სკოლა გავიარე, რადგან ქართული ბანის სკოლა არ არსებობს. ქართულ ბანს სამღერიც არაფერი აქვს, ცანგალას კუპლეტებს თუ არ ჩავთვლით. ცნობილი კი, ყველგან ბორის გოდუნოვით ვარ.

**- ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა გაქვთ ქართველ მომღერლებს, შეხვედრას ახერხებთ?**

- სამწუხაროდ, გაბნეულები ვართ მსოფლიოში და ხანდახან ვხვდებით ხოლმე... ლადო ათანელთან ერთად მეტროპოლიტენ ოპერაში "ნაბუქო" შევასრულე...

**- ცოტა რამ იმ სევდიანი დღის შესახებ, როცა აღარ იმღერებთ. სად დასახლდებით?**

- რა დროს მაგაზე ფიქრია. ახლა ამ ოცდახუთს რომ მოვრჩები, 50 წლის იუბილეზე ვიწყებ ფიქრს. ასე რომ, დასასრულის შესახებ მოგვიანებით მოგვიწევს საუბარი.





### ˝მილანი˝ თადარიგს იჭერს

მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ბექჰემის "მანჩესტერიდან" წასვლაზე ლაპარაკობს და ყველას ძალიან აინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, ვინ შეიძენს "სპაის ბოის", ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული "მილანი" ინგლისის ნაკრების კაპიტნით კი არა, ერთი ცხვირმოუხოცავი ინგლისელის ხელში ჩაგდებითაა დაინტერესებული.

"ევერტონის" ამომავალი ვარსკვლავი უეინ რონი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ უკვე მოახერხა ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების დამსახურება. ინგლისის ნაკრების შვედმა თავკაცმა სვენ გორან ერიქსონმა პატარა ბიჭუნას ეროვნულ გუნდში თამაშის შანსიც კი მისცა ავსტრალიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში, რომელიც ევროპელებმა დიდი ანგარიშით წააგეს. უილბლო დებიუტის მიუხედავად, რონის ყველა ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებს. თინეიჯერი ფორვარდი ლივერპულში ძალიან უყვართ და მისი სახელობის ბარიც კი გახსნეს. მოკლედ, ეჭვი არავის ეპარება, რომ რონის დიდი მომავალი აქვს.

"მილანი" ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ახალგაზრდა ვარსკვლავის შეძენით კლუბის მომავლის უზურუნველყოფა აქვს განზრახული. ადრიანო გალიანი, მილანელთა ვიცე-პრეზიდენტი, აპირებს, სერიოზულად დაელაპარაკოს ინგლისელებს რონის ტრანსფერის შესახებ. როგორც იტალიელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, გალიანი "ევერტონს" ახალგაზრდა ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს, მარტინ ლაურსენსა და იონ დალ ტომასონს სთავაზობს. საინტერესოა, თუ დახარბდებიან ლივერპულელები მილიონებს და დანიელ ფეხბურთელებს...

### ˝იუვე˝ და რომაელები

ცოტა ხნის წინ "რომას" პრეზიდენტი ფრანკო სენსი ამაოდ სთავაზობდა "იუვენტუსის" მენეჯერს ლუჩანო მოჯის, ვინჩენცო მონტელა მიკოლიში გამიცვალეო. ტურინელებს არაფრით არ სურდათ მიკოლის გაშვება, მაგრამ ახლა ვითარება ისე შეიცვალა, რომ, შესაძლოა, მიკოლიმ, მართლაც, ამოყოს თავი რომში, მაგრამ არა ფრანკო სენსის კლუბში, არამედ მის მოწინააღმდეგე "ლაციოში".

საქმე ისაა, რომ ტურინელები დიდად არიან დაინტერესებული "ლაციოს" ორი ფეხბურთელით - უდინელი ნახევარმცველი სტეფანო ფიორე და ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი ის მოთამაშეები არიან, ვის შეძენაზეც "იუვე" ნამდვილად არ იტყოდა უარს. სტამისა და "ლაციოს" დაძაბული ურთიერთობის შესახებ უკვე ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ჰოლანდიელი ძალიან გაბრაზებულია, რომ რომაელებმა ჯერაც ვერ მოახერხეს მისთვის დავალიანების გადახდა. "ლაციოს" ფინანსურად ისე უჭირს, რომ ფეხბურთელების სარფიანად გაყიდვა გაუხარდება კიდეც. ფიორეს სანაცვლოდ "იუვე" რომაელებს უთმობს სწორედ მიკოლის, რომელიც "ლაციოს" თავკაცს რობერტო მანჩინის ძალიან მოსწონს. თუმცა, "პერუჯას" ექს-თავდამსხმელის შეძენა "პარმასაც" ძალიან უნდა და მიკოლის სიმპათიებიც სწორედ "ჰერცოგთა კლუბისკენ" იხრება.

### პირესი ˝არსენალს˝ არ დატოვებს

ლონდონის "არსენალის" ფრანგმა ნახევარმცველმა რობერ პირესმა ცივი წყალი გადაასხა მილანის "ინტერის" იმედებს და განაცხადა, რომ არ აპირებს ინგლისიდან წასვლას. ხმები დადიოდა, არსენ ვენგერი პირესს ალვარო რეკობაში ცვლისო, მაგრამ თავად ფეხბურთელი ირწმუნება, რომ ასეთი ბარტერი არ შედგება და ის კვლავაც "არსენალში" დარჩება.

"ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. არსენ ვენგერმა უკვე გამოგვიცხადა, რომ მომავალ სეზონში მხოლოდ ამ დიდი მიზნისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ვენგერს სურს, ევროპაში ყველაზე ძლიერი გუნდი შექმნას. ჩვენ სამი ფეხბურთელის დამატება გვინდა: ერთი მეკარე იქნება, მეორე – მცველი, მესამე კი - ფორვარდი. "არსენალში" ისე კარგად ვარ, ვერ გამიგია, რატომ უნდა გადავიდე "ინტერში"? - გაოცებით იკითხა პირესმა.

### მიდუ ˝რომას˝ თავს აწონებს

როგორც ჩანს, ვიგოს "სელტა" ვერ მოახერხებს "აიაქსისგან" იჯარით აყვანილი ეგვიპტელი მიდუს შეძენას - მისი ფასი ხელმიუწვდომელია ესპანელებისთვის. მიდუს ჰოლანდიაში დაბრუნებას ყველაფერი ურჩევნია და ამიტომ თავგამოდებით ცდილობს, დაინტერესებულ კლუბებს როგორმე თავი მოაწონოს. მან იცის, რომ იტალიური "რომა" სიამოვნებით შეიძენდა და ქათინაურებს არ იშურებს რომაული კლუბის მისამართით.

"კუმანი დარჩება თუ არა "აიაქსში", ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მე ჰოლანდიაში დაბრუნება არ მინდა. "რომაში" გადასვლის იდეა ძალიან მხიბლავს. ფაბიო კაპელო შესანიშნავი მწვრთნელია, მისგან ნამდვილად ბევრს ვისწავლი. მერე რა, რომ "აიაქსი" 13 მილიონს ითხოვს ჩემს სანაცვლოდ? დარწმუნებული ვარ, თუ "რომა" მოინდომებს, ჰოლანდიელები ფასს დაუწევენ კიდეც", - მოდი და მიყიდეო - ეხვეწება მიდუ ფრანკო სენსის.

### გუტი მომავალზე დარდობს

დევიდ ბექჰემი და "ბარსელონა" უკვე ყელში ამოუვიდათ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებს. იმდენად წარმოუდგენელია, ინგლისის ნაკრების კაპიტანი კრიზისში მყოფ "ბარსაში" გადავიდეს, რომ ესპანელი ჟურნალისტები გამუდმებით ამ ტრანსფერზე ფიქრობენ და ამასობაში სულ მიივიწყეს ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლო "სამეფო კლუბი", რომლის პატივმოყვარე გრანდები ასეთ უყურადღებობას ნამდვილად არ არიან მიჩვეულნი. გუტის სახელით ცნობილი ხოსე მარია გუტიერესი უკვე ველარ იტანს ბექჰემსა და "ბარსელონაზე" ლაპარაკს და ყველას მოუწოდებს, მთელი ყურადღება გადაიტანონ პრიმერა დივიზიონის უკანასკნელ ტურებზე, რომლის დროსაც ესპანეთის ჩემპიონის ვინაობა უნდა გაირკვევს.

თუმცა, ბექჰემის მთლად ასე იგნორირება შეუძლებელია და ეს გუტიმაც კარგად იცის. თუ "ბარსას" პრეზიდენტობის კანდიდატი, ენაჭარტალა ხუან ლაპორტა "სპაის ბოის" კატალონიაში ვერ ჩაიტყუებს, ბექჰემს, ალბათ, "რეალი" შეიძენს, რაც გუტისთვის ნამდვილად დიდი დარტყმა იქნება, რადგან მას ძირითად შეამდგენლობაში თამაშს უკვე აღარავინ აღირსებს.

"რეალისტი ვარ და კარგად ვიცი: თუ ბექჰემი "რეალში" მოვა, მე სხვა გუნდში უნდა წავიდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ სეზონს სათადარიგოთა სკამზე გავატარებ. სიამოვნებით ვითამაშებდი პრემიერლიგის რომელიმე გუნდში, რადგან მიმაჩნია, რომ ესპანური პრიმერა დივიზიონი და ინგლისური პრემიერლიგა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ჩემპიონატებია", - განაცხადა გუტიმ.

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 16 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 რუსეთის თასი. ფინალი. "სპარტაკი" – "როსტოვი"
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი
17:00 "დარტყმა გოლისთვის"
17:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. "სპარტაკი" – "ინტერი"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გრემიო" – "ინტერნასიონალი"
21:05 ესპანეთის ჩემპიონატი
22:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. "ბარსელონა" – "მანჩესტერ იუნაიტედი"
00:30 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 19:15, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
14:55 "საჭადრაკო მიმოხილვა"
15:25 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი
17:15 გოლფი. "US Open". დღე მეოთხე
19:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "სან ანტონიო სფურსი" – "ნიუ ჯერსი ნეთსი". მე-6 თამაში
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 "დიდი რინგი"
00:25 წრიული ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ავტომობილებს შორის

**EUROSPORT**
11:30 რალი-რეიდი
12:00 ავტორბოლები. კატალონიის გრან-პრი
13:30 რალი
14:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
15:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. ჰოლანდია
17:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
18:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები
19:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები
20:30 ფეხბურთი.
21:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
22:45 ახალი ამბები
23:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
00:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:45 ახალი ამბები
02:00 მულტისპორტი
02:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ჰავაის გრან-პრი
03:15 მოტორბოლა. კატალონიის გრან-პრი
04:15 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# ზურაბ ხიზანიშვილი - პატარა დიდი ბიჭი

პაატა თოთაძე

*"ძალიან მაგრად ითამაშა"... "ნახე, კაცო, ერთი შეცდომაც კი არ დაუშვია"... "კარგი ბიჭია, ძალიან მაგარი მცველი დადგება". საქართველო-რუსეთის მატჩის შემდეგ, სტადიონიდან მომავალს, ასეთი და მსგავსი სიტყვები მესმოდა ზურაბ ხიზანიშვილზე. საუბარი ხიზანიშვილზე, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მცველზე, არც ირლანდიასთან მატჩის შემდეგ შეწყვეტილა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ამტკიცებდა, ზურამ იმ დღეს ისე ვერ ითამაშა, როგორც რუსეთთანო. ჯერ კიდევ პატარა ბიჭია, აცალეთ და ნახავთ, როგორც ითამაშებსო, - ასეთებსაც გაიგონებდით. ვინ არის ზურაბ ხიზანიშვილი, როგორ მოვიდა დიდ ფეხბურთში.*



ზურა ხიზანიშვილი ირლანდია-საქართველოს მატჩის წინა დღეს

- ყველაფერში მამაჩემია "დამნაშავე". მე და ჩემი ძმა, ასე ვთქვათ, მამის კვალს გავყევით. სხვანაირად, ალბათ, არც იქნებოდა. დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, ფეხბურთში ან მის გარეთ, მამაჩემის დამსახურებაა. სხვათა შორის, მუდამ მეუბნებოდა: მთავარია, კაცი იყო, თორემ ფეხბურთელობა ვერ გაცხოვრებსო. ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფეხი ამადგმევინა.

**- ჭირვეული ბავშვი იყავი თუ უჯერებდი მამას?**

- ჭირვეული არ ვყოფილვარ, მაგრამ, რომ გითხრათ, მისი ყველა სიტყვა ჩემთვის კანონი იყო-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ყოველთვის და ყველაფერს მამის მოსაწონს ვერ ვაკეთებდი და ვერც დღეს ვაკეთებ.

**- დღეს რამდენად ერევა მამა, რამდენად დიდია მისი გავლენა შენს ცხოვრებაზე?**

- ჭკუის სწავლების დრო სამი წლის წინ დამთავრდა. ეს ის დროა, როცა ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს. სხვადასხვა თემაზე, ბუნებრივია, ახლაც ვსაუბრობთ, მაგრამ როგორც ხუთი, ათი წლის ერეოდა მამა ჩემს საქმეებში, ახლა ისე აღარაა.

**- მამის მწვრთნელობით თუ მოგიწიათ თამაშმა?**

- არა, უფრო სწორად, თვითონ არ ისურვა. როცა "დინამოში" მოვიდა მწვრთნელად, მე სხვა გუნდში გამიშვა.

**- მაშინ პატარა იყავი და, ალბათ, გეწყინა მამის საქციელი...**

- სიმართლე გითხრათ, კი. თუმცა, ახლა მადლობელიც კი ვარ, ასე რომ მოიქცა.

**- მამა დიდი ფეხბურთელი იყო. შვილებიდან ორივემ დაიწყო ფეხბურთის თამაში, მაგრამ მხოლოდ ერთმა გააგრძელა...**

- არ ვიცი, რა გიპასუხოთ. ამას, ალბათ, გია უკეთ იტყვის. სხვათა შორის, მამის მეგობრებისგან არაერთხელ გამიგია, გია სჯობს ზურასო. ზოგი პირიქით ფიქრობდა. ერთხანს ერთ კლუბშიც ვთამაშობდით. მოკლედ, შანსი ორივეს გვქონდა... ჩემმა ძმამ ახლა მწვრთნელის კურსებზე ჩააბარა.

**- მერე, ალბათ, უცხოეთში სტაჟირებაშიც დაეხმარები...**

- ვნახოთ, თუ პატარა კაპელო გამოვიდა... (იცინის).

**- ძმებს ოჯახში ტყუპი დებიც გყავთ...**

- დიახ. ახლა 14 წლისანი არიან.

**- ვისი პლაკატები აქვთ გაკრული კედლებზე - მომღერლების და მსახიობების თუ ფეხბურთელების?**

- ჩემი ხათრით, ფეხბურთელების პლაკატებსაც აკრავენ.

**- თქვენი აზრით, როდემდე უნდა იყოს საქართველოს ნაკრები ნებისმიერი შეჯიბრების აუტსაიდერი?**

- ძალიან მტკივნეული თემაა, მაგრამ, მე მგონი, მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შუშაკმა რაღაც ახალი მოიტანა გუნდში, რომელიც უპირველესად შედეგზეა გათვლილი და ასეც უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ კარგი მწვრთნელია, თავისი შეხედულება აქვს ყველა საკითხზე, რომელსაც ვინმეს კარნახით არ ცვლის. მისთვის ფეხბურთელის სახელი არაფერს ნიშნავს. ეს თვისებები ბევრ კარგ საქმეს გააკეთებინებს შუშაკს.

**- ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ ივო შუშაკი უნდა დარჩეს ნაკრების სათავეში?**

- ამ თემაზე საუბარი ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება. ეს ფედერაციის გადასაწყვეტია. მათ უკეთ იციან, ვინ და რა წაადგება ქართულ ფეხბურთს.

**- დღეს ბევრს საუბრობენ "რეინჯერსში" შენს გადასვლაზე. როდის დაესმება ამას წერტილი, როდის გახდები "რეინჯერსის" წევრი?**

- "რეინჯერსში" ჩემი გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია. მოთამაშეებსაც ჟურნალისტებთან საუბარში არაერთხელ განუცხადებიათ, გვიხარია, რომ ხიზანიშვილი გადმოდის ჩვენთანო. თავს კი არ ვიქებ, მართლა ასეა. ახლა მხოლოდ პირად კონტრაქტზელაა საუბარი - პირობებს ვათანხმებთ. როგორც კი სატრანსფერო ფანჯარა გაიღება, რეინჯერიც მაშინ გავხდები. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო. არ მინდა, რაიმე შეცდომა დავუშვა, რომელიც მერე სანანებელი გამიხდება.

**- თვლი, რომ "დანდიში" შენი თავი ამოწურე?**

- თვითკმაყოფილი არასდროს არ ვარ. მიმაჩნია, რომ რუსეთთან მატჩშიც კი კარგად (რასაც ეს სიტყვა გულისხმობს თავის თავში) არ მითამაშია. "დანდიშიც", ალბათ, არ ამომიწურავს ჩემი თავი, მაგრამ შემდგომი ზრდისთვის კლუბის შეცვლა აუცილებელია. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი, დასახვეწი, მაგრამ ყველაფერს უფრო მაღალი კლასის გუნდში გაცილებით სწრაფად და კარგად შევითვისებ, ვიდრე "დანდიში".

**- ამ შემთხვევაში, "რეინჯერსში"...**

- დიახ, თუმცა, არც "რეინჯერსია" ოცნების გუნდი. რა თქმა უნდა, დიდი ისტორიის მქონე, სახელიანი კლუბია, მაგრამ უფრო მაღალი კლასის გუნდშიც მომინდება მოხვედრა, ისეთ კლუბში, რომელთან ერთადაც ჩემპიონთა ლიგას მოვიგებ. "დანდიში" არაერთხელ უთქვამთ, რომ პატარა ვარ და კიდევ მოვასწრებ სხვადასხვა კლუბში გადასვლას, მაგრამ რაღა დროს ჩემი პატარაობაა?

**- შერჩეულიც ხომ არ გყავს ის კლუბი?**

- ჯერ არა. რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, დიდი გუნდი იყოს და ლიგა მოვიგო.

## ფორმულა 1

# შუმახერებმა დუბლი შეასრულეს

### მიხაელი კი საერთო ჩათვლის ლიდერიც გახდა

დიდი ხანია, რაც მიხაელ შუმახერს ასეთი მცირე უპირატესობით აღარ გაუმარჯვნია. კანადის დიდი პრიზი გერმანელი ძმების, მიხაელ და რალფ შუმახერების ტრიუმფით დასრულდა, მათ შორის განსხვავება კი მხოლოდ 0.7 წამი იყო - სწორედ ამდენით გაუსწრო შუმახერმა თავის უმცროს ძმას, რალფს, რომლისთვისაც კანადაში დაკავებული მეორე ადგილი ისედაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

Gilles Villeneuve-ს ტრასაზე გამარჯვებით მიხაელ შუმახერი მიმდინარე სეზონში პირველად მოექცა საერთო ჩათვლის სათავეში. შუმახერმა ჩემპიონატის შუაში ხელთ იგდო ლიდერობა და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა მსოფლიო ჩემპიონის მეექვსე ტიტულის მოსაპოვებლად. კანადის გრან-პრი მე-8 იყო იმ 16 რბოლას შორის, რომელთაგანაც შედგება ფორმულა 1-ის სეზონი. მიხაელ შუმახერის ეს გამარჯვება კი რიგით მეექვსეა მიმდინარე ჩემპიონატში.

"უაღრესად მჭიდრო კონკურენცია იყო. მეტოქეთა ძალები საოცრად თანაბარი იყო. სწორედ ამიტომ გახლდათ ეს გრან-პრი ასე საინტერესო, ჩემი გამარჯვება კი - ასე მნიშვნელოვანი", - განაცხადა მიხაელ შუმახერმა რბოლის შემდეგ.

კონკურენცია, მართლაც, არნახული იყო: მიხაელ შუმახერსა და მეოთხე პოზიციაზე მყოფ ფერნანდო ალონსოს შორის განსხვავება მხოლოდ 4.4 წამს შეადგენდა.

მესამე ადგილზე გავიდა წინა გრან-პრის გამარჯვებული, რალფ შუმახერის თანაგუნდელი ხუან პაბლო მონტოია. კოლუმბიელ პილოტს კანადაშიც ჰქონდა გამარჯვების შანსი, თუმცა, ეს შანსი მან რბოლის დასაწყისშივე გაუშვა ხელიდან. უკანასკნელ წრეებზე მიხაელ შუმახერზე იერიშის მიტანა ვერც ერთმა მდევარმა ველარ მოახერხა.

ჩემპიონატის საერთო ჩათვლას გუშინდლამდე ლიდერობდა ფინელი კიმი რაიკიონენი, რომელიც ოთხი ქულით უსწრებდა შუმახერს. თუმცა, საკვალიფიკაციო რბოლებში დაშვებული შეცდომების გამო, გუშინდელი რბოლა რაიკიონენმა უკანასკნელი პოზიციიდან დაიწყო და მეექვსე პოზიციაზე დაასრულა. მეექვსე ადგილზე გასვლით ფინელმა 3 ქულა მოიპოვა, მაგრამ ლიდერობის შესანარჩუნებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა მიხაელ შუმახერი სამი ქულით უსწრებს რაიკიონენს.

გუშინ მოპოვებული 10 ქულით მიხაელ შუმახერმა თავისი კარიერის 999-ე ქულა მოიპოვა. მომავალი გრან-პრი ორი კვირის შემდეგ გერმანიაში, "ნიურბურგრინგზე" გაიმართება და შუმახერსაც იმედი აქვს, საიუბილეო, მე-1000 ქულას იქ, სამშობლოში გადააჭარბებს.




რალფ და მიხაელ შუმახერები კანადის გრან-პრის ტრიუმფით აღნიშნეს

REUTERS

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხაელ შუმახერი | Ferrari 01:31:11.591 |
| 2. | რალფ შუმახერი | BMW-Williams +0.7 |
| 3. | ხუან პაბლო მონტოია | BMW-Williams +1.3 |
| 4. | ფერნანდო ალონსო | Renault +4.4 |
| 5. | რუბენს ბარიკელო | Ferrari +64.2 |
| 6. | კიმი რაიკიონენიო | McLaren-Mercedes +70.5 |
| 7. | მარკ ვებერი | Jaguar +1 წრე |
| 8. | ოლივიე პანი | Toyota +1 წრე |
| 9. | იოს ვერსტაპენი | Minardi +2 წრე |
| 10. | ანტონიო პიცონია | Jaguar Racing +4 წრე |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| კრისტიანო და მატა | 66 წრე |
| ჯასტინ ვილსონი | 63 წრე |
| ჯენსონ ბატონი | 54 წრე |
| დევიდ კულჰარდი | 49 წრე |
| ნიკ ჰაიდფელდი | 48 წრე |
| იანო ტრული | 27 წრე |
| ჯანკარლო ფიზიკელა | 23 წრე |
| რალფ ფირმანი | 23 წრე |
| ჟაკ ვილევი | 16 წრე |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი | 8 წრე |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხაელ შუმახერი | 54 |
| 2. | კიმი რაიკიონენი | 51 |
| 3. | ფერნანდო ალონსო | 34 |
| 4. | რალფ შუმახერი | 33 |
| 5. | ხუან პაბლო მონტოია | 31 |
| | რუბენს ბარიკელო | 31 |
| 7. | დევიდ კულჰარდი | 25 |
| 8. | იანო ტრული | 13 |
| 9. | ჯანკარლო ფიზიკელა | 10 |
| 10. | ჯენსონ ბატონი | 8 |
| 11. | ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი | 7 |
| 12. | მარკ ვებერი | 6 |
| 13. | კრისტიანო და მატა | 3 |
| | ჟაკ ვილევი | 3 |
| 15. | ოლივიე პანი | 1 |
| | რალფ ფირმანი | 1 |

**კონსტრუქტორთა დავა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | Ferrari | 85 |
| 2. | McLaren-Mercedes | 76 |
| 3. | Williams-BMW | 64 |
| 4. | Renault | 47 |
| 5. | Jordan-Ford | 11 |
| | BAR-Honda | 11 |
| 7. | Sauber-Petronas | 8 |
| 8. | Jaguar -Cosworth | 6 |
| 9. | Toyota | 4 |
| 10. | Minardi-Cosworth | 0 |

ჩოგბურთი

# "როლან გაროსი" მორჩა! "უიმბლდონი" - არა!

## პიტ სამპრასი დიდ სლემს უბრუნდება

გიგა გურასაშვილი

*თანამედროვეობის უდიდეს ჩოგბურთელს, ამერიკელ პიტ სამპრასს, რომელსაც კარიერაში არაერთი ტიტული მოუპოვებია და უამრავი რეკორდის ავტორიცაა, გადაუწყვეტია, საფრანგეთის ღია პირველობას - "როლან გაროსს" აღარ გაეკაროს. ამერიკელის გადაწყვეტილება, როგორც თავად ამბობს, საბოლოოა და "გასაჩივრებას" არ ექვემდებარება.*


*სამპრასმა ბოლოს აგასი დაამარცხა*

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი გულგატეხილია. ყველაფრის მომგებს, ერთადერთ ხინჯად საფრანგეთის ღია ჩემპიონატი დარჩენია. "როლან გაროსი" ერთადერთია დიდი სლემის ოთხი ტურნირიდან, რომელიც დღემდე ვერა და ვერ მოათვინიერა. 31 წლის "პისტოლ პიტს" დიდი სლემის კორტებზე 14-ჯერ უზეიმია გამარჯვება. ასეთი მაჩვენებელი კი აბსოლუტურ რეკორდადაა მიჩნეული, ყოველ შემთხვევაში, სამპრასის გარდა, აქამდე ეს ვერავინ შეძლო. ბოლოს მოგებული დიდი სლემი კი აშშ-ის ღია პირველობისა გახლდათ, რომელსაც შარშან, სექტემბერში, თანამემამულე ანდრე აგასისითან ორთაბრძოლაში მეხუთედ დაეუფლა. მას შემდეგ... პიტ სამპრასი კორტზე აღარ გამოჩენილა. ტიტულოვანი ჩოგბურთელი ჩოგნის მარჯვედ ქნევას კვლავაც აპირებს, ოღონდ არა "როლან გაროსზე". დღეის იქით რიგით მეორე ტურნირი მისთვის ფანჯრის ფუნქციას შეასრულებს. და თუ აქამდე იქ წარმატების იმედი ჰქონდა, როგორც თავად აცხადებს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავს აიძულებდა პარიზში გამარჯვებას.

"რა ვქნა, ასეა. "როლან გაროსზე" ჩემი ფეხი აღარ იქნება, - ყოველდღიურ L'Equipe-თან ინტერვიუში გულგატეხილი ჩანს ჩოგბურთელი. - ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ეს ტურნირი მომეგო. ყოველგვარი სინანულის გარეშე მასზე ხელი ჩამიქნევია. "როლან გაროსისთვის" მომზადების სისტემასაც კი ვცვლიდი, ანუ თიხნარზე თამაშს მეტ ყურადღებას ვუთმობდი. თურმე, სულ ტყუილად ვირჯებოდი. შარშან, როდესაც "ფლაშინგ მედოუზე" დავბრუნდი, ყველას ეგონა, რომ ვერ გავიმარჯვებდი. როდესაც ფინალში ანდრე აგასი დავამარცხე, ეს ჩემთვის უზარმაზარ რამეს ნიშნავდა. მაშინ მონდოდა, საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ მე-14 დიდი სლემის მოგებაც შემეძლო".

ამჟამად სამპრასს მთელი გულისყური არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატისკენ - უიმბლდონისკენ აქვს მიპყრობილი. არადა, ცოტა ხნით ადრე უიმბლდონის შვიდგზის ტრიუმფატორს არც აქ ჰქონდა ასპარეზობის სურვილი. მიმდინარე სეზონში საბალახო ტურნირებიც გამოტოვა და, სავარაუდოდ, "პისტოლ პიტს" არც ლონდონში ელოდნენ, თუმცა, ეჭვი არ გამართლდა: სამპრასი უიმბლდონის ხასხასა ბალახზე თამაშს აპირებს.

"ორი თვის წინათ ვარჯიში განვაახლე, თუმცა, მივხვდი, რომ გული ძველებურად აღარ მიძგერს", - სინანულით აღნიშნავს ATP-ის ტურნირების 64 ტიტულის მფლობელი, რომელსაც მოგებულ-წაგებული მატჩების სტატისტიკაც შთამბეჭდავი აქვს – 762:222. ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს თანამედროვე ჩოგბურთის ერთგვარი რეკორდსმენია.

სამპრასს, რომელსაც საჩოგბურთო კარიერაში 43 მილიონ დოლარზე მეტი უშოვია, მომავალზეც საუბრობს. კითხვაზე, თუ რატომ არ უნდა ჩოგბურთიდან წასვლა, პასუხობს: "ერთი განცხადებით ვერ მივხურავ იმის კარს, რაც ჩემი მოწოდებაა. წლის ბოლომდე მოვიცდი და მერე ვნახოთ, წავალ თუ დავრჩები".

საკუთარი შეგირდის გაგმებზე ერთი თვის წინ საუბრობდა "პისტოლ პიტის" მწვრთნელი პოლ ანაკონეც. მაშინ ანაკონემ განაცხადა, რომ სამპრასს ჯერ არ სურს კორტიდან წასვლა, ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ ტურნირზე ასპარეზობის გარეშეო. და თუ წასვლა მაინც გადაწყვიტა, ამას თავადვე განაცხადებსო.

ჰოკეი

# კურნიკოვამ ფიოდოროვს 50 მილიონი დააკარგვინა

მიხეილ აბაიშვილი

NHL-ში საუკეთესო რუსი ლეგიონერი, სერგეი ფიოდოროვი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან, "დეტროიტ რედ ვინგზთან" ურთიერთობებისთვის წერტილის დასმას არ აპირებდა, მაგრამ მისმა კავშირმა თანამედროვე ჩოგბურთის სექს-სიმბოლოსთან, ანა კურნიკოვასთან, შესაძლოა, ფიოდოროვს ერთობ სარფიანი კონტრაქტი დააკარგვინოს.

ჩრდილოეთ ამერიკის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა უკვე გააკეთეს ხმაურიანი განცხადება, რომლის მიხედვითაც, რუსმა ცენტრფორვარდმა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა და 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტი გახდება. როგორც ირკვევა, ფიოდოროვს კლუბის ხელმძღვანელობისთვის მხოლოდ ის უთხოვია, რომ მისთვის დრო მიეცათ პირადი პრობლემების მოსაგვარებლად. სწორედ ეს განუცხადა მედიას ჰოკეისტის პირადმა აგენტმა პეტ ბრისონმა. მისი თქმით, იმის მთავარი მიზეზი, რომ ფიოდოროვს ჯერ კიდევ არ გაუფორმებია კონტრაქტი "დეტროიტ რედ ვინგზთან", მისი ყოფილი მეუღლე, ჩოგბურთელი ანა კურნიკოვაა. სწორედ იმ დროს, როდესაც ჰოკეისტი ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტით იყო დაკავებული, კურნიკოვამ გაყრის პროცესი წამოიწყო. ამ პროცესს ფიოდოროვისთვის, მორალურთან ერთად, შეიძლებოდა, საგრძნობი მატერიალური ზარალიც მიეყენებინა და, პირადი იურისტების რჩევით, რუსი ლეგიონერი მთლიანად ამ საქმეზე გადაერთო, მაგრამ სერიოზული ზარალი მაინც ვერ აიცილა. ამასობაში "დეტროიტის" მფლობელმა და პრეზიდენტმა, მაიკ ილიჩმა, ფიოდოროვს პირადად შესთავაზა ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმება. შეთავაზების მიხედვით, ფიოდოროვი ამ ხნის განმავლობაში 50 მილიონ დოლარს მიიღებდა. ამ წინადადების მოსმენის შემდეგ ფიოდოროვს არავითარი რეაქცია არ ჰქონია. საზოგადოდ, დუმილი თანხმობის ნიშანია, მაგრამ, ილიჩმა რატომღაც ფიოდოროვის ინდიფერენტულობა უარის ნიშნად ჩათვალა და ერთგვარ შეურაცხყოფადაც კი მიიღო. მდგომარეობის გამოსწორება ბრისონს დაევალა და მანაც, საქმის შემოსაბრუნებლად, ძალისხმევა არ დაიშურა, რაც, პირველ რიგში, მედიაში ბოდიშის ტონის განცხადებებით გამოიხატა.


*ანა კურნიკოვა და სერგეი ფიოდოროვი*

"სერგეის ამ კონტრაქტის ხელმოწერაზე უარი არ უთქვამს. მას, უბრალოდ, არ შეეძლო ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის იმ პერიოდში გადაწყვეტა, როდესაც პირადი პრობლემები თავსაყრელად ჰქონდა", - განაცხადა აგენტმა, რომელიც ჰოკეისტმა კურნიკოვასთან გაყრის პროცესის დასრულებისთანავე დაიქირავა.

ბრისონი მხოლოდ მედიაში ბოდიშის მოხდით არ შემოიფარგლა და ფიოდოროვის სამსახურში ჩადგომისთანავე დაიწყო მოლაპარაკებები "დეტროიტის" ხელმძღვანელობასთან, მაგრამ კლუბი ახალ კონტრაქტში საწყისი პირობების ჩადებაზე აღარ დათანხმდა. ამჯერად "დეტროიტი" მხოლოდ სამწლიან კონტრაქტსა და 30 მილიონის გადახდაზეა თანახმა, ბრისონის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ კი კიდევ 10 მილიონისა და ერთი წლის დამატებას დაყაბულდა. თუმცა, ფიოდოროვს ძალიან უნდა, თავისი კარიერა ამერიკის საავტომობილო დედაქალაქის გუნდს კიდევ ხუთი წლით დაუკავშიროს. მისი აგენტიც მიიჩნევს, რომ ასეთი კონტრაქტი სასარგებლო იქნებოდა როგორც კლუბისთვის, ისე მისი კლიენტისთვის, მაგრამ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ "წითელმა ფრთებმა" საერთოდ უარი თქვას რუსი ჰოკეისტის სამსახურზე.

საქმე ის არის, რომ სტენლის თასის შარშანდელ გამარჯვებულს, შესაძლოა, ფულიც არ ეყოს იმისთვის, რომ გუნდის ლიდერები შეინარჩუნოს. "დეტროიტ რედ ვინგზი" სტენლის თასის წლევანდელ გათამაშებას სენსაციურად, პირველივე პლეიოფური ეტაპიდან გამოეთიშა, როდესაც სერიაში "მშრალად" დამარცხდა მომავალ ფინალისტთან და სეზონის აღმოჩენასთან, "ანაჰაიმთან".

უკვე დათვლილია, რომ თავისი მოულოდნელი ფიასკოს გამო "დეტროიტის" ხაზინამ 60 მილიონი დოლარი დაკარგა. შესაძლოა, ეს სწორედ ის დანაკლისი აღმოჩნდეს, რომელიც ფიოდოროვის იმედებს სარფიანი კონტრაქტის გაფორმებაზე წერტილს დაუსვამს.

ამასობაში კი ძველქმარგაყრილი და ენრიკე იგლესიასის სახით ახალქმარშეძენილი კურნიკოვა მსოფლიოს სხვადასხვა კურორტზე ნებივრობით და გაყრის პროცესიდან მიღებული ფიოდოროვის ფულის ხარჯვით ირთობს თავს.

ცურვა

# რუსმა იაპონელის რეკორდს რეკორდით უპასუხა

22 წლის რუსმა მოცურავემ დმიტრი კომორნიკოვმა "მარე ნოსტრუმის" ასპარეზობათა სერიაში ბარსელონას წყალში City of Barcelona International-ზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. კომორნიკოვმა 200 მ ბრასით ასპარეზობაში იაპონელი კოსუკე კიტაჯიმას მიერ შარშან, 2 ოქტომბერს, პუსანში მე-14 აზიურ თამაშებზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (2:09.97) დაამხო – 2:09.52.

"პირველი 100 მეტრი სწრაფად გავცურე. ვგრძნობდი, რომ კარგად მივდიოდი და გადავწყვიტე, რიტმი ბოლომდე შემენარჩუნებინა. თუმცა, გამოგიტყდებით, არ მეგონა, თუ მსოფლიო რეკორდს დავამყარებდი", - მოკრძალებული ჩანს კომორნიკოვი.

შეჯიბრების ორგანიზატორთა თქმით, ბარსელონას "სანტ ანდრეს" საცურაო აუზისთვის კომორნიკოვის მსოფლიო რეკორდი პირველი შემთხვევაა.



*კომორნიკოვი რეკორდისკენ მიცურავს*

რაც შეეხება თავად რეკორდს, უფრო სწორად, მის ევოლუციას, 200 მეტრზე ბრასში კიტაჯიმამდე მის გაუმჯობესებას ამაოდ ცდილობდნენ ათი წლის განმავლობაში. იაპონელ რეკორდსმენამდე კი ამერიკელმა მაიკ ბეროუმანმა 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე გაცურა ყველაზე სწრაფად – 2:10.16. ბარსელონას ოლიმპიური ჩემპიონის მიერ დაწესებული სტანდარტის გაუმჯობესებასთან ყველაზე ახლოს ამერიკელი ედ მოზესი, იტალიელი დომენიკო ფიორავანტი და ამერიკელი ბრენდან ჰანსენი გახლდნენ, თუმცა, ათი წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდი იაპონელ მოცურავემდე ვერავინ დაამხო. კიტაჯიმას მიღწევა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მან 2 წთ და 10 წმ-იანი ბარიერი გადალახა. ბარიერი გადალახა რუსმა მოცურავემაც, რაც მოსალოდნელიც იყო. გასულ სამშაბათს კომორნიკოვმა მონტე-კარლოში ევროპის რეკორდით გამოიჩინა თავი. ასე რომ, რუსი სპორტსმენის ბარსელონაში სწრაფად გაცურვაც არავის გაჰკვირვებია.

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ივლისში ბარსელონა საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც, ალბათ, ერთ-ორი მსოფლიო რეკორდი დაემხობა.



უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

## დეიდებო, ბიძიებო, დაეხმარეთ ხოჭოს!

სპორტსმენები დაჩაგრული ხალხია.

სპორტსმენები უსამართლოდ დაჩაგრული ხალხია. არა, მარტო ეგენი კი არა, ისინიც, ვინც მაგათზე სიტყვა მაინც თქვა, ესე იგი, სიმპათია გამოამჟღავნა.

მაგალითად, ჯეკ ლონდონი. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კაცი კრივზე, მკლავჭიდზე, მარხილებით შეჯიბრებაზე წერდა, მწერალს კი არა, ახალგაზრდობის თუ ახალგაზრდულ მწერალს ეძახიან. ანუ, ჩვეულებრივ მწერალზე რანგით დაბალს.

ეხლა, მწერალს რომ ეგრე ექცევიან, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში იქნებიან ჟურნალისტები. სპორტულ ჟურნალისტებს ვგულისხმობ. რაღა შორს წავიდე, აი, თუნდაც ჩვენი რედაქცია. ღმერთმა ნუ ქნას და, რომელიმე პრესტიჟული განყოფილებიდან ხელი რომ წაუცდეთ და დაწერონ, - ამერიკის ბიუჯეტი სამასი მილიარდიაო, ნახევარი თბილისი ვერ გაიგებს, ტრილიონები რომ მოუტეხეს ქვეყანას.

ღმერთმა ნუ ქნას-მეთქი, კი ვთქვი, მაგრამ ეგეთები წასულა? ეხლა ადგეს სპორტული ჟურნალისტი და "ბარსელონა"-"რეალის" შედეგს არაფერი, არც ერთი ბურთიც არ დააკლოს, უბრალოდ, ჰაერით გაბერილი ეს მრგვალი ტყავი "ბარსელონას" მაგივრად მადრიდელთა კარში შეაგოროს, ესე იგი, 1:2-ის ნაცვლად 2:1 დაწეროს. მთელ ქალაქს მაინცდამაინც იმ დღეს გაუჩნდება ჩვენთან დარეკვისა და ჩვენი მამა-პაპის გახსენების სურვილი. ამის დამწერს კი, სამსახურის თუ არა, ხელფასის ნახევრის დატოვება მაინც მოუწევს.

აი, ეგრე.

ეხლა, ეს, რაც დავწერე, უვერტიურად ჩავთვალოთ და გადავიდეთ ძირითად სათქმელზე, რომელსაც, რაკიღა სპორტულ გვერდში ვართ, ლაიტმოტივადაც სპორტული თემა გაჰყვება.

რა თქმა უნდა, გაგიგონიათ: ქალი ან დაანგრევს, ან ააშენებს ოჯახსო. ამით ქალის დიდ მნიშვნელობას აღნიშნავენ ოჯახთან მიმართებაში. ზუსტად ამგვარი და ასეთი ტვირთი აწევთ პოლიტიკოსებს, ოღონდაც ახლა უკვე ქვეყანასთან მიმართებაში – ისინიც ან ანგრევენ, ან აშენებენ. მაგალითები, ცხადია, საჭირო არ არის. შედარებით ნელა, მაგრამ იგივეს, უფრო საფუძვლიანად, ფილოსოფოსები აკეთებენ. სწორედ ამ კატეგორიის, ეგრეთ წოდებული განმანათლებლების დამსახურებაა როგორც ფრანგული, ისე რუსული რევოლუციები და ასიათასობით სიცოცხლე. არსებობს ტექნიკური ინტელიგენციაც. დღეს რომ სავარძელში ჩამჯდარი Live-ში ვუყურებ დედამიწის მეორე მხარეს მომხდარ ამბებს და აღარც კოსმოსიდან გადაღებული კავკასიის ფოტო იწვევს ჩემს გაკვირვებას, მაგათი – გამომგონებლების, ინჟინრების, ერთი სიტყვით, მეცნიერების დამსახურებაა. თუმცა, სამწუხაროდ, მაგათივე წრიდანაა ფერმიც, რეზერფორდიც, სხვები და სხვები, ათასნაირი ბომბებისა და ქიმიური იარაღის შემქმნელ-მწარმოებლები.

უჰ, რამდენი ჩამოვთვალეთ. ვინღა დაგვრჩა? ჰო, რა თქმა უნდა, ხალხი. ისინი, ვისი ხელებითაც შენდება ან ინგრევა ეს ქვეყანა. ისინი, ვინც ხან პოლიტიკოსების დუდუკზე ცეკვავენ, ხან - ფილოსოფოსების, ხანაც საკუთარი ხელით ახრჩობენ საკუთარსავე მომავალს.

შეიძლება გიკვირთ კიდეც, რატომ დავახარისხე ეს ხალხი საბურთალოს ბაზრის დახლებზე გადარჩეულ-გადმორჩეული ხილბოსტნეულივით. იმიტომ რომ, მეთქვა: ჩვენთან ყველაფერი თავდაყირა დგას. ძალიან სასაცილოა პრეტენზიები თერთმეტი კინკილა ფეხბურთელის მიმართ, როცა სულ თავში პოლიტიკაა. როცა მაგათ ხელშია ყველაფერი – იდეების გავრცელებაც, თანამგზავრების გაფრენაც, ბომბების ჩამოგდებაც. როცა მაგათი სიტყვით იწყება სიკეთეცა და ბოროტებაც. ბოლოს კი ისე გამოდის, რომ ყველაზე მეტს იმას სთხოვენ, ვისაც ბევრი არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, სუფთად აღებული დო-დიეზი ან მაკრატელათი გატანილი გოლი ქვეყანას ვერც ააშენებს და ვერც დაანგრევს.

და რა გამოდის აქედან? მოდი, ვნახოთ.

ცნობილ სპორტსმენად რომ იქცე, წლებია საჭირო. ყოველდღიური კონტროლი, ანალიზები. დიდ სპორტში დოპინგსაწინააღმდეგო სამსახურებიც ერთვებიან საქმეში. იმ დონემდე, რომ კურიოზებიც ხდება. პროფესიონალი ველომრბოლი შეჯიბრებაზე იმდენ სითხეს კარგავს, ხანდახან შარდის ანალიზსაც ვერ ულებენ ხოლმე. და საერთოდაც, სპორტსმენის ცხოვრება ერთი გაბმული აკრძალვებია. არსებობს ოთხასი აკრძალული პრეპარატი, რომლებიც ათასგვარ საკვებში, ათასგვარ წამალშია – თავის ტკივილის აბებით დაწყებული და კუჭის აშლილობის საწინააღმდეგოთი დამთავრებული. აღმოგიჩენენ და, მშვიდობით, კარიერავ! თუმცა, რა პროფესიონალები, როცა კუს ტბის მიდამოებში ნებისმიერი მოყვარული მორბენალიც კი აკონტროლებს საკუთარ თავს – აუცილებლად ისინჯავს პულსს ვარჯიშამდე და ვარჯიშის შემდეგ. აღარაფერს ვამბობ მწვრთნელებისა და საზოგადოების მიერ დაწესებულ კონტროლზე.

"არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი მწვრთნელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისთვისაც მეცნიერებას, სტატისტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის პროფესიაში. ახლა, თუ შეიძლება, ერთი წუთით მოუსმინეთ ცნობილ ფეხბურთელს ტონი ადამსს: "შარშან, სანამ ტრავმას მიიღებდა, რობერ პირესი თითოეულ თამაშზე 14-15 კილომეტრს ფარავდა, ტრავმის მიღებამდე სულ ცოტა ხნით ადრე კი – თერთმეტს. ვენგერმა ეს კარგად იცოდა. ჩვენ ერთად გადავხედეთ სტატისტიკას, ვნახეთ ფიზიოლოგიური მონაცემები. რობერ პირესი დაღლილი იყო. მაგრამ არსენ ვენგერმა, სტატისტიკის ამ მართლაც ჭიამ, მაინც წაუყრუა მონაცემებს და მინდორზე დატოვა ფეხბურთელი, რასაც შედეგად "აფეთქება" მოჰყვა".

მართალი ბრძანდებით, ეს ინგლისია, მაგრამ საქართველოშიც კი თითქმის აღარ მოიძებნება გუნდი ან სპორტსმენი, ცალკე ექიმი, ცალკე ფიზიკური მომზადების სპეციალისტი რომ არ ჰყავდეს.

აი, ასეა საქმე სპორტში, იმ სფეროში, რომელშიც ერთი, ათი, ან თუნდაც ათასი შეცდომა ბევრს ვერაფერს დააკლებს ქვეყანას, სფეროში, რომლის მსახურებსაც, თუ მაინცდამაინც ალალად ვიტყვი, ისე გვიყურებენ, როგორც, აი, კიკა რომ იყო თბილისში, ან მარინა რომ არის. სახალისოდ და გასართობად, რა...

ეხლა კი ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ისევ პოლიტიკოსებს უნდა მივუბრუნდე.

მე არ მაინტერესებს, რა მანქანებით ხვდებიან ისინი ამ სარბიელზე. მე მაინტერესებს, როგორი ფილტრია დაწესებული ამ გზაზე – ჩვეულებრივი მოქალაქეობიდან მინისტრობამდე, ან თუნდაც დეპუტატობამდე. ვგულისხმობ ყველანაირ კონტროლს - ფიზიოლოგიური ტესტებით დაწყებული, ინტელექტუალურით დამთავრებული.

მე მწვალებელი არა ვარ და სიტყვა "კონტროლიც" უსიამო ასოციაციებს იწვევს ჩემში, მაგრამ თქვენ თავად განსაჯეთ, ვითომ არ სჭირდება კონტროლი კაცს, რომელიც ახლა წინ მიზის, რომლის სახელსა და გვარს, ბუნებრივია, არ ვიტყვი, ისე კი, პოლიტიკოსია, ქართულად თუ მოვთარგმნით, ხელოვანი, ესე იგი, სახელმწიფოს მართვაში დახელოვნებული და ტელევიზიითაც ხშირად გამოდის ხოლმე. აი, ასეთ სერიოზულ კაცთან მაქვს საქმე.

პოლიტიკაზე ჩამოვარდა საუბარი. შენ ისა ხარ, ვისაც ტაძრისკენ მიჰყავს-მეთქი ხალხი. ჯერჯერობით ხალხს თავი დავანებოთ, ხოჭოს თუ შეგიძლია დაეხმარო-მეთქი. მაშაყირებო? მერე ავუწერე ვირტუალური დარბაზი და სქემაც დავუხატე.




მოკლედ, ეგრეა საქმე. აი, ამ დარბაზში, იატაკიდან ერთ მეტრზე, ზუსტად შუაში, მამალი ხოჭო ცხოვრობს. მოპირდაპირე კედელზე, ჭერიდან ერთ მეტრზე, - დედალი. მამალი ხოჭო ყოველდღე დადის დედალთან – საყვარელია, რა. აივლის თერთმეტ მეტრს ჭერამდე, მერე ოცდაათს მოპირდაპირე კედლამდე და დაეშვება ქვევით ერთი მეტრით. თერთმეტი, ოცდაათი და ერთი – სულ ორმოცდაორია. დაიღალა კაცი ყოველდღე ამდენი სიარულით და დაიწყო მოკლე გზის ძებნა. ასეთი კი მართლა არსებობს. იქნებ დაეხმარო-მეთქი.

გამომართვა ნახაზი, ატრიალა, ატრიალა და, - მათემატიკა არასდროს არ მიყვარდაო. ქვეყანა არ დაქცეულა, ხომ შეიძლება, კაცს რომელიმე სფეროში ერხეოდეს. ავდექი და "ცხოვრებისეული" მაგალითი მივეცი. ოთხსართულიანი სახლის სახურავიდან რომ ორი აგური ჩამოვაგდოთ, მთელი და ნახევარი, რომელი უფრო ადრე დავარდება-მეთქი. იფიქრა, იფიქრა და, მთელიო. ოლოლო შენ-მეთქი. და ახლა სულ დაბლა, მეორე კლასამდე ჩამოვედი. ორს მივუმატოთ ორი, გავყოთ ორზე, რამდენი იქნება-მეთქი და დავუწერე: 2+2:2. გაბრაზდა. მერე ჩავაცივდი და მაინც ვათქმევინე: რამდენი და ორიო!

ამ მაგალითისა რა გითხრათ, მაგრამ ორჯერ ორივით ვიცი – ეგეთები, რამდენიც გნებავთ, იმდენია მთავრობაშიც და პარლამენტშიც. თუ არ გჯერათ, მსგავსი ტესტები მზადა მაქვს.

კარგი. თავი დავანებოთ სპორტსმენებსა და ფიზიკა-მათემატიკასაც. კაცმა ავტომობილის მართვის უფლება რომ მიიღო, ესე იგი, შოფერი რომ გახდე, ჯანმრთელობის ცნობაც გჭირდება, რომელიც, სხვათა შორის, სისხლის სერიოზულ ანალიზსაც გულისხმობს. მერე კი საკმაოდ რთული გამოცდაც უნდა ჩააბარო. და ეს სავსებით სწორია, რადგან საჭესთან დაჯდომით არა მარტო საკუთარ, სხვის სიცოცხლესაც აგდებ საფრთხეში. მაგრამ პოლიტიკოსის ავარია ხომ ათასების, ათიათასების, ზოგჯერ მილიონების უბედურებასა და მსხვერპლს იწვევს.

მართალია, ეს საქართველოა, მართალია, ბევრს ვერაფერს შევცვლით მსოფლიო რუკაზე, მაგრამ ისევე როგორც დედამიწაზე დაბადებულ თითოეულ ადამიანს, ჩვენც გვინდა ნორმალური ცხოვრება, ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ჩვენც გვიყვარს ჩვენი ბავშვები და ჩვენი მოხუცები და ამიტომ მგონია, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს კონტროლი, აუცილებლად უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც ამ სერიოზული დებილებისგან დაიცავს ხალხს.



## "ბინული"

საშუალო სკოლა "ბინული" არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია მაღალზნეობრივი და ინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უწყვეტობას; სკოლაში ხორციელდება უცხო ენების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაღრმავებული სწავლება, რითაც ხდება ადრეული პროფილირება. სკოლა უზრუნველყოფს სწავლებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და ამაღლებისათვის, ხელს უწყობს დამოუკიდებელი და სამეცნიერო საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას.

სკოლა შედგება ორი ცენტრისაგან: სასწავლო მეთოდური ცენტრი და ბავშვთა აღზრდის ცენტრი.

სასწავლო მეთოდური ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

1. დაწყებითი ელემენტარული სკოლა (პირველი - მეექვსე კლასები)
2. ძირითადი (პროფილური) სკოლა (მეშვიდე - მეცხრე კლასები).
3. ლიცეუმი (უმაღლესზე ორიენტირებული სწავლება).

სკოლაში მოსწავლე მიიღება კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს მიმღები კომისია. კომისიის შემადგენლობაში პედაგოგებთან ერთად მონაწილეობს ფსიქოლოგი და ლოგოპედი.

სკოლაში ჩარიცხვის დროს ყურადღება ექცევა მოსწავლის მზაობას ინტენსიური ინტელექტუალური საქმიანობისათვის.

2003-2004 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს I-IV კლასებში.

**მისამართი:** დიღმის მასივი, III კვარტალი. 147-ე საშუალო სკოლის შენობა, საერო სკოლა "ბინული". ტელ: 52-98-84.

---

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61




## აფიშა

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"კარმენი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლში, მარინა ჯანაშია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
ჰოლანდიელი მხატვრის ანელის მიდდელის პერონალური გამოფენა "საქართველოს სახე"

**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

**„ორიენტი„**
პეტრე ბლიოტკინის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ჭუჭა ცხვირა"
დას: 13:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"მატრიცა 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
18:00; 22:00 სთ; ფასი 7,8
"მდევარი"
დას: 20:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"X მენი 2"
დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5,7 ლარი
"დიდი ძარცვა"
დას: 17:30; 22:00; ფასი 5,9 ლარი

**„ელისო"**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00 სთ; ფასი
"X მენი 2"
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

**კინოს სახლი**
ფრანგულ-გერმანული ფილმების დღეები
"სიყვარული გერმანიაში", რეჟ. ანჟეი ვაიადა
დას: 16:00 სთ. (ორიგინალური ვერსია)
"მხეცად განწირული", რეჟ. ყერცუ ჰოფმანი
დას: 19:00 სთ. (ქართულ ენაზე)
დასწრება თავისუფალია

## TV პროგრამა 16 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „მეწამული ყვავილი“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 ჩვენი ეზო
18.25 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.50 სერიალი „მაშველები“
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 სერიალი „ჯაშუში“
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „რემბო“. მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
10.15 მხ. ფილმი „კონკია“
11.45 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.00 ოქროს მართვე
14.30 დოკ. სერიალი „ავანტიურისტი მედიკოსები“
15.15 მხ. ფილმი „განყენების მომენტი“
17.00 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.15 რამპა
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 მრავალჟამიერ
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
20.55 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.45 დოკ.სერიალი „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში“
22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება?“
00.00 მხ. ფილმი „შავი მანტია“.

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ტანგო სამში“ მთ. რ-ში ნივ კემპელი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 „ბრავო“ „ამ წლის სიყვარული“ მთ.რ-ში იენ ჰარტი.
01.40 „ღამურა“ „ბარლევეაზე“ მთ.რ-ში ენდრიუ მაკარტი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 დოკ. ფილმი
21.00 ჯანმრთელობა
21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
22.10 მხ. ფილმი „სიკვდილის ალმასი“.

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „მაგარი ბიჭები“
15.00 მხ. ფილმი „მატრიცა“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „ფლიუკი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „შიშველი პისტოლეტი“
22.30 მხ. ფილმი „60 მილიონი ღირებულების ოპერაცია“

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „ოთხი გუმბული
10.20 მხ.ფ. „დედაჩვენის მკვლელი“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
20.00 ბურთი და მოედანი
20.30 მხ.ფ. „მეოთხე ტენორი“
22.15, 23.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ადრენალინი“
01.30 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“
10.00 მხ. ფილმი „ლეონი“
12.10, 15.20, 17.20 მუსიკა
12.40 მხ.სერიალი „ფერადი ცხოვრება“ მე-4 ს.
13.50 „ოსტატები“-ფოტოგრაფი
14.00 „ბელისიმო“ - დიდი ზურაბი
14.15 „ჩემი ქვეყანა“ - „ოჯახი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 მსოფლიო ფეხბურთი“
15.35 მულტფილმი „ქალთევზა“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.30 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი“
21.15 სერიალი „სირინოზები“ მე-21 ს.
22.00 გადაცემა „ღამის მატარებელი“
00.20 გადაცემა „პილოტი“
00.40 მხ.ფილმი „მაკულატურა“.

### იმედი

08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.05, 13.15, 17.20, 23.55 იმედის მელოდიები

09.30 სერიალი „იუდას ქალი“ 56-ე ს.
10.30 ლარის მახე
11.05 სერიალი „შტოკინგერი“ მე-12 ს.
12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“ მე-20 ს.
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“ მე-19 ს.
15.15 ფანების კინოკლუბი „ეის ვენტურა-როცა ბუნება გიხმობს“
17.30 ჩ-კლუზივი
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
20.30 სპორტ. პროგრამა „გოლი“
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
23.00 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“
00.05 კინო-ნოსტალგია „მონადირე“

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი“ 1 ს.
10.45, 14.05 მუსიკა
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.10 კომედია „ამელი“
14.30 სათავგადასავლო ფილმი „პატარა პატრიოტი“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი „სააღდგომო ისტორია“
17.15 თრილერი „მცველი“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.30, 22.40, 00.40 მუსიკა
19.55 მხატვრული ფილმი „იდეალური შტორმი“
23.00 „ალტერნატივა“
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 მელოდრამა „ემა“
03.20 მხატვრული ფილმი „მოცეკვავის დრო“

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა“
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.20 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.00 „ობიექტივი“-სტუმარი (გამეორებით)
11.50 კომპიუტერული ტექნიკა
12.30 დისნეი და მისი მეგობრები
12.50 კომპიუტერული თამაშები
13.05 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.35 მობილურები
21.15 „ლა-ლა-ლა“
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.35 „კინოკლუბი „ - „მხსნელი „. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი: პიტერ ანტონიევიჩი. როლებში დენის კვეიდი, ნასტასია კინსკი
00.10 კომპიუტერული თამაშები
00.15 „გიორითმი“

### ОРТ

13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
13.15 Худ.фильм „Фронт без флангов“, 1 с.
15.00 Док. детектив „Теорема Ферма для следователей“.
15.30 „Путешествия натуралиста“
16.20 „Сканер“
16.55 Док.сериал „Живая природа“.
18.00 „Большая стирка“
19.30 „Шутка за шуткой“
20.00 „Жди меня“
21.00 „Кто хочет стать миллионером?“
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Пятый угол“
23.45 Док.фильм „Личная жизнь Валентины Терешковой“, 1 с.
01.00 „Теория невероятности“
01.30 „Формула власти“. Президент Панамы
02.00 „Апология“
03.15 Сериал „Тысячелетие“

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45 Комедия „С Новым годом!“
11.30 „Экспертиза“
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Вести недели
14.15, 17.45 „Экспертиза“
14.30 Вести - Москва. Неделя в городе.
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Московские окна“
17.15 „Честный детектив“
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 02.45 „Дорожный патруль“
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
21.55 Сериал „Главные роли“
22.55 Детектив „Марш Турецкого“. 1 с.
00.20 Боевик „Командир взвода“
02.20 „Футбол России“
03.00 Боевик „Расплата“

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.45 Сериал „Клан Сопрано“
11.00 „Сегодня утром“
11.25 „Намедни“
13.00, 16.00, 18.00, 20.00 „Сегодня“
13.30 „Страна Советов“
14.35 Сериал „Курортный роман“, 1 с.
15.45 Криминал
16.35 Ток-шоу „Принцип „Домино“. „Семейный бюджет“
18.30 „Женский взгляд“. О.Видов
19.10 „Внимание! Розыск!“ „Ограбление под гипнозом“
20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“
21.45 Сериал „Дальнобойщики“
23.00 „Страна и мир“
23.30 Сериал „Секс в большом городе“
00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей“
01.25 „Сегодня“
01.45 „Гордон“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

**იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74**

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.**

იყიდება 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა ქობულეთში "ხასანას ბართან" ახლოს. ტელ: 93-33-15.

სასწრაფოდ! იყიდება ან იცვლება არასტანდარტული ბინა 6(8), "ბაქტერიოფაგთან" გოთუას ქ.16. ტელ: 38-24-29.

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

**იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.**

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

**სასწრაფოდ!**
**იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატ-კონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები.**
**ფასი: 13 500$**
**ტელ: 899 182227**

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

შევასწავლი გერმანულ ენას. 32-03-71, 899 298805.

## სხვადასხვა

შევაკეთებ და ვყიდი ახალ საბეჭდ მანქანას "ოპიმას და უნის". ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-58-72 ან 75-78-48.

ვყიდი თეთრი ფერის მარმარილოს. 23 კვ.მ ფასი: 1 კვ 50 დოლ. ტელ: 899 243634.

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.

"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)



# არისტოკრატი, რომანტიკოსი, მოდელიერი



კრისტიან ლაკრუა თავის ნამუშევრებთან ერთად



REUTERS



კრისტიან ლაკრუამ იტალიური სამარკო ნიშნის, "პუჩის" მმართველობა იკისრა, და ამის შედეგ არნახულ წარმატებას მიაღწია – ორი საკულტო სახელის შემოქმედებითი კავშირი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა.

მოგეხსენებათ, კრისტიან ლაკრუას ფერადოვანი, დეკორატიული ელემენტებით გამდიდრებული ნამუშევრები 1980-იანი წლების მოდის საუკეთესო ნიმუშებია, კალეიდოსკოპივით მრავალფეროვანი, "სინთეტური ფსიქოდელიის" ელემენტების მატარებელი "პუჩი" კი 1960-იანების ოპტიმისტური მოდის სიმბოლო იყო. მაგრამ ბოლო ხანს აღმოჩნდა, რომ ორივე შემოქმედი "გაიჭედა" და გარდასულ დღეთა დიდების იმედადღა დარჩა. მათი კლიენტურა აშკარად დაბერდა. ლაკრუამ ყველაფრის დიზაინს მიჰყო ხელი, და მისი მოწინააღმდეგეები იქედნურად აღნიშნავდნენ, რაც კი მოძრაობს, ყველაფერს აცმევსო. "პუჩი" დიზაინერებს დღეგამოშვებით იცვლიდა, და მაინც არაფერი გამოსდიოდა.

და აი, გასული წლის აპრილში ისინი გაერთიანდნენ, და დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სრულიად თანამედროვე, საკულტო სამარკო ნიშანთან გვაქვს საქმე.

დღეს "პუჩი" არის "ტანსაცმელი მათთვის, ვისაც რამე გაეგება". მის კლიენტთა რიგებში ჰაიდი კლუმი და ჯენიფერ ლოპესი აღმოჩნდნენ, განახლებული "პუჩის" პირველივე ჩვენების შემდეგ კრისტიან ლაკრუამ საპატიო ლეგიონის ორდენი მიიღო. "დარწმუნებული ვარ, რომ "პუჩის" აღორძინებას მხოლოდ ლაკრუა შეძლებდა," – აღნიშნა ბარბარა ატკინმა, ნიუ იორკის მოდის ინსტიტუტთან არსებული ქსოვილების მუზეუმის დირექტორმა, - "ისევე, როგორც ემილიო პუჩის, ლაკრუასაც ფერის არაჩვეულებრივი განცდა აქვს. მისი წყალობით ახალი კოლექციები სექსუალურია, ფერადოვანია და სავსებით შეეფერება ემილიო პუჩის ხელწერას. როგორც იქნა, მინიმალიზმი დავიწყებას მიეცა, და ადამიანები კვლავ მეტყველ ნივთებს ეძალებიან, რომელთაც უნიკალური სტილი აქვს".

"პუჩის" ფერებსა და ორნამენტებს, მართლაც, უნიკალური თვისება ახასიათებს – ისინი წელიწადის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში სავსებით მისაღებია. იმისთვის, რომ "პუჩის" წარმატებაში გავერკვეთ, ორმოცი წლით უკან დაბრუნება მოგვიწევს.

ბრწყინვალე იტალიელი არისტოკრატი, ემილიო პუჩი, დაიბადა პუჩის სასახლეში, ვია დელ პუჩიზე – მისი ოჯახი კარგა ხნის განმავლობაში ფლორენციის მმართველი იყო. ემილიო სიეტლისა და მილანის უნივერსიტეტებში სწავლობდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო საქმიანობას მიჰყო ხელი – ბომბდამშენის მფრინავი იყო.

ომის დამთავრების შემდეგ ემილიო პუჩი კვლავ არისტოკრატთა წრეს დაუბრუნდა და ცნობილი მოთხილამურე გახდა. თვალსაჩინო გარეგნობის კაცი იყო, ამიტომ ყოველთვის ყურადღებას აქცევდნენ. ერთხელაც, 1947 წელს, მას და მის თანამგზავრ ქალბატონს სენ-მორიცის ფერდობზე ამერიკული Harper's Bazaar-ის ფოტოგრაფმა, ტონი ფრისელმა გადაუღო სურათი. ქალის სათხილამურო კოსტუმი თავად პუჩის ნახელავი იყო. ჟურნალი წერდა: "ყველაზე ელეგანტური მოთხილამურეები იტალიელები არიან." სწორედ ამერიკული ბაზრისთვის შექმნა პუჩიმ თავის პირველი სპორტული კოლექცია, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია. ამერიკელთათვის პუჩი ევროპელი არისტოკრატიის სიმბოლო იყო – ჯიშიანი, ლამაზმანებით გარშემორტყმული.

სულ მალე პუჩის მუდმივი კლიენტები სოფი ლორენი, პალომა პიკასო, გრეის კელი გახდნენ. ლეგენდას თუ დავუჯერებთ, მერლინ მონრო პუჩისეულ ვარდისფერ კაბაში დაკრძალეს. ომის დასრულების შემდეგ ჩასახული პუჩის სტილი ფერად, თხელ, პრაქტიკულ ქსოვილებს და სექსუალურ თარგებს გულისხმობდა. მისი ტანსაცმელი არ იჭმუჭნებოდა და სულ პატარა ჩანთაშიც ეტეოდა. პალომა პიკასო ამბობდა; "მისი კაბა, უბრალოდ, ჩანთიდან უნდა ამოიღო, დაბერტყო, ჩაიცვა და წვეულებაზე გაემართო".

"პუჩიმანიამ" ზენიტს 1960-იან წლებში მიაღწია. იმხანად პუჩი პირწავარდნილი ფუტურისტი იყო. სწორედ მან შექმნა კოსტუმები "აპოლო 15"-ის ჯგუფისთვის, რომელიც მთვარეზე გაფრინდა. NASA-ს ლოგოტიპიც პუჩის შემოქმედებაა, ისევე, როგორც Lincoln Continental Mark V-ის დიზაინი.

თანამედროვეები იხსენებენ, რომ პუჩი "ქალსა და მის სხეულს გაგებითა და პატივისცემით ეპყრობოდა: ის რამდენიმე წამში ამჩნევდა მოდელის დეფექტებს და ამ პრობლემას იოლად და მოხდენილად აგვარებდა".

60-იანი წლების ამერიკის მოდის მიმდევრებს დიდ ხანს დაამახსოვრდებათ მეხუთე ავენიუზე მომავალი, თეთრ ცხენზე ამხედრებული ემილიო პუჩი, შუა საუკუნეების სამოსში, ბუმბულიანი შლაპით. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ძველებური სამოსი უხდებოდა და რომ მისი თანდაყოლილი, არისტოკრატული გრაცია ძალიან მიმზიდველი იყო.

მაგრამ 70-იან წლებში პუჩის ოპტიმიზმი უადგილო აღმოჩნდა – ვიეტნამის ომის დაწყებამ და კუბის კრიზისმა ქალებს მსოფლმხედველობა შეუცვალა. ისინი ცდილობდნენ, მამაკაცებივით ჩაეცვათ, რომ მათი არსებობა და სამუშაო სერიოზულად ყოფილიყო აღქმული. პუჩის სტილი ისტორიას ჩაბარდა.

და აი, წელს "პუჩის" ახალი, ლაკრუასეული კოლექციის ჩვენება შედგა. ლაკრუა დაუფარავად ღელავდა, მაგრამ გაიმარჯვა – კოლექციამ აღტაცება დაიმსახურა. პუჩის ასული, ლაუდომია, ბედნიერი იყო: "მე მგონი, ეს რაღაც გრანდიოზულის დასაწყისია!"

ალიანსი ლაკრუა-პუჩი, ლაგერფელდისა და შანელის შემდეგ, მოდის ისტორიაში "მომაკვდავის აღდგომის" მეორე მაგალითია. ლაკრუამ აღიარა, რომ თავის დროზე სწორედ პუჩიმ გადააწყვეტინა, დიზაინერობისთვის მიეყო ხელი. "მან ჩემზე დიდი გავლენა იქონია, მე ხომ ხელოვანად 60-იან წლებში ჩამოვყალიბდი, გაგანია "პუჩიმანიის" დროს. 1988 წლის კოლექციაც სწორედ პუჩის მივუძღვენი".

# სპორტული და ელეგანტური. იდუმალი და მაცდური

თამარ ბაბუაძე

ორი ქალი. ორი რადიკალურად განსხვავებული ქალი. ორივე ძალიან მშვენიერი და ძალიან ცნობილი... ამ ორ მანდილოსანს აერთიანებს ის, რომ საზაფხულოდ ორივემ გადაწყვიტა ახალი სუნამოს გამოშვება და რამდენიმე ხნის წინ ორივე სუნამო "ისი პარი"-შიც გამოჩნდა. რომლით დავიწყოთ? მოდით, პირველად გაბრიელა საბატინი დავაფასოთ – როგორც ჩოგბურთიდან წასული და როგორც მთლიანად სუნამოებზე გადართული, და ჯერ მის ახალ სურნელს გავეცნოთ.

Private Edition-ი გაბრიელას მეთორმეტე სუნამოა, რომელიც ძალზე ეფექტური დევიზით გამოირჩევა: სუნამო – ერთდროულად სპორტული და ელეგანტური. ანუ, ზუსტად ისეთი, როგორც მისი შემქმნელი – გაბრიელა საბატინია. ამ ქალბატონს ხომ წარმატებული სპორტსმენობა არასდროს უშლიდა ხელს, ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და სექსუალური ქალის ტიტულიც შეეთავსებინა. სწორედ ამ შეთავსების გამო, საბატინიმ მალე გადაინაცვლა იმ ჩოგბურთელების კატეგორიაში, რომლებიც არა მხოლოდ ძლიერი მაჯითა და სწრაფი ნახტომით გამოირჩევიან, არამედ რომლებიც, პირველ რიგში, ვარსკვლავები არიან – შოუბიზნესის სახელოვანი წარმომადგენლების მსგავსად. ვარსკვლავობამ შემდეგ ბუნებრივად დაბადა ახალი ინტერესები და ორმაგი ამბიციები და საბატინიმაც ჩოგბურთის კორტის გარდა, კიდევ ერთი საყვარელი ადგილი გაიჩინა – ესენციებით სავსე ქარხანა.

ეს სურნელოვანი ეპოპეა კი მან ჩოგბურთის პარალელურად 1989 წლიდან წამოიწყო. პირველი არომატის, "გაბრიელა საბატინის" პრეზენტაციაზე სპორტსმენი ამბობდა: "თავი სიზმარში მგონია – გამოვიდა სუნამო ჩემი სახელით. როგორც კი ეს იდეა გაჩნდა, მაშინვე აღვფრთოვანდი იმის წარმოდგენით, რომ საკუთარი სუნამო მექნებოდა". აღფრთოვანება არც შემდეგ წლებში განელებულა და იგივე ენთუზიაზმით 1992 წელს შეიქმნა GS-ის მეორე სუნამო – "მაგნეტიკი", ერთი წლის თავზე კი "კასკაია" – ცინცხალი, ყვავილოვანი სურნელი, რომელიც გამოხატავს იმედს და ცხოვრების სიყვარულს. მათ მოჰყვა Fifi-ს პრიზით დაჯილდოებული (Fifi-ი სუნამოებისთვის იგივე "ოსკარია") "ბოლერო", "კასკაია სამერ", GS Daylight, Wild Wind – ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, "სამერ" და ბოლოს, 2001 წელს – Devotion.

თბილისში გაბრიელა საბატინის სუნამოების ამ მრავალფეროვანი სპექტრიდან ყველაზე პოპულარული მაინც Wild Wind-ია – თავისუფლების მოყვარული ქალების არომატი, რომელიც სხეულზე, მართლაც, ქარივით მსუბუქ და ცივ კვალს ტოვებს. თუმცა, თავად საბატინი თავის ქმნილებებს ერთმანეთისგან არ ასხვავებს და დასტურად ამბობს: "ნებისმიერი ჩემი სუნამო ძალიან გულწრფელია. თითოეული მათგანი ჩემი ნაწილია და ამიტომ მათ სულიც აქვთ".

Private Edition-ი ამ გულწრფელ არომატებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. საბატინის იმედი აქვს, რომ მას ქალები ისევე შეიყვარებენ, როგორც წინა სუნამოებს და მასშიც იპოვნიან რაღაც საკუთარს. თვითონ საბატინი კი თავისი ახალი არომატით ინტიმურ სურვილებს გვიმჟღავნებს, რაზეც სუნამოს სათაურიც მეტყველებს. ხილის გრილი ზედა და ყვავილოვანი გულის ნოტა მას ქალურობას ანიჭებს. ამავე დროს ის მსუბუქი, ნაზი სურნელია და ამიტომ სპორტულის ელფერიც დაჰკრავს.

იგივე ეპითეტებით ნამდვილად ვერ დავახასიათებთ ნაომი კემპბელის მეოთხე სუნამოს Mystery, რომელიც თავისი წინამორბედების – Naomi Campbell-ის, Naomagic-ისა და Exult-ის მსგავსად მაცდური, იდუმალი და ცეცხლოვანია. თუ საბატინი სინაზეს, სიმშვიდეს, სიგრილეს უსვამს ხაზს, ნაომი საიდუმლოებით მოცული, ვნებიანი და ამავე დროს გემოვნებიანი ქალის იმიჯს ირჩევს და თავის ახალ სუნამოშიც სწორედ ამ თვისებებს ანიჭებს უპირატესობას. მისი თითოეული სურნელი ძალიან ჰგავს თავად ნაომის. და ის ფაქტი, რომ ეს სუნამოები მსოფლიოს მასშტაბით დიდი პოპულარობით სარგებლობს, პირველ რიგში, სწორედ სუპერ-მოდელის დამსახურებაა. ის ხომ უშუალოდ მონაწილეობს ინგრედიენტების შერჩევის, ფლაკონის დიზაინის განსაზღვრის პროცესში და სარეკლამო კამპანიაშიც.



ნაომი კემპბელი - იდუმალი ქალი




გაბრიელა საბატინი - სპორტულობისა და ელაგანტურობის სიმბოლო

Mystery-ი აღმოსავლური და ტკბილი, ყვავილოვანი, ღრმა და მგრძნობიარე არომატია. ნაომის აზრით, ეს ახალი სურნელი ძალიან ეროტიკულია და ის ცდუნების მაგიას ჰგავს. სხვათა შორის, სუპერ-მოდელი ამას ტყუილუბრალოდ როდი ამბობს. სუნამო შეიცავს ჰიბისკუსის ყვავილს – წითელ მცენარეს, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში ხარობს და, ადგილობრივების რწმენით, ვნებებს აღძრავს. მეტიც, ჰიბისკუსს აფრიკელები სასიყვარულო რიტუალების დროს წვავენ ანდა საქორწილო გვირგვინების მოსართავად იყენებენ. ასეთივე მაცდური და ვნებიანია ნაომის ახალი სურნელიც. სუპერმოდელი ამბობს, რომ Mystery-ი არის ისეთი მანდილოსნებისთვის, რომლებიც ბუნებრივად, ძალდაუტანებლად არიან იდუმალები, სექსუალურები და ძალიან ქალურები. ისინი მამაკაცების საცდუნებლად დიდ ძალისხმევას არ იყენებენ. საჭიროა მხოლოდ საიდუმლოებით მოცული ღიმილი და... ერთი წვეთი Mystery-ი.

ნაომის ძალიან მოსწონს სარეკლამო ფოტოც, რომელიც მოდის ფოტოგრაფების – მერტისა და მარკუსის ნახელავია. ქალის გლუვი, შიშველი ზურგი და იდუმალი, ღიმილიანი მზერა სარკიდან სწორედ რომ Mystery-ის ასოციაციას ქმნის.

ასე რომ, დროა, განვასაზღვროთ, რომელ "ფლანგს" მივეკუთვნებით – გაბრიელას სპორტულსა და ელეგანტურს, თუ ნაომის ველურსა და მაცდურს და მხოლოდ ამის შემდეგ გავსინჯოთ ორი ძალიან მშვენიერი და ძალიან ცნობილი ქალის ახალი არომატები.

# გახსოვდეთ: დუმილი ოქროა



სინდი კროუფორდი მშობიარობამდე

ის, რომ დუმილი ოქროა, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც მუდამ ყურადღების ცენტრშია.

ითვლება, რომ გრძელფეხება მზეთუნახავები სულელები არიან. ეს დიდი შეცდომაა: გრძელფეხება ქალებს რა დალევს, მაგრამ ვარსკვლავობა ბევრს ვერ მოუხერხებია, ამასაც ჭკუა უნდა. მაგრამ ამ ჭკვიან ქალებსაც დასცდებათ ხოლმე დაუჯერებელი სისულელეები.

ამ საქმეში ჩემპიონად ლინდა ევანგელისტა ითვლება. მხოლოდ ის რად ღირს: "უკანალის აწევაზე 10 ათას დოლარად თუ დავთანხმდები". ამ გამონათქვამმა ლამის ყველა გაზეთი მოიარა. ახლა კი ოცდაათს გადაცილებული და საკმაოდ გასუქებული ლინდა თვინიერად აცხადებს, რომ "ყველაფერზე უსიტყვოდ თანახმაა". პრესა ხალისობს, საზოგადოება ერთობა.

ანალოგიური ამბავი სინდი კროუფორდსაც მოუვიდა. დედობის სიხარულზე ლაპარაკში უცებ წამოცდა, რომ "მშობიარობის შემდეგ სარკეში ჩახედვაც აღარ მოგინდებათ, იმიტომ რომ მუცელი მომჩვარულია და ნაკეცებად კიდია".

უაზრო სიტყვების წარმოთქმა ნაომი კემპბელსაც ეხერხება, მაგალითად: "ქვედა საცვალი ყოველთვის არ მაცვია. ჭრელ კაბას საცვალი რად უნდა?" ბევრი ვერაფერი განაცხადია. გასაგებია: ჭრელი კაბა და უსაცვალო ნაომი. მერე, რა?

# „ჩვენ მხეცებს ვეომებით"



გერმანელი ტყვეები, სტალინგრადი 1943 წელი

"ბერლინ-კარლსჰორსტის" მუზეუმში ფოტოგამოფენა გაიხსნა: "საბჭოთა სამხედრო ტყვეები გერმანიაში და გერმანელი სამხედრო ტყვეები სსრკ-ში".

"ჩვენ ადამიანებს კი არა, ცხოველებს, ნადირებს ვეომებით"; ფოტოსურათს წარწერა ახლავს: "ამ ფოტოზე თქვენ ხედავთ ბოლშევიკურ ქვეადამიანებს, ის კი, მარცხნივ რომ დგას, სნაიპერია". ფოტოზე ტყვედ აყვანილი საბჭოთა ჯარისკაცები არიან გამოსახული, წარწერა კი 1941 წლის გერმანული გაზეთიდანაა ამოღებული.

ეს ფოტოსურათი და წარწერა კი 1943 წლის გაზეთ "პრავდადანაა": "შეხედეთ ამ "დამპყრობლებს", მათ გათოშილ სახეებს, ვირთხის გამოხედვას, დაშინებულ თვალებს, ბანდიტურ იერს".

"ბერლინ-კარლსჰორსტის" მუზეუმის დირექტორმა, ისტორიკოსმა პეტერ იანმა თქვა: "სამხედრო ფოტოსურათები, რომლებიც იმხანად პროპაგანდის იარაღი იყო, დღეს ისტორიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია". მან აღნიშნა, რომ, ძირითადად, ტყვედ აყვანისთანავე გადაღებული ფოტოები შემოინახა, ტყვეობაში ცხოვრების ამსახველი კადრები ბევრად ნაკლები მოიპოვება.

"ჩვენს მიერ მომზადებული ექსპოზიცია საარქივო და ნაალაფევი ფოტომასალაა, როგორც გერმანიაში, ასევე ყოფილ სსრკ-ში გადაღებული. გამოფენის მიზანია კიდევ ერთხელ შეახსენოს ადამიანებს, რამდენი უბედურება და ტანჯვა მოუტანა ომმა ორივე ქვეყნის ხალხს", განაცხადა პეტერ იანმა.

ბერლინის მუზეუმის მონაცემების თანახმად, მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანიაში დაახლოებით 6 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი იმყოფებოდა, რომელთაგანაც აქვე სამი მილიონი დაიღუპა. საბჭოთა ტყვეობაში 3 მილიონი გერმანელი აღმოჩნდა, მათგან მხოლოდ 1 მილიონი ადამიანი გადარჩა.

გერმანულმა გამომცემლობამ "X ლინქს ფერლაგმა" საგანგებოდ ამ ვერნისაჟთან დაკავშირებით წიგნი გამოსცა, რომლშიც 30 რჩეული ფოტოსურათია შეტანილი.

# მელ გიბსონის ვნებები



მელ გიბსონი - "მამაცი გული"

ავსტრალიელი ჰოლივუდის ვარსკვლავი, მელ გიბსონი, იძულებული გახდა, თავისი უკანასკნელი ფილმი, "ვნება", ფართო საზოგადოების წინაშე დაეცვა. იესო ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელი საათების შესახებ გადაღებული კინოფილმის ავტორი ანტისემიტიზმსა და ანტიკათოლიციზმში დაადანაშაულეს. პრესასა და ტელევიზიით მსახიობსა და რეჟისორს იმის განმარტება მოუწია, რომ მისი ჯერაც დაუმთავრებელი სურათი ნამდვილად არაა ანტისემიტური.

ეს უკვე სადავო ფილმი 25 მილიონი დოლარი დაჯდება და 2004 წელს გამოვა ეკრანებზე.











## კროსვორდი




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.